შპს „ვიონ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგრიშგებები

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია
2. კომპანიის საოპერაციო გარემო
3. მომზადების საფუძველი
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები
6. ახალი ან რედაქტირებული სტანდარტების მიღება და განმარტებები
7. ახალი სააღრიცხვო განცხადებები
8. ქონება და მოწყობილობები
9. არამატერიალური აქტივები
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
12. სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
14. კაპიტალი
15. ნასესხები სახსრები
16. აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
18. შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით
19. მომსახურების ხარჯები

20. სხვა საოპერაციო ხარჯები
21. მენეჯმენტის ანაზღაურება
22. ფინანსური ხარჯები
23. საშემოსავლო გადასახადები
24. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან
25. ფინანსური რისკის მართვა
26. კაპიტალის მართვა
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება
28. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
29. ანგარიშგების შემდეგ განვითარებული მოვლენები
30. 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა

PWC

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიონ საქართველოს“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვიონ საქართველოს“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ აუდიტი ჩავუტარეთ

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, რომლებიც მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას მოიცავს.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დაწვრილებით არის

აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.*

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად საჭირო საფუძვლის შექნისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლად ვმოქმედებთ, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ ასევე შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაციაში იგულისხმება კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტის ანგარიში (ფინანსური ანგარიშგებების და მასზე გაცემული ჩვენი აუდიტორის დასკვნის გარდა), რომელიცჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებებზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებული ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს და შევაფასოთ, ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებებთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან არსებითად შეუსაბამო არის თუ არა, ან აუდიტის განმავლობაში ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული ანგარიში სხვა არსებით უზუსტობებს შეიცავს თუ არა.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი ჩვენ გვავალდებულებს მოსაზრება გამოთქვათ იმის თაობაზე, არის თუ არა მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული მუხლები მომზადებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

როდესაც ჩვენ წავიკითხავთ მენეჯმენტის ანგარიშს, თუ გადავწყვეტთ, რომ ანგარიშში არსებითი უზუსტობებია, ჩვენ ვალდებულები ვართ აღნიშნულის შესახებ შევატყობინოთ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.

ჩვენ გამოვცემთ გაახლებულ დასკვნას, სადაც განვაცხადებთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელია ინფორმირება, ან აღვწერთ არსებით ცდომილებების, რომლებიც გამოვლინდა ხემძღვანელობის ანგარიშში კომპანიის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის და აუდიტის პროცესში გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე. ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ჩვენი განახლებული დასკვნის ნაწილი იქნება.

მენეჯმენტის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარიანობა, თუ რამდენად შეუძლია მას ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელება; გააშუქოს, შეძლებისდაგვარად, ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები; და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის ბაზა, თუ მენეჯმენტი არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარად მოქცევის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნება მოვიპოვოთ იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს გაყალბებით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე გავცეთ ჩვენი აუდიტორული დასკვნა. გონივრული რწმუნება არის მაღალი

ხარისხის რწმუნება, თუმცა არა გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს გაყალბებამ ან დაშვებულმა შეცდომებმა. უზუსტობები ითვლება არსებითად იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად ან მთლიანობაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის ნაწილი, ასს-ის შესაბამისად, ჩვენ ვეყრდნობით პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში გაყალბებით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკებს, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოხატვისთვის საჭირო საფუძველის შესაქმნელად. გაყალბების შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული უზუსტობის არგამოვლენისა, რადგან გაყალბება მოიცავს შეთქმულებას, თაღლითობას, განზრახ უმოქმედობას, არასწორ განცხადებას ან შიდა კონტროლის გადამეტებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და ბუღალტრული შეფასებებისა და დაკავშირებული განმარტებების მართებულობას;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული ბაზის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი დაბადოს ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებითი

გაურკვევლობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ დაკავშირებული ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებაზე, ან თუ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არაადეკვატურია, ცვლილებები შევიტანოთ ჩვენს დასკვნაში. ჩვენი დასკვნები ეფუძნება წინამდებარე დოკუმენტის შექმნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვიოს;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, ასევე გამჟღავნებული ინფორმაციის წარდგენის საერთო პრეზენტაბელობას, სტრუქტურას და შინაარსს, და თუ რამდენად სამართლიანად წარმოაჩენს ფინანსური ანგარიშგება ოპერაციებსა და მოვლენებს;

ჩვენ ვურთიერთობთ მართვაზე პასუხისმგებელ შესაბამის პირებთან და ერთობლივად განვიხილავთ, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბს და ვადებს, ასევე აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მექანიზმებში აუდიტის დროს ჩვენს მიერ გამოვლენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC-ის სახელით (რეგ. ნომ.: SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ. ნომ. SARAS-A-562091)

2019 წლის 6 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

შპს „ვიონ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნა	*31-დეკ-2018*	*31-დეკ-2017*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	31,147	112,318
არამატერიალური აქტივები	9	4,826	66,023
სხვა არაფინანსური აქტივები		4,851	4,474
სულ გრძელვადიანი აქტივები		**40,824**	**182,815**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	600	898
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,638	12,664
სხვა არაფინანსური აქტივები	12	6,607	2,347
ფული და ფულის ექკივალენტები	13	7,,189	1,637
სულ მოკლევადიანი აქტივები		**20,034**	**17,546**
სულ აქტივები		**60,858**	**200,361**

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	14	2	2
დამატებითი შენატანები კაპიტალში	14	616,734	616,257
დაგროვილი დეფიციტი		(920,054)	(728,617)
სულ კაპიტალი		**(303,318)**	**(112,358)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	15	295,127	252,850
აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულების რეზერვი	16	4,279	3,672
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		823	725
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**300,229**	**257,247**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	42,802	49,303
ნასესხები თანხები	15	13,914	-
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	12	7,231	6,169
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**63,947**	**55,472**
სულ ვალდებულებები		**364,176**	**312,719**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**60,858**	**200,361**

კომპანიის სახელით გამოსაქვეყნებლად ავტორიზებულია 2019 წლის 6 ნოემბერს ქვემოთ მითითებული პირების მიერ:

გენერალური დირექტორი ანდრეი მალინოვსკი *(ხელმოწერილია)*

ფინანსური დირექტორი ვასილ ბერიშვილი *(ხელმოწერილია)*

შპს „ვიონ საქართველო“

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
მომსახურებიდან შემოსავალი	18	106,562	105,551
მოწყობილობებისა და აქსესუარების რეალიზაცია		3,040	11,406
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		**109,602**	**116,957**
მანქანა-დანადგარების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი	8,9	(131,796)	(1,289)
მომსახურების ხარჯები	19	(32,138)	(40,040)
მანქანა-დანადგარების ცვეთა	8	(22,425)	(22,773)
თანამშრომელთა ხელფასებისა და პენსიების ხარჯი		(13,488)	(12,922)
იჯარის ხარჯი		(8,745)	(8,022)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	(8,134)	(8,622)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(5,614)	(3,854)
ხელმძღვანელების ანაზღაურება	21	(5,051)	(7,583)
კომუნალური ხარჯები		(4,497)	(4,421)
მარკეტინგის ხარჯები		(4,551)	(4,542)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვეთიდან მიღებული მოგება		481	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(20,779)	(28,983)
საოპერაციო ზარალი		**(147,135)**	**(26,094)**
ფინანსური ხარჯები	22	(33,749)	(27,610)

ფინანსური მოგება		264	859
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება, ნეტო		(12,484)	2,251
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი		(335)	451
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(193,439)**	**(50,143)**
მოგების გადასახადის ხარჯი	23	-	-
ნეტო ზარალი წლის განმავლობაში		**(193,439)**	**(50,143)**
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(193,439)**	**(5,143)**

შპს „ვიონ საქართველო“

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14	**2**	**585,375**	**(678,474)**	**(93,097)**
სათავო კომპანიებიდან ნასესხები თანხების რეალური ფასის შეფასების ნეტო შედეგი	15	-	30,882	-	30,882
ნეტო ზარალი წლის განმავლობაში		-		(50,143)	(50,143)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**-**	**-**	**(50,143)**	**(50,143)**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	**2**	**616,257**	**(728,617)**	**(112,358)**

სათავო კომპანიებიდან ნასესხები თანხების რეალური ფასის შეფასების ნეტო შედეგი	15	-	477	-	477
ფასს 15-ის შემოღება		-	-	2,002	2,002
ნეტო ზარალი წლის განმავლობაში		-	-	(193,439)	(193,439)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**-**	**477**	**(191,437)**	**(191,437)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14**		**616,734**	**(920,054)**	**(303,318)**

შპს „ვიონ საქართველო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი წლის განმავლობაში მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(193,439)	(50,143)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	22,425	22,773
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	8,134	8,622
ძირითადი საშუალებების ცვეთით მიღებული ზარალი	8,9	131,796	1,289
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვეთით მიღებული ზარალი		2,699	1,636
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარების შეწყვეტით მიღებული ზარალი		(481)	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძველების რეზერვში ცვლილებები		(175)	(728)
ფინანსური შემოსავალი		(264)	(859)
ფინანსური ხარჯები		33,749	27,610
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება), ნეტო		12,484	(2,251)

სხვა მოგება ზარალის გამოკლებით	(335)	(158)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე	**16,593**	**7,791**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	4,621	(3,306)
სხვა არაფინანსური აქტივების ზრდა	(2,635)	(661)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (შემცირება)/ზრდა	473	4,507
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	(7,193)	2,565
სხვა არაფინანსური ვალდებულებების ზრდა	1,158	497
მიღებული პროცენტი	264	859
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნეტო ფულადი ნაკადები	**13,581**	**12,252**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	228
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(20,185)	(59,540)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი ნაკადები	**(20,185)**	**(59,312)**
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
ნასესხები თანხებიდან მიღებული მოგება	12,773	44,638
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	**12,773**	**44,638**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**6,169**	**(2,422)**
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(617)	(582)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**1,637**	**4,641**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**7,189**	**1,637**

შპს „ვიონ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

1. კომპანიის შესახებ ინფორმაცია

შპს „ვიონ საქართველო“ (შემდგომში - „ვიონ საქართველო“, „კომპანია“), ყოფილი შპს „მობიტელი“, დაფუძნდა 2003 წლის 19 ნოემბერს და საქმიანობს საქართველოში. 2017 წლის 30 მარტს, აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის სახელი შპს „ვიმპელკომი“ შეიცვალა და გახდა შპს „ვიონი“. შესაბამისად, 2017 წლის 5 დეკემბერს, კომპანიის იურიდიული სახელიც შპს „მობიტელი“ შეიცვალა და გახდა შპს „ვიონ საქართველო“. კომპანია არის შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოს მარეგულირებელი წესების შესაბამისად და დაარეგისტრირა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584.

კომპანიის აქციონერები არიან Watertrail Industries Ltd (BVI) - 51%, Investico Alliance Ltd (BVI) - 29% და Miren Ltd (BVI) - 20%. „ვიონ საქართველოს“ საბოლოო კონტროლს ახორციელებს შპს „ვიონ“, ყოფილი შპს „ვიმპელკომი“, ჰოლანდიაში რეგისტრირებული იურიდიული პირი („საბოლოო მაკონტროლებელი მხარე“). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი აქციონერი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია შემოსავალს იღებს „ბილაინ“ სავაჭრო ნიშნით, საქართველოს უმეტეს ქალაქებში GSM სტანდარტის ფიქსური სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევით, აგრეთვე საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და აქსესუარების გაყიდვით.

კომპანია საქმიანობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მიერ გაცემული შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე:

- ლიცენზია #F5, #42 და #59 (რადიო სიხშირის სპექტრები: 1775-1785 მგჰ, 1870-1880 მგჰ, 884.50-889.99 მგჰ და 929.50-934.99 მგჰ, ერთად მოხსენიებული როგორც „2G“) კომბინირებული სკეკ-ის 2015 წლის 29 იანვარს გაცემული #55/2 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა გახანგრძლივდა 2030 წლის 1 თებერვლამდე;
- ლიცენზია #F97 (გრძელვადიანი ევოლუციის რადიოსიხშირული სპექტრები: 806-816 მგჰ და 847-857 მგჰ, ერთად მოხსენიებული როგორც „4G LTE“), მობილური ტელეფონებისა და მონაცემთა ტერმინალებისთვის მაღალსიჩქარიანი მონაცემების უსადენო კომუნიკაციის სტანდარტი, რომელიც გამოიცა 2015 წლის 29 იანვარს სკეკ-ის #56/1 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა იწურება 2030 წლის 1 თებერვალს; და
- ლიცენზია #101 და #102 (რადიო სიხშირის სპექტრები: 1925 -1930 მგჰ და 2115 - 2120 მგჰ - ლიცენზია F101; და 1930 - 1935 მგჰ და 2120 - 2125 მგჰ - ლიცენზია F102, ერთად მოხსენიებული როგორც „3G“), გაცემული 2016 წლის 29 დეკემბერს სკეკ-ის #854/1 და #855/1 გადაწყვეტილებებით, 2031 წლის 29 დეკემბრამდე ვადით.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ბამბის რიგის #8, ხოლო საქმიანობი ძირითადი ადგილია ა. წერეთლის გამზირი #118.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორიც საქართველოა, სწრაფ ცვლილებებს განიცდის და დაუცველია გლობალური საბაზრო პირობების ცვლილებებისა და ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობა ისეთ რისკებთან არის დაკავშირებული, რომელიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული სისტემების გაუმჯობესებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. დღესდღეობით, საქართველოს ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია აქვს. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა და რეიტინგში წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა. ქვეყანამ რეიტინგი გააუმჯობესა თითქმის ყველა კატეგორიაში, რითაც დაადასტურა თავისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიცია. საერთაშორისო ინსტიტუტეის მიერ ჩატარებული კვლევებით, საქართველო ასევე ამაყობს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი გადასახადებით და ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

მშპ–ის ზრდამ 2018 წელს 4.7% შეადგინა, საქსტატის პირველადი შეფასებების მიხედვით. ზრდა შეეხო ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს და ძირითადად განპირობებული იყო ფინანსური მომსახურებების, ვაჭრობის და რემონტის, უძრავი ქონების, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სექტორების ზრდით.

მენეჯმენტი წინასწარ ვერ განსაზღვრავს ყველა იმ მოვლენას, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ბიზნეს სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე და, შესაბამისად, როგორ იმოქმედებს ეს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ

ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირველადი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

კომპანიის ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ავალდებულებს მენეჯმენტის, სწორი მსჯელობა გამოიყენოს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი ხარისხის განსჯას ან სირთულეს, ან ის სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და შეფასებები, წარმოდგენილია მე–5 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოური ვალუტით დენომინირებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარებულია ფუნქციონალური ვალუტის კურსით, რომელიც მოქმედებს ტრანზაქციის განხორციელების დღეს. პერიოდის ბოლოს, ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, ანგარიშგების დღეს მოქმედი კურსით, მოგების ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული სხვაობებით, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების" ფარგლებში. არაფულადი მუხლები, რომლებიც თავდაპირველი ღირებულებით ფასდება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება

ფუნქციონალურ ვალუტაში, ტრანზაქციის შესრულების დღეს მოქმედი კურსით. რეალური ღირებულებით აღებული არაფულადი მუხლები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრება.

2018 წლის 31 დეკემბერს, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ასეთია: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი, ხოლო 1 ევრო = 3.0701 ლარი (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი, ხოლო 1 ევრო = 3.1044 ლარი). ამჟამად, ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტას არ წარმოადგენს.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია აქტივის რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია აქტივის რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულს ან ფულის ეკვივალენტს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება ანგარიშგების პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია. ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ვალდებულების ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ვალდებულება დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად თვლის.

შემოსავლის აღიარება

„ვიონ საქართველო“ შემოსავალს იღებს ხმოვანი, მონაცემებისა და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებიდან, მთელი რიგი უსადენო და ფართოზოლოვანი ქსელების გამოყენებით; აგრეთვე, მოწყობილობების და აქსესუარების გაყიდვიდან. პროდუქტები და მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე ან შეფუთულ პაკეტებში.

მომსახურებიდან შემოსავლები

მომსახურებიდან შემოსავლები მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (დღმ) საფასურს. დღმ მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას. დღმ-სთან დაკავშირებული კონტენტიდან შემოსავალი წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, შემოსავლის განაწილების ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, შემოსავალი ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

შემოსავლები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში პროპორციულად. გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, შემოსავალი ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის შეგროვების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი შემოსავალი გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (დებიტორული) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (ავანსები) ნაშთების შემთხვევაში, უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

ქსელში ჩართვიდან და როუმინგიდან შემოსავალი

ქსელში ჩართვიდან შემოსავალის მიღება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „ვიონ საქართველოს“ ქსელში წყდება.

როუმინგიდან შემოსავლები მოიცავს „ვიონ საქართველოს“ მომხმარებლეისგან შემოსავალებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის ქსელის საზღვრებს გარეთ და „ვიონ საქართველოს“ ქსელში თავისი მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის სხვა უსადენო მატარებლებიდან შემოსავლებს. ორივე შემოსავლის ნაკადის შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევისას დამუშავებული ტრაფიკის პროტოკოლის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მატარებლებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარი ხორციელდება.

ქსელში ჩართვის გადასახადი

„ვიონ საქართველო“ გადაავადებს ავანსად გადახდილ სატელეკომუნიკაციო ქსელში ჩართვის გადასახადებს. შემოსავლის გადავადება აღიარდება სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდზე ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაზე.

ავანსად გადახდილი (სააბონენტო) გადასახადები

ყველა სპეციალური მომსახურების ან ფასდაკლების შეთავაზება აქტიურია ერთი თვის განმავლობაში (გახანგრძლივება არ არსებობს). აქედან გამომდინარე, „ვიონ საქართველო“ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში გადაავადებს ავანსად გადახდილ სააბონენტო გადასახადებს. გარდა ამისა, „ვიონ საქართველო“ სატარიფო გეგმის

ცვლილების მომსახურებისთვის აბონენტებზე დაკისრებულ გადასახადებს გადაავადებს სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდით ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

მოწყობილობების გაყიდვა

მოწყობილობების გაყიდვა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე მომსახურებაზე დამატების სახით (მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულება). ცალკეული მობილური მოწყობილობის, მაგალითად, პორტატული ტელეფონის აპარატის, გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოწყობილობა გაიყიდა მომხმარებელზე, ან თუ შუამავლის მეშვეობით გაიყიდა, როდესაც მოწყობილობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები გადაეცემა შუამავალს და შუამავალს ზოგადად არ აქვს დაბრუნების უფლება ან, თუ დაბრუნების უფლება არსებობს, როდესაც ასეთი უფლება ამოიწურება.

მოწყობილობების გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი აქვს. როდესაც დაფინანსება არის მოწყობილობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ფასდაკლება გამოიყენება გარიგების ფასის ელემენტზე და არა მთლიანი გარიგების ფასზე.

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად „ვიონ საქართველო“ ერთზე მეტ მომსახურებას აწვდის. მომსახურება/პროდუქტები შეიძლება მოეწოდოს ან კომპლექტად „შეიფუთოს“ სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფებში, თუ ისინი ერთი შეთანხმების ელემენტებს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მომსახურების პაკეტი შედგება მთელი რიგი ინდივიდუალურად შესასრულებელი ვალდებულებებისგან, ცალკეულად გასაყიდი ფასი, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მთლიანად პაკეტისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ, ამ პაკეტის შემადგენლობაში შემავალი ინდივიდუალური კომპონენტებისთვის.

მომსახურების პაკეტის ცალკეული გასაყიდი ფასი განისაზღვრება „ვიონ საქართველოს“ „ექვივალენტური“ მხოლოდ SIM-ის ტარიფების მქონე დაკვირვებადი ფასის მითითებით, რომელ შემთხვევაშიც საეთერო დროის მომსახურებაზე უფლებამოსილება და ხელშეკრულების ხანგრძლივობა არსებითად ერთი და იგივეა. აღნიშნულის

გათვალისწინებით, პაკეტზე გამოიყენება ცალკეული გასაყიდი ფასი და განიხილება როგორც ერთი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- ძირითადი მომსახურებების პაკეტის ცალკეული გასაყიდი ფასი ვერ განისაზღვრება (მაგალითად, მომსახურებების პაკეტი ცალკე, მოწყობილობის გარეშე, არასოდეს იყიდება); ან
- ძირითადი მომსახურებების პაკეტის სულ სატრანზაქციო ფასი აღემატება ცალკეული მომსახურებების ცალკეული გასაყიდი ფასის ოდენობას.

ამ პირობებში, კომპანია იყენებს მომსახურების პაკეტებზე სატრანზაქციო ფასის დაწესების ნარჩენ მეთოდს. მოწყობილობების ცალკეული გასაყიდი ფასი არის ფასი, რომლითაც „ვიონ საქართველო“ ცალკეულ მოწყობილობებს გასაყიდად სთავაზობს მომხმარებელს.

მომხმარებლის შეძენის ხარჯები

გარკვეული ხარჯები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახალ ან არსებულ მომხმარებელთან ხელშეკრულებას აფორმებს. ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები ბუღალტრულ ბალანსში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ხარჯები იზრდება მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად;
- დამატებითი ხარჯები ანაზღაურდება;
- გაწეული ხარჯები დამატებით ღირებულებას წარმოადგენს „ვიონ საქართველოსთვის“.

ყველა ის ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, ხარჯებში აღირიცხება.

არასაოპერაციო მუხლების კლასიფიკაცია

კომპანია ოპერაციების შედეგებს ყოფს საოპერაციო და არასაოპერაციო ნაწილებად, რაც დამოკიდებულია ტრანზაქციის ხასიათზე. შედეგები, რომელიც უშუალოდ ოპერაციებს უკავშირდება, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო მუხლები, მიუხედავად იმისა, ეს მუხლები მოიცავს თუ არა ფულად სახსრებს, არარეგულარულად

ან იშვიათად ან უჩვეულო რაოდენობით წარმოიქმნება თუ არა. შედეგები, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ინვესტიციების გაყიდვა, ინვესტიციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები, კლასიფიცირდება როგორც არასაოპერაციო.

საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება. ეს არის განაკვეთი, რომელსაც ზუსტად აკლდება სავარაუდო სამომავლო გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრები, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე დაყრდნობით ან უფრო მოკლე პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, და მცირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საანგარიშო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი შედის შემოსავლის/ხარჯების დაფინანსებაში, მოგება-ზარალის ან სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადები

მოგების გადასახადები წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების გადასახადის დარიცხვა/(მიწერა) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდებოდა ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი იყო თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ან მათგან მიღებას მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნებოდა ვარაუდებს, თუ რამდენად ნებადართული იყო ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილი იყო საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრად ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველ აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა კომპანიების გაერთინების გარდა სხვა ტრანზაქციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ტრანზაქცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს აღრიცხვაზე ან დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები ფასდებოდა მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა იმ პერიოდთან მიმართებაში, როდესაც დროებითი სხვაობები მთლიანად იცვლებოდა ან საგადასახადო ზარალის მომავალში გადატანა ხდებოდა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები, დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით, აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ თუ აშკარა იყო, რომ დროებითი სხვაობები მთლიანად შეიცვლებოდა და საკმარისი მოცულობის მომავალი დასაბეგრი მოგება არსებობდა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დაქვითვების განხორციელება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლა მაშინ ხდებოდა, როდესაც მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიმართ ჩათვლის იურიდიულად განხორციელებადი უფლება არსებობდა და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადების აქტივები და ვალდებულებები იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ერთსა და იმავე დასაბეგრ პირზე ან სხვა დასაბეგრ პირებზე დაწესებულ მოგების გადასახადებს უკავშირდებოდა, თუ მიზანი ანგარიშებზე დავალიანების ნეტო საფუძველზე დაფარვა იყო.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები განახორციელა საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზეც კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) მოგების გადასახადს არ გადაიხდიან 2017 წლის 1 იანვრიდან

მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის სახით.

15%–იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდისას. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებულ მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით. საგადასახადო შეღავათი გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც დივიდენდების გადახდა განხორციელდა. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემდეგ წარმოიშობა, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი მაინც გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას აღემატება. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ საწარმოებთან სხვა კონკრეტული გარიგებები, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა

ავანსის ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათის გამოკლებით, აისახება გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა

„ვიონ საქართველოს“ პოლიტიკა სრულად უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი საგადასახადო რეგულაციებს იმ იურისდიქციებში, რომლებშიც მისი ოპერაციები ექვემდებარება მოგების გადასახადს. გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა აღირიცხება ბასს 12-ის (*მოგების გადასახადები*) ან ბასს 37-ის (*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*) შესაბამისად, რაც დამოკიდებულია მოცემული გადასახადის ტიპზე.

„ვიონ საქართველო“ აღრიცხავს მოგების გადასახადების იმ ანარიცხებს, რომელიც მისი შეფასებით საბოლოოდ გადახდას დაექვემდებარება საგადასახადო მიმოხილვის ან საგადასახადო აუდიტის დასრულების შემდეგ, მათ შორის იგულისხმება ნებისმიერი იმ პროცენტის და ჯარიმის ჩამოწერა, რომელიც შეიძლება გადახდას დაექვემდებაროს.

მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ანარიცხებისთვის, კომპანიაში მოქმედებს ანარიცხების შესახებ ზოგადი პოლიტიკა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ საგადასახადო ორგანოებში გადახდას ექვემდებარება ქვემოთ მითითებულიდან იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოებისგან დაშვებულია დღგ-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ 5 წლიდან 10 წლამდე პერიოდით გადავადდება იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები თვითღირებულება მოიცავს:

- მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად მენეჯმენტის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, ვალდებულების თანაბრად აღიარებით;
- მომხმარებელსა და კომპანიის ქსელს შორის კავშირის ხაზის დამონტაჟებისა და მოწყობის დანახარჯებს;
- ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯებს, მაგ.: კავშირების დამონტაჟებისთვის საძირკვლის გათხრა; და
- პროფესიული მომსახურების დანახარჯებს, მაგ. ინჟინრებისთვის გადასახდელი გასამრჯელოები.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	6-20 წელი
საოფისე მოწყობილობები	6-10 წელი
ავეჯი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ პასუხობს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს, ხარჯებში აღირიცხება მათი გაწევისთანავე.

ძირითაი საშუალებების საბალანსე ღირებულების აღიარება წყდება ძირითადი საშუალების გამოყენებისთანავე ან იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი საშუალების გამოყენებიდან ან განკარგვიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტით გამოწვეული მოგება ან ზარალი გამოითვლება როგორც ძირითადი საშუალების განკარგვის შედეგად მიღებულ ნეტო მოგებასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსე ღირებულებას შორის სხვაობა, რომელიც განისაზღვრება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი აღიარების შეწყვეტიდან.

თითოეული აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და შესაბამისად დაკორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, მშენებლობისთვის წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება (ექვს თვეზე მეტი ხანი), კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო და სხვა ხარჯებს, რასაც „ვიონ საქართველო“ გაწევს ფულადი სახსრების სესხად აღებასთან დაკავშირებით, კვალიფიცირებადი აქტივის შესაქმნელად.

ქირის ხარჯები

იმ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული საიჯარო დანახარჯები, სადაც ქსელის მოწყობილობებია განთავსეული, ხარჯებში აღირიცხება, თუ ქსელის მშენებლობის

პერიოდში საოპერაციო იჯარის პირობებში გადასახდელი თანხები პირდაპირ არ უკავშირდება აქტივის მოცემულ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანას, რაც აუცილებელია მისი ფუნქციონირებისთვის, მენეჯმენტის მიერ დადგენილი წესით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, როდესაც იჯარის პირობების საფუძველზე, იჯარით გაცემულ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი „ვიონ საქართველოს“ გადაეცემა. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. იმის განსაზღვრა, არის ან შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას, დამოკიდებულია გარიგების არსზე.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის საფუძველზე გადასახდელი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც საოპერაციო იჯარის დანახარჯები, იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით, თუ კომპანიის სარგებლის დროითი სქემის სხვა უფრო წარმომადგენლობითი სისტემატური საფუძველი არ არსებობს. არცერთი აქტივი არ არის კაპიტალიზებული. თუ პერიოდული გადახდები ან პერიოდული გადახდების ნაწილი ავანსად არის გადახდილი, კომპანია ამ ავანსად გადახდებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს როგორც სხვა არაფინანსურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს. საწარმოს შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივების შემდგომი დანახარჯები (სანქცირებული განვითარების ხარჯების გამოკლებით) აღიარდება მოგებაში გაწევისთანავე.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზებადი თანხა სისტემატურად გადანაწილდება მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამორტიზება იწყება იმ დროს, როდესაც აქტივის გამოყენება შესაძლებელია. ამორტიზაციის მეთოდი ასახავს მოდელს, რომლის მიხედვითაც კომპანია ვარაუდობს აქტივების მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. თუ ამ მოდელის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ წრფივი დარიცხვის მეთოდი გამოიყენება. მომხმარებლებთან ურთიერთობებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, კომპანია იყენებს ამორტიზაციის ნაშთის შემცირების მოდელს, რომელიც ემყარება მომხმარებლების ღირებულებით კონტრიბუციას. სხვა არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ლიცენზიების ან სხვა მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა დამოკიდებულია ლიცენზიის ან სხვა ხელშეკრულებების პირობებსა და დეტალებზე. ყოველი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაისინჯება მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები	10-15 წელი
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	3-10 წელი
სხვა ლიცენზიები	1-8 წელი

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება როგორც აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც

აუცილებელია აქტივის გაუფასურებაზე ყოველწლიური შემოწმება, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ვერ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მნიშვნელოვნად დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე.

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. ასეთი გარიგებების არარსებობის შემთხვევაში, შეფასების სხვა შესაბამისი მეთოდი გამოიყენება.

კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის, გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება, რომელიც მეხუთე წლის შემდეგ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოიყენება.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებით, გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯის კატეგორიებში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ფასდება, თუ რამდენად არსებობს იმის მინიშნება, რომ წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. ასეთი მინიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის სრულად შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებულ დაშვებებში ცვლილებებია შეტანილი. სრული ცვლილება შეზღუდულია ისეთნაირად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, ასევე არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი სრული ცვლილების აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც აქტივის გაყიდვით მიიღება ან რომელიც გადახდილია გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში ვალდებულების დასაფარად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიური ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რაც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასისა და სუბიექტის მფლობელობაში არსებული რაოდენობის ნამრავლი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის აბსორბირებისთვის და ერთი გარიგების ფარგლებში პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების განხორციელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

ფასწარმოქმნის ინფორმაციის არმქონე კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ისეთი შეფასების მეთოდები გამოიყენება, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. რეალური ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება რეალური ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეებით: (i) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული

(დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ii) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს ითვალისწინებს, და (iii) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში, შეფასება მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს საჭიროებს).

საოპერაციო ხარჯები ის დამატებითი ხარჯებია, რომელიც უშუალოდ ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას უკავშირდება. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, გაყიდვების აგენტების სახით მოქმედი თანამშრომლებისთვის), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სასესხო კაპიტალის ღირებულებას ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი თანხები პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი სასესხო კაპიტალის ღირებულების ან დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისოები (თუ ასეთი არსებობს), არ არის ცალკე წარმოდგენილი და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა), ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის, პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს ასახავს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც საბაზრო განაკვეთებზე მორგებული არ არის. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი არსებობის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება როგორც შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო რისკზეა მორგებული, ანუ, გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების, საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობა არსებობს, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო გარიგებებით ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომლის მონაცემებიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვების აღიარება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის და მოგებაში ან

ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხულ სავალო ინსტრუმენტებში ჩადებული ინვესტიციებისთვის, რაც უშუალოდ სააღრიცხვო ზარალს იწვევს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნესმოდელი

ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების შექმნის მიზნით - თუ რა არის კომპნიის მიზანი: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“); ან თუ არცერთი ზემოაღნიშნული პუნქტი მოქმედებს, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ყველა იმ სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მეთოდებით მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების დღეს არსებული პორტფელის გარკვეული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნესმოდელის განსაზღვრისას განხილული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ასევე წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება და როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების მწარმოებლურობა და რა ანაზღაურებას იღებენ ხელმძღვანელები.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები

თუ ისეთი ბიზნესმოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, კომპანია განსაზღვრავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. თუ სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს ისეთ რისკის ან არასტაბილურობის ზემოქმედებას, რომელიც არ შეესაბამება არსებითი საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია

ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი იცვლება. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. კომპანიამ ბიზნესმოდელი არ შეცვალა მიმდინარე და შედარებად პერიოდში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკების მიმართ. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყოველ საანგარიშგებო თარიღზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო

თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და ფასს 15-ის საუძველზე შემოსავლის ნაწილად აღიარებული სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია გასული 12 თვის განმავლობაში გაყიდვების საგადასახადო პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალზე. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციის ასახვის მიზნით. კომპანია აანალიზებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორს, ამასთან, მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს არ აქვთ არსებითი შედეგი და, შესაბამისად, კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას თავის სტანდარტულ განაკვეთებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სეგმენტებს იყენებს:

- მომხმარებლებისგან მისაღები თანხები
- როუმინგისა და ურთიერთდაკავშირებისთვის მისაღები თანხები
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან (ბ)

კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია

ზოგჯერ კომპანია ხელახლა ათანხმებს ან სხვაგვარად ცვლის ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებს. კომპანია აფასებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე; საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება; ვალუტის დენომინაციაში ცვლილება; ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე; ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როდესაც მსესხებელი არ დგას ფინანსური სირთულეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, კომპანია თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. ხელახლა შეთანხმების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. კომპანია ასევე აფასებს, თუ რამდენად პასუხობს ახალი სესხი თუ სავალო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის კრიტერიუმს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის განსხვავების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავება არსობრივად მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განუხორციელებლობით არის გამოწვეული, კომპანია თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად.

თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. კომპანია ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულებზე, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ.: მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე გაცემულ და მიღებულ სესხებს, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირდება.

გაცემული და მიღებული სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი გაცემული და მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის

და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შენაძენზე ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის და საფასურის ან ხარჯების გათვალისწინებით, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შედის ფინანსურ ხარჯებში, მოგება-ზარალის და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცემული და მიღებული სესხები სათავო კომპანიისგან

დროდადრო სათავო კომპანიები გასცემენ და იღებენ სესხებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალგანაკვეთიანი სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რაც არის მომავალში დასაფარი თანხების მიმდინარე ღირებულება, სესხის მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიის მიერ სესხად მიღებულ ანაზღაურებასა და მის რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა განიხილება, როგორც სათავო კომპანიის კაპიტალში შენატანი, და აღირიცხება, როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს გაცემული და მიღებული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული და მიღებული სესხების პირობებში (საპროცენტო განაკვეთები, დაფარვის თარიღები და ა.შ.) შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი არ არის, შეფასებაში ცვლილებებად განიხილება და პერსპექტიულად აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა შესაბამისი ცვლილება. გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი შედის ფინანსურ ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა). ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც ამოწურვით არ სრულდება,

აღირიცხება როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებებში განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკში განთავსებულ უვადო (მოთხოვნამდე) დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები დაირიცხება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები

ძირითადი საშუალებების რომელიმე ნივთის დემონტაჟისა და ამოღების სავარაუდო ხარჯები (აქტივის ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები) ემატება ნივთის ღირებულებას ნივთის შეძენისას ან ნივთის შეძენის შემდეგ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის გარდა სხვა მიზნებისთვის, ნივთის გამოყენების დროს. თუ არსებული აღიარება ხდება, თუ - ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება; - არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინების სავარაუდო ვადებში ან მოცულობაში ცვლილების გამო, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილების შედეგად, დაკავშირებული აქტივის ღირებულება კორექტირდება, თუ დაკავშირებული აქტივი შეფასებულია თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ან გადაფასების სიჭარბე კორექტირდება, თუ აქტივი შეფასებულია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როდესაც კომპანიაში ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) ვალდებულება; არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა.

არ არის გათვალისწინებული, თუ რა ეტაპზეა სასამართლო პროცედურები.

ანარიცხებად აღიარებული თანხა ხარჯის საუკეთესო აღრიცხვას წარმოადგენს, რომელიც საჭიროა საბალანსო უწყისის თარიღისათვის ვალდებულების დასაფარად. ანარიცხები ფასდაკლდება მათი მიმდინარე ღირებულებით, თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითად მნიშვნელოვანია. მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებულია დაბეგვრამდე WA საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების 11%-იანი განაკვეთი (2017 წ: 10.9%), რომელიც ასახავს ფულის დროითი მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ანარიცხების დასაფარად საჭირო ხარჯი მთლიანად ან რომელიმე მისი ნაწილი სხვა მხარის მიერ ანაზღაურდება. ანაზღაურება აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული რწმუნება არსებობს იმისა, რომ ანაზღაურება

განხორციელდება ვალდებულების შესრულების შემდეგ. ანაზღაურებას განიხილება, როგორც ცალკეული აქტივი.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გამოქვეყნების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების ცვლილებები. გამოქვეყნების შემდეგ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს იმ მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებას, რომელმაც ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება გასცა.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, მენეჯმენტი ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე მოამზადა. ამ მოსაზრებების წარმოდგენისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ 193,439 ათასი ლარის წმინდა წაგება განიცადა და, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი მოკლევადიანი ვალდებულებები 43,913 ათასი ლარით აღემატებოდა მის მოკლევადიან აქტივებს. თუმცა, კომპანიას მუდმივად აქვს დადებითი ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან (2018 წელს: 13,581 ათასი ლარი; 2017 წელს: 12,252 ათასი ლარი). კომპანიის მიერ ფუნქციონირებადობის გაგრძელების

შესაძლებლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსურ მხარდაჭერაზე საბოლოო მაკონტროლებელი მხარის და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა ორგანიზაციების მხრიდან.

ამასთან, 2015 წლის მარტში, საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციებისგან მიღებული სესხის დაფარვის ვადა გახანგრძლივდა 2032 წლამდე და 2018 წელს კომპანიის სახელზე გაიცა ახალი სესხები (შენიშვნა 15). ამდენად, მენეჯმენტი თვლის, რომ არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი გაურკვევლობა, რომელიც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევს უახლოეს მომავალში კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გარკვეულ შემთხვევებში, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების კორექტირება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომი, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ავტორიზებამდე მომხდარი მოვლენების შესაბამისად, თუ ეს მოვლენები უფრო მკაფიოდ გამოხატავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს. გარკვეულ შემთხვევებში, ანგარიშში წარმოდგენილი თანხების კორექტირება უნდა განხორციელდეს „მაკორექტირებელი მოვლენების“ შესაბამისად, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მტკიცებულებას წარმოადგენს; თუმცა, სხვა შემთხვევებში, („არამაკორექტირებელი მოვლენების“ დროს) კომპანია ვალდებული არ არის შეცვალოს ანგარიშში წარმოდგენილი თანხები, მაგრამ ვალდებულია „არამაკორექტირებელი მოვლენების“ ტიპი განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. „მაკორექტირებელი მოვლენების“ და „არამაკორექტირებელი მოვლენების“ ერთმანეთისგან გარჩევისთვის საჭიროა საღი აზრი.

საიჯარო ვალდებულებები - კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიას გაფორმებული აქვს რამდენიმე მიწის ნაკვეთის და ქონების იჯარა. თავისი გარიგებების პირობების შეფასების საფუძველზე, კომპანიამ დაადგინა, რომ მათ არ ახასიათებს მნიშვნელოვანი რისკები და ამ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული

სარგებელი და, შესაბამისად, ამ კონტრაქტებს აღრიცხავს როგორც საოპერაციო იჯარებს.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლები, ძირითადად შედგება მომსახურების გაყიდვებისა და პერიოდული გამოწერებიდან მიღებული შემოსავლისგან. კომპანია აბონენტებს სთავაზობს, „მრავალელემენტიანი გარიგებებით („პაკეტები“) ან სხვაგვარად, რამდენიმე სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა საფასო გეგმით; ასევე, სთავაზობს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ფასდაკლებებს, ხშირად სხვადასხვა აქციასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ან კლიენტებთან ურთიერთობის საშუალო პერიოდის განმავლობაში. თითოეული მისაწოდებელი მომსახურების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება კომპლექსური შეფასებები იყოს საჭირო, მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანია ასევე ყიდის საბითუმო პროდუქციას სხვა ოპერატორებსა და მოვაჭრეებზე სხვადასხვა ქვეყანაში და საზღვრებს მიღმა. მენეჯმენტმა უნდა გააკეთოს შეფასებები შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით, სადაც გარკვეულწილად დაეყრდნობა სხვა ოპერატორებისგან მიღებულ ინფორმაციას მიწოდებული მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა მხარეები სადავოდ ხდიან გადასახდელ თანხებს.

გარდა ამისა, მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა იმ პერიოდის გამოსათვლელად, რომელ პერიოდშიც უნდა აღიაროს შემოსავალი. ეს შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში (მუდამ მზად ყოფნის ვალდებულება) ან ხელშეკრულების განახლების სერიული ან არსებითი უფლებების შემთხვევაში (მაგ., თვიდან თვემდე ხელშეკრულებები). „ვიონის“ მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადის განსაზღვრის პოლიტიკა შემდეგ ფორმულას ეხება:

მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა = 1 + აბონენტების დენადობა

მენეჯმენტი ასევე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულ ტრანზაქციებში კომპანია მთავარი პირის თუ წარმომადგენლის სახით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში, სხვა საკითხებთან ერთად, მთავარი ფაქტორი ის არის, თუ რამდენად ითვლება კომპანია ტრანზაქციებში მთავარ მოვალედ.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

აქტივების ამოგებადი თანხის შეფასება ნაწილობრივ უნდა ეფუძნებოდეს მენეჯმენტის შეფასებებს, მათ შორის დისკონტის განაკვეთის განსაზღვრას, სამომავლო საქმიანობის შეფასებებს, აქტივების მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას, ქონებისა და მოწყობილობების მომავალი შესყიდვების დროსა და რაოდენობას, მომავალი საბაზრო პირობების შესახებ დაშვებებს და მუდმივ გრძელვადიანი ზრდის განაკვეთს (საბოლოო ღირებულება). მენეჯმენტის მიერ შერჩეული დაშვებების შეცვლამ, კერძოდ, დისკონტის განაკვეთის და ზრდის განაკვეთის დაშვებების შეცვლამ, რომლებიც აქტივების ანაზღაურებადი თანხის შეფასებისას არის გამოყენებული, შესაძლოა მნიშვნელოვნი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის მიერ გაუფასურების შეფასებაზე და, აქედან გამომდინარე, შედეგებზე. დეტალები მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

კომპანია, მთლიანობაში, ერთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად ითვლებოდა, რადგან 2G, 3G და 4G LTE ლიცენზიებიდან შემომავალი ფულადი ნაკადები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ვერ გამოირჩევა ერთმანეთისგან.

გაუფასურების გაანგარიშებაში გამოყენებული ვარაუდების სენსიტიურობის ანალიზი მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

გრძელვადიანი აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ეფუძნება მენეჯმენტის მიერ ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდის, სანაშთო ღირებულების, და ქონებისა და მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის მეთოდის შეფასებებს. შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგიური განვითარების, კონკურენციის, საბაზრო პირობების ცვლილებისა და სხვა ფაქტორების გამო, და შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს სავარაუდო ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდში და ამორტიზაციის ან ცვეთის დარიცხულ ოდენობაში. რთულია ტექნოლოგიური განვითარების

პროგნოზირება, ხოლო ჩვენი შეხედულებები ტენდენციებსა და განვითარების ტემპზე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ზოგიერთი აქტივები და ტექნოლოგიები, რომლებშიც კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ გამოიყენება და საფუძვლად უდევს ახალ ტექნოლოგიებს. არამატერიალური აქტივების ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდის კრიტიკული სავარაუდო შეფასებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სავარაუდო საშუალო მომხმარებელთან ურთიერთობით დენადობის საფუძველზე, დარჩენილი ლიცენზიით ან დათმობის პერიოდით და ტექნოლოგიების და ბაზრების მოსალოდნელი განვითარებით.

ქონებისა და მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდი გადაიხედება მინიმუმ ყოველწლიურად, ზემოთ აღნიშნული და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით. მსგავსი ტიპის აქტივებისთვის, ნორმალური ექსპლუატაციის სავარაუდო პერიოდი შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის სხვადასხვა ორგანიზაციების მიხედვით, ადგილობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა ზრდის ტემპი, ბაზრის ვადიანობა, აქტივების ჩანაცვლების ან გადაცემის ისტორია და მოლოდინები, გამოყენებული კომპონენტების ხასიათი და ხარისხი. არამატერიალური აქტივების ფაქტობრივი საექსპლუატაციო ეკონომიური ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი სავარაუდო ნორმალური ექსპლუატაციის ვადისგან და ამით იწვევდეს არამატერიალური აქტივების განსხვავებულ საბალანსო ღირებულებას შეზღუდული ექსპლუატაციის ვადით. ჩვენ ვაგრძელებთ შეზღუდული საექსპლუატაციო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდის შეფასებას რათა განვსაზღვროთ თუ რამდენად იძლევა მოვლენები თუ გარემოებები მოდიფიცირებული ამორტიზაციის პერიოდების გარანტიას. ცვლილება სავარაუდო ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდში არის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში, და შესაბამისად ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების კორექტირებაც.

აქტივების სასარგებლო ექსპლუატაციის დროს 10%-იანი ზრდა ან შემცირება, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოიწვევს მთლიანი ამორტიზაციის ხარჯის ზრდას ან შემცირებას 3,925 ათასი ლარით.

ანარიცხები

კომპანია ექვემდებარება გარკვეულ სამართალწარმოებას, დავებს და პრეტენზიებს, მათ შორის, კომპანიის ბიზნესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ განხილვებს, ლიცენზიებს, საგადასახადო სტატუსს და ინვესტიციებს, ხოლო შედეგები ექვემდებარება მნიშვნელოვან გაურკვევლობას. სხვა ფაქტორებთან ერთად მენეჯმენტი აფასებს არახელსაყრელი შედეგის ალბათობის ხარისხს და ზარალის ოდენობის გონივრული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. გაუთვალისწინებელი მოვლენების ან ამ ფაქტორების ცვლილების შედეგად, კომპანიას შეიძლება მოუწიოს გატარებული თანხების გაზრდა ან შემცირება ან იმ საკითხისთვის გატარება, რომელიც მანამდე არ გატარებულა იმის გამო, რომ არ ითვლებოდა სარწმუნოდ ან შეუძლებელი იყო გონივრული შეფასების გაკეთება.

განვითარებად ბაზრებზე გარკვეულ ოპერაციებთან დაკავშირებით, კომპანია ჩართულია სამართალწარმოებასა და მარეგულირებელ დისკუსიებში. მენეჯმენტის შეფასებებს ამ ქვეყნებში სამართალწარმოებასა და მარეგულირებელ დისკუსიებთან დაკავშირებით ახასიათებს გაურკვევლობის მაღალი დონე.

სესხები

დეტალები და სესხების გამოთვლისას გამოყენებული დაშვებების და ძირითადი შეფასებების სენსიტიურობა მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

6. ახალი და გადახედილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) მიღება. ჯგუფმა ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები,“ მიიღო 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა აირჩია, ხელახლა არ განეცხადებინა შედარებითი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება სტანდარტის პირველად გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის, მდგომარეობით არსებულ საწყის გაუნაწილებელ მოგებაში აღიარა. შესაბამისად, ფასს 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება“) გადამუშავებული მოთხოვნები მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე ვრცელდება. შედარებითი პერიოდის გამჟღავნებად ინფორმაციაში გამეორებულია წინა წელს გამჟღავნებული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდზე მისადაგებული მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა მე-4 შენიშვნაშია აღწერილი. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო

პოლიტიკა, რომელიც შედარებით ინფორმაციას მიესადაგება, წარმოდგენილია 30-ე შენიშვნაში.

ბასს 39-ით ადრე შეფასებულ ფინანსურ აქტივებსა და ფასს 9 სტანდარტის შემოღების შემდეგ განსაზღვრულ თანხებს შორის არსებითად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს არსებითად მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯერებულია ადრე ბასს 39-ით შეფასებული ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებები და 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ფასს 9-ით დადგენილი ახალი თანხები.

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ფასს 9-ის შემოღების შედეგი გადაფასება		საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით - 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ლარში	**ბასს 39**	**ფასს 9**		**მსზ**	**სხვა**	
ფული და ფულის ეკვივალენტები	L&R	AC	1,593	-	-	1,593
სხვა ფინანსური აქტივები						
• სავაჭრო მოთხოვნები	L&R	AC	11,106	-	-	11,106
• სხვა მოთხოვნები	L&R	AC	1,558	-	-	1,558
სულ სხვა ფინანსური აქტივები			**12,664**	**-**	**-**	**12,664**
სულ ფინანსური აქტივები			**14,257**			**14,257**

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფულის და ფულის ეკვივალენტების ყველა კლასი, როგორც მე-13 შენიშვნაშია მოცემული, ბასს 39-ით გათვალისწინებული სესხების და დებიტორული დავალიანებების კატეგორიიდან (L&R) გადაკლასიფიცირდა ფასს 9-ით გათვალისწინებულ ამორტიზებული ღირებულებით (AC) შეფასების კატეგორიაში, სტანდარტის ამოქმედების დღის მდგომარეობით. ფულის და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო ზარალის რეზერვი, ასევე სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უმნიშვნელო იყო.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუფასურების რეზერვისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საკრედიტო ზარალის რეზერვის რეკონსილიაცია. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბასს 39-ით გათვალისწინებული

დამდგარი ზარალის მოდელის შესაბამისად შეფასებული გაუფასურების წინა პერიოდის საბოლოო რეზერვისა და ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი ზარალის მოდელის შესაბამისად შეფასებული ახალი საკრედიტო ზარალის რეზერვის რეკონსილაცია, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ათას ლარში	ბასს 39-ით ან ბას 37-ით გათვალისწინებული რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გაწეულიდან ზარალიდან მოსალოდნელ ზარალამდე პერიოდში წინასწარი შეფასების შედეგი	საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს 9-ის საფუძველზე, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
სესხებისა და მოთხოვნების შეფასების კატეგორია			
• სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,664	-	12,664

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხა. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაში ცვლილებები არ მომხდარა.

ფასს 15-ის, „ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიღება. კომპანიამ ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი გამოიყენა და გადასვლის გამარტივებული მეთოდისთვის საჭირო პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. ფასს 15-ის მიღებამ სააღრიცხვო პოლიტიკაში და ფინანსური ანგარიშგებების კორექტირებაში ცვლილებები გამოიწვია. ფასს 15-ის მიღებით გამოწვეული ძირითადი ცვლილებები ქვემოთ არის მოცემული:

ათას ლარში	ბასს 18-ის საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	ფასს 15-ის საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	გადაუნაწილებელი მოგება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები	-	-	2,002	2,002	2,002

2018 წლის 1 იანვარს შემდეგი შესწორებული სტანდარტები ამოქმედდა კომპანიისთვის, მაგრამ კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ფასს 4-ში, „ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - სტანდარტის გამოყენება ფასს 4 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - სტანდარტთან ერთად“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც დროებითი გათავისუფლების მიდგომას ირჩევენ, ან როდესაც სუბიექტი პირველად იყენებს ფასს 9 სტანდარტს, იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც გადაფარვის მიდგომას ირჩევენ);
- ფასს 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური სრულყოფა - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ფასიკ 22, „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ბასს 40-ში, „საინვესტიციო ქონების გადაცემა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

7. ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ჯერ არ მიუღია.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში - აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დადგენილი თარიღით დაწყებული ან შემდგომი წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება ეხება ფასს 10-სა და ბასს 28-ს შორის არსებულ შეუსაბამობას, ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების

გაყიდვის ან კაპიტალში შეტანის თალსაზრისით. ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც გარიგება ბიზნესს მოიცავს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ამ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია არ ელოდება ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი ადგენს იჯარის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. ყველა იჯარა დასაწყისში მოიჯარისგან მოითხოვს აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას და, თუ საიჯარო გადასახადის გადახდა ხანგრძლივი პერიოდითხდება, აგრეთვე დაფინანსების მიღებასაც. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას, ბასს 17-ის შესაბამისად, და ამის ნაცვლად, ადგენს მოიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივები დაბალი ღირებულების არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაციას, საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით, საშემოსავლო დეკლარაციაში. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას და იჯარის ამ ორ ტიპს განსხვავებულად აღრიცხავს.

კომპანიამ გადაწყვიტა, რომ სტანდარტს გამოიყენებს მისი სავალდებულო მიღების თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, შესწორებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, შედარებადი სიდიდეების გადახედვის გარეშე. ქონების იჯარით სარგებლობის უფლების აქტივები გადასვლისთანავე ფასდება, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა სარგებლობის უფლების აქტივები იზომება საიჯარო ვალდებულების ოდენობით (კორექტირდება ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული ხარჯებისთვის).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს არაგაუქმებადი საიჯარო ვალდებულებები 39,792 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი / 2019 წლის 1 იანვარი
სულ სამომავლო საიჯარო გადახდები არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე	
- იჯარის სამომავლო გადასახადები, რომელიც გადასახდელია იჯარის გაგრძელების ალტერნატივას დაქვემდებარებულ, უდავოდ განხორციელებად პერიოდებში	39,792
- მიმდინარე ღირებულებამდე ფასდაკლების შედეგი	(7,261
სულ საიჯარო ვალდებულებები	**32,531**

ზემოაღნიშნული საიჯარო ვალდებულებებისათვის, კომპანია 2019 წლის 1 იანვარს აღიარებს სარგებლობის უფლების მქონე აქტივებს და საიჯარო ვალდებულებებს დაახლოებით 32,531 ათასი ლარის ოდენობით. სულ ნეტო მოკლევადიანი აქტივები იქნება 8,490 ათასი ლარი, რაც უფრო ნაკლები ოდენობაა, ვალდებულების ნაწილის მოკლევადიან ვალდებულებად წარმოდგენის გამო.

კომპანია ვარაუდობს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის წლის წმინდა მოგება შემცირდება დაახლოებით 7,991 ათასი ლარით, ახალი წესების შემოღების შედეგად. საოპერაციო ფულადი ნაკადები გაიზრდება, ხოლო ფულადი ნაკადების დაფინანსება შემცირდება დაახლოებით 5,924 ათასი ლარით, რადგან საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვა კლასიფიცირდება, როგორც ფულადი სახსრები დაფინანსების საქმიანობიდან.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოქვეყნებულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან). IFRS 17 ანაცვლებს IFRS 4-ს, რომელმაც კომპანიებს მიანიჭა იმის გადაწყვეტის თავისუფლება, რომ სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით ეწარმოებინათ. ამის შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვა მონაცემებით იდენტური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. IFRS 17 სტანდარტი ერთ პრინციპზეა აგებული და დაზღვევის ყველა ტიპის კონტრაქტს აღრიცხავს, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებს, რომლებსაც დამზღვევი ფლობს. სტანდარტი მოითხოვს კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და

შეფასებას შემდეგნაირად: (i) მომავალი ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით დაკორექტირებული მიმდინარე ღირებულება, (გამომუშავებული ფულადი ნაკადების) რომელიც მოიცავს გამომუშავებულ ფულადი ნაკადების შესრულებაზე სრულ არსებულ ინფორმაციას საბაზრო ინფორმაციის შესაბამისად; დამატებული (თუეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტების ჯგუფის გამოუმუშავებელ მოგებას (კონტრაქტის მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან იმ პერიოდისთვის, რა დროსაც ისინი გასცემენ სადაზღვევო კომპენსაციას და თავისუფლდებიან რისკისაგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდა წამგებიანი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია არ ელის ახალი სტანდარტის შედეგად რაიმე უარყოფ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23, „საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ (გამოქვეყნდა 2017 წლის 7 ივნისს და ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12 განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები და არა იმას, თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ გამოიყენება ბასს 12-ში გათვალისწინებული აღიარების და შეფასების მოთხოვნები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გაურკვეველი რეჟიმის შემთხვევაში. სუბიექტმა უნდა განსაზღვროს, თითოეულ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს ცალკე თუ ერთ ან რამდენიმე სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად განიხილავს, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უკეთ პროგნოზირებს გადაწყვეტილებას გაურკვევლობაზე. სუბიექტმა უნდა იცოდეს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს და მიიღებს ყველა იმ დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის შესწავლის და მიღების უფლებაც აქვს. თუ სუბიექტი გადაწყვეტს, რომ საგადასახადო ორგანო გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს არ მიიღებს, გაურკვევლობის შედეგი უნდა აისახოს დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე სავარაუდო ღირებულების ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სუბიექტის აზრით რომელი მეთოდი უკეთ პროგნოზირებს გადაწყვეტილებას გაურკვევლობაზე.

სუბიექტი ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებებს ან იმ ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ შეფასებებზე ან გადაწყვეტილებებზე, ასახავს საბუღალტრო აღრიცხვაში ცვლილებების სახით. ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილების ან ახალი ინფორმაციის მაგალითები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილებებისა ან შეფასებების გადაფასება, მოიცავს (და არა მხოლოდ) საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებულ მოკვლევას ან ქმედებებს, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ წესებში ცვლილებებს ან საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო რეჟიმის შესწავლის ან ხელახალი შესწავლის უფლების ვადის ამოწურვას. საგადასახადო რეჟიმზე საგადასახადო ორგანოს თანხმობის ან წინააღმდეგობის არარსებობა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩაითვალოს ფაქტებსა და გარემოებებში ან იმ ახალ ინფორმაციაში ცვლილებად, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში - „წინასწარი შენატანის მუხლები ნეგატიური კომპენსაციით“ (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან). ცვლილებები კომპანიას საშუალებას აძლევს, ამორტიზებული ღირებულებით გაზომოს ის გარკვეული სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთა წინასწარ გადახდაც ამორტიზებული ღირებულებაზე ნაკლებით თანხითაა შესაძლებელი, მაგალითად, სამართლიანი ღირებულებით, ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს გონივრულ კომპენსაციას, რომელსაც მსესხებელს უხდიან და რომელიც უდრის ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის მიმდინარე ღირებულებას. ამასთან, სტანდარტს დასკვნის საფუძვლების ნაწილში ემატება ტექსტი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფასს 9-ის არსებულ რეკომენდაციას, რომ ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი გარკვეული ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაცია ან კონვერტაცია, რასაც შედეგად არ მოჰყვება აღიარების შეწყვეტა, მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება, როგორც მოგება, ან ზარალი. შესაბამისად, ანგარიშმგებელი სუბიექტები, უმეტეს შემთხვევებში, ვერ შეძლებს სესხის არსებობის დარჩენილი პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადახედვას, რათა თავიდან იქნას აცილებული სესხის მოდიფიცირებისას მისი გავლენა მოგებაზე ან ზარალზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები „ბასს“ 28-ში - გრძელვადიანი ინტერესები პარტნიორებსა და ერთობლივ ვენჩერულ საზოგადოებებში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან 1 იანვრიდან დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში განმარტებულია, რომ ანგრიშმგებელმა სუიექტებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ გრძელვადიანი სესხების, პრიორიტეტული აქციების და მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც წარმოადგენს კაპიტალის აღრიცხვის მეთოდის საინვესტიციო ობიექტში წმინდა ინვესტიციის ნაწილს მანამ, სანამ შემცირდება ასეთი საბალანსო ღირებულება ინვესტიციის ობიექტის ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტიციის ობიექტის ინტერესს ჩვეულებრივ აქციებში.

კომპანია არ ელის ცვლილების არსებით გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების 2015-2017 წლების ციკლის წლიური გაუმჯობესებები - ცვლილებები ფასს 3,11, ბასს 12 და ბასს 23- ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან). მცირემასშტაბიანი ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ის მიხედვით, შემსყიდველმა ხელახლა უნდა შეაფასოს მისი არსებული ინტერესი ერთობლივ ოპერაციაში, როცა ის ბიზნესის საკონტროლო პაკეტს იძენს. ამის საპირისპიროდ, ფასს 11 ახლა ცალსახად განმარტავს, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს მისი არსებული ინტერესი, როცა იგი ერთობლივ ოპერაციაში ერთობლივ საკონტროლო პაკეტს იძენს, მსგავსად მოთხოვნისა, როცა პარტნიორი ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. გადამუშავებული ბასს 12-ის მიხედვით, კომპანია აღიარებს საშემოსავლო გადასახადს, რაც წარმოიშობა დივიდენდის შედეგად, როცა მას აღიარებული აქვს ის ტრანზაქციები და მოვლენები, რომელთა შედეგიც იყო განაწილებადი მოგების მიღება, მაგ.: მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ახლა გასაგებია, რომ ეს მოთხოვნა ყველა გარემოებაზე ვრცელდება, როცა წილად კლასიფიცირებული გადახდები ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგების განაწილებაა, და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთები აქვს. გადამუშავებულ ბასს 23-ში მოცემულია დეტალური ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ როცა ნასესხები სახსრები მიიღება კონკრეტულად დაფინანსებისთვის, კონკრეტული აქტივი აკლდება კაპიტალიზაციისთვის გამოსადეგ საერთო ნასესხები სახსრების ხარჯებს მხოლოდ მანამ,

სანამ კონკრეტული აქტივი ძირითადად არ დასრულდება. კომპანია არ ელის ცვლილების არსებით გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების ცვლილებები (გამოქვეყნდა 2018 წლის 29 მარტს და ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს შეფასების შესახებ ახალ თავს; ფინანსური ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგების ინსტრუქციას; გაუმჯობესებულ დეფინიციებს და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების დეფინიციას; და მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ განმარტებებს, როგორიცაა ლიდერობის როლი, პრუდენცია და ფინანსურ ანგარიშგებაში გაურკვევლობების შეფასება.

მატერიალურობის განმარტება - ცვლილებები ბასს 1 და ბასს 8-ში (გამოიცა 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შევა 2020 წლის 1 იანვრიდან). ცვლილებები განმარტავს მატერიალურის რაობას და თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული და გახდეს დეფინიციების ინსტრუქციების ნაწილი, რომელიც აქამდე ფასს-ში შედიოდა. ამასთან, დეფინიციის თანმხლები განმარტებები გაუმჯობესდა. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ მატერიალურის დეფინიცია ერთნაირია მთელი ფასს სტანდარტების მასშტაბით. ინფორმაცია მატერიალურია (არსებითია) იმ შემთხვევაში, თუ არის იმის გონივრული მოლოდინი, რომ მისმა გამოტოვებამ, არასწორმა განცხადებამ ან გაბუნდოვანებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშების პირველადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ანგარიშის წარმდგენი კონკრეტული კომპანიის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას შეიცავს. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ განმარტებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

8. ქონება და მოწყობილობები

თვითღირებულებით აღრიცხული ქონება და მოწყობილობები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობები	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	CIP*	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,669**	**7,078**	**249,916**	**33,093**	**805**	**1,691**	**51,399**	**18,972**	**364,623**
დამატება	-	-	-	-	-	-	-	38,698	38,698
განკარგვა	-	(523)	(4,981)	(293)	(57)	(420)	(149)	(3,521)	(9,944)
გადაცემა	-	524	41,569	3,,167	182	165	818	(46,425)	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,669**	**7,079**	**286,504**	**35,967**	**930**	**1,436**	**52,068**	**7,724**	**393,377**
დამატება	-	-	231	-	-	-	-	16,255	16,486
განკარგვა	-	(39)	(7,078)	(882)	-	(198)	(2,214)	-	(10,411)
გადაცემა	-	327	12,692	1,075	145	-	782	(15,021)	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,669**	**7,367**	**292,349**	**36,160**	**1,075**	**1,238**	**50,636**	**8,958**	**399,452**
ცვეთა და გაუფასურება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**1,980**	**187,694**	**25,272**	**540**	**1,175**	**43,106**	**7,055**	**266,822**
ცვეთის დარიცხვა	-	355	15,071	3,242	76	174	3,855	-	22,773
განკარგვა	-	(70)	(4,401)	(207)	(37)	(347)	(143)	-	(5,205)
გაუფასურების დარიცხვა	-	-	-	-	-	-	(296)	(3,035)	(3,331)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**2,265**	**198,364**	**28,307**	**579**	**1,002**	**46,522**	**4,020**	**281,059**
ცვეთის დარიცხვა	-	358	17,040	2,687	67	171	2,103	-	22,425
განკარგვა	-	(5)	(6,597)	(873)	-	(197)	(2,213)	-	(9,884)
გაუფასურების დარიცხვა	-	-	75,455	-	-	-	-	(751)	74,703
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**2,618**	**284,262**	**30,121**	**646**	**976**	**46,412**	**3,269**	**368,304**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,669**	**5,098**	**62,222**	**7,821**	**265**	**516**	**8,293**	**11,917**	**97,801**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,669**	**4,814**	**88,140**	**7,660**	**351**	**434**	**5,546**	**3,704**	**112,318**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,669**	**4,749**	**8,087**	**6,039**	**429**	**262**	**4,224**	**5,689**	**31,147**

(*) CIP - მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონებისა და მოწყობილობების განკარგვის ზარალმა შეადგინა 1,485 ათასი ლარი (2017 წელს: ნული).

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს საბაზისო სადგურების მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადადის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც სრულად გაცვეთილია მაგრამ ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგინა დაახლოებით 178,761 ათასი ლარი (2017 წელს: 137,364 ათასი ლარი).

გაუფასურების ტესტი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლის ქცევის ცვლილებების, ბაზრის კონსოლიდაციის, რამაც კონკურენციის ზრდა გამოიწვია, ბიზნეს სტრატეგიის განახლების და მიმდინარე და წინა წლებში სუსტი აქტივობის გათვალისწინებით, მენეჯმენტმა გაუფასურების ტესტი ჩაატარა, რის შედეგადაც გამოვლინდა გაუფასურების ზარალი 132,019 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი გაუფასურების ზარალიდან, 75,455 ათასი ლარი დაკავშირებული იყო კომპანიის სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებთან, ხოლო 56,564 ათასი ლარი - კომპანიის სატელეკომუნიკაციო ლიცენზიებთან, სიხშირეებთან და ნებართვებთან.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი თანხა განისაზღვრა რეალურ ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ღირებულების საფუძველზე. გაუფასურების ტესტის მოდელი მოიცავს 2017 წლიდან 2026 წლამდე საპროგნოზო პერიოდს, მენეჯმენტის მიერ მომზადებული ბოლოდროინდელი ბიზნეს გეგმის საფუძველზე, რომლის შემდეგად გამოითვლება საბოლოო ღირებულება. ხუთწლიანი პერიოდის მიღმა ფულადი სახსრების ექსტრაპოლირება ხდება ქვემოთ მოყვანილი სავარაუდო ზრდის ტემპის გამოყენებით. ზრდის ტემპები არ აღემატება ეკონომიკის იმ ბიზნეს სექტორში გრძელვადიანი საშუალო ზრდის ტემპს, რომელშიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული საქმიანობს.

გამოყენებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოყენებული ვარაუდები, რომელთაგან ამოგებადი თანხა ყველაზე მგრძნობიარეა, არის შემდეგი:

	2018	**2017**
შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი (2019 წლიდან 2023 წლამდე) (2017 წელს: 2018 წლიდან 2022 წლმდე)	1.8%	5.4%
ზრდის ტემპი ხუთწლიანი პერიოდის მიღმა	3% წლიურად	1% წლიურად

დაბეგვრის შემდგომ დისკონტირების განაკვეთი	10.7% წლიურად	10.5% წლიურად

9. არამატერიალური აქტივები

„ვიონი საქართველოს“ არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**118,391**	**28,356**	**1,181**	**147,928**
დამატება	1,550	3,267	62	4,879
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**119,941**	**31,623**	**1,243**	**152,807**
დამატება	1,101	2,400	-	3,501
განკარგვა / ჩამოწერა	(1,809)	(3,770)	-	(5,579)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**119,233**	**30,253**	**1,243**	**150,729**
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**53,301**	**23,700**	**1,161**	**78,162**
ამორტიზაციის დარიცხვა	5,241	3,369	12	8,622
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**58,542**	**27,069**	**1,173**	**86,784**
ამორტიზაციის დარიცხვა	5,887	2,247	-	8,134
განკარგვა / ჩამოწერა	(1,809)	(3,770)	-	(5,579)
გაუფასურების დარიცხვა	52,187	4,377	-	56,564
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**114,807**	**29,923**	**1,173**	**145,903**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**65,090**	**4,656**	**20**	**69,766**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**61,399**	**4,555**	**70**	**66,023**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,426**	**330**	**70**	**4,826**

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ტელეფონები და აქსესუარები	228	77
SIM ბარათები	177	177
საწვავი	130	432
სარეკლამო მასალები	22	101
გადასაფხეკი ბარათები	15	4
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	28	107
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**600**	**898**

2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ადრე ჩამოწერილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ოდენობა 175 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 728 ათასი ლარი). შეცვლილი თანხა შევიდა გაყიდვების ხარჯებში, იმ წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება:		
- მომხმარებლებისგან	2,194	9,778
- ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	4,051	3,690
- როუმინგის პარტნიორებისგან	2,222	1,947
- -ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	2,482	1,856
- დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებიდან	893	290
სხვა	781	1,558
გამოკლებული: გაუფასურების ზარალი	(6,985)	(6,455)
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**5,638**	**12,664**

დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი. 2018 წელს, კომპანიამ განახორციელა მომხმარებლების დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი, 8,029 ათასი ლარის ოდენობით, სს „ვითიბი ბანკი საქართველოსთან“, 7.59% ფასდაკლებით. ამ მოვლენის

შედეგად, შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნების აღიარება შეწყდა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარების გაუქმებიდან მოგებამ 482 ათასი ლარი შეადგინა.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი ძირითადად არ ერიცხება, ზოგადად აქვს 30 დღიანი ვადა და დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. მომხმარებლებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნებს მოწყობილობების გაყიდვიდან, რომელსაც ერიცხება პროცენტი და რომელთა ვადაც ზოგადად შეადგენს 12 თვეს, 18 თვეს და 24 თვეს.

2,512 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2017 წელს: 3,114 ათასი ლარი), გამოკლებული გაუფასურების ზარალი, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად 1,971 ათასი ლარი (2017 წელს: 1,766 ათასი ლარი) აშშ დოლარში, ხოლო 541 ათასი ლარი (2017 წელს: 1,348 ათასი ლარი) - ევროში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ზე გადასვლის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომლის დროსაც არსებობის მანძილზე ზარალის რეზერვი გამოიყენება ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა ერთიდაიგივე საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე 12 თვის განმავლობაში გაყიდვებზე გადახდის პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალზე. კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორს. თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვთ არსებითი გავლენა მომხმარებლების მიერ დებიტორული დავალიანების გადახდის უნარზე, ამიტომ კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას მისი ისტორიული ზარალის მაჩვენებლებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი განისაზღვრება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი რეზერვების მატრიცის შესაბამისად. რეზერვების მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირდება სამომავლო ინფორმაციისთვის.

	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მუდმივი მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვი
ბრუტო სიდიდე %-ში			
სავაჭრო მოთხოვნები			
- მიმდინარე	8%	3,448	282
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	28%	952	262
- 30 დღიდან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	33%	429	141
- 61 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	36%	480	175
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	92%	6,532	5,980
სულ სავაჭრო მოთხოვნები (ბრუტო საბალანსო ღირებულება)		**11,842**	**6,840**
საკრედიტო ზარალის რეზერვი		(6,840	
სულ სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (საბალანსო ღირებულება)		**5,002**	
სხვა მოთხოვნები			
- მიმდინარე	0,01%	2	-
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0,01%	29	-
- 30 დღიდან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	0,01%	47	-
- 61 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	0,01%	21	-
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	21%	682	145
სულ სხვა სავაჭრო მოთხოვნები (ბრუტო საბალანსო ღირებულება)		**781**	145
საკრედიტო ზარალის რეზერვი		(145)	
სულ სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (საბალანსო ღირებულება)		**636**	

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის რეზერვებში ცვლილებები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებული მოდელის საფუძველზე, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის პერიოდში:

ათას ლარში	საკრედიტო ზარალის რეზერვი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(6,455)	**(6,455)**
ახალი შექმნილი ან შეძენილი	(2,698)	**(2,698)**

სულ საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვა მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში	(2,698)	**(2,698)**
ჩამოწერები	2,168	**2,168**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6,985)	**(6,985)**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის თანხების მოძრაობა 2017 წელს არის შემდეგი:

	2017
	სავაჭრო მოთხოვნები
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	**(5,517)**
ცვლილება წლის განმავლობაში	(1,636)
თანხები, რომელიც წლის განმავლობაში ჩამოიწერა, როგორც ამოუღებელი	698
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(6,455)**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე და არაგაუფასურებული:	
დებიტორული დავალიანება:	
- მომხმარებლებისგან	7,378
- ფეი-ბოქსის ოპერატორებისგან	1,031
- ურთიერთკავშირის მომსახურებიდან	735
- როუმინგის პარტნიორებისგან	290
- სხვა	235
	667
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული	**10,336**
ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული:	
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	838
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	564
- 91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებით	526
- 121 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	400
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული	**2,328**
ინდივიდუალურად განსაზღვრული როგორც გაუფასურებული:	
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	41
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	153
	49

- 91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებით	6,212
- 121 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული	**6,455**
მინუს გაუფასურების რეზერვი	**(6,455)**
სულ	**12,664**

12. სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა მიმდინარე არაფინანსური აქტივები შემდეგისგან შედგება:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	1,967	1,783
კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯები	1,646	-
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	2,994	564
სხვა მიმდინარე არაფინანსური აქტივები	**6,607**	**2,347**

სხვა მიმდინარე არაფინანსური ვალდებულებები შემდეგისგან შედგება:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	1,902	2,254
გადავადებული შემოსავალი	3,432	2,234
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	1,698	1,511
სხვა	199	170
სულ მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები	**7,231**	**6,169**

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	57	14
ბანკებში არსებული ფულადი სახსრები	7,079	1,576
გაგზავნილი (გზაში მყოფი) ფულადი სახსრები	13	30
კორპორატიული საკრედიტო ბარათები	40	17
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**7,189**	**1,637**

კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშებიდან. მიმდინარე ანგარიშებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 3%-დან 6%-მდე (2017 წელს: 2% -6%). კომპანიამ მიიღო 264 ათასი ლარის (2017 წელს: 145 ათასი ლარი) ფინანსური შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის გრადაციის საფუძველზე, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე და არაგაუფასურებული		
- სს „საქართველოს ბანკი“ – BB რეიტინგი	3,117	1,379
- სს „ვითიბი ბანკი“ - BB რეიტინგი	2,174	214
- სს „თიბისი ბანკი“ - BB რეიტინგი	1,828	-
სულ მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ნაშთები	**7,119**	**1,593**

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მთლიანი საწესდებო კაპიტალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2 ათას ლარს.

დამატებით გადახდილი კაპიტალი

დამატებით გადახდილი კაპიტალი უკავშირდება სათავო კომპანიებისგან მიღებული სესხების რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას. იხილეთ მე-15 შენიშვნა.

15. სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითსესხები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშეკრულება	საკრედიტო ლიმიტი (აშშდ)	ათვისებული თანხა (აშშდ)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	CCY	დაფარვის ვადა	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
- ვიონ ლუქსემბურგი (i)	# 164	100,000	100,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	125,924
- ვიონ ლუქსემბურგი (ii)	# 179	40,000	40,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	54,884
- ვიონ ლუქსემბურგი (iii)	# 186	30,000	30,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	40,508
- ვიონ ლუქსემბურგი (iv)	# 197	58,000	58,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	72,549
- შპს „ვიონი“ (v)	#164-#197	2,395	2,395	0,0%	აშშდ	31-მარ-32	1,262
სულ გრძელვადიანი სესხები							**295,127**
- ვიონ ლუქსემბურგი (vi)	N/A	5,000	5,000	6,5%	აშშდ	31-დეკ-19	13,914
სულ გრძელვადიანი სესხები							**13,914**
სულ სესხები							**309,041**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები შედგებოდა შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშეკრულება	საკრედიტო ლიმიტი (აშშდ)	ათვისებული თანხა (აშშდ)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	CCY	დაფარვის ვადა	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
- ვიონ ლუქსემბურგი (i)	# 164	100,000	100,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	107,885
- ვიონ ლუქსემბურგი (ii)	# 179	40,000	40,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	47,022
- ვიონ ლუქსემბურგი (iii)	# 186	30,000	30,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	34,705
- ვიონ ლუქსემბურგი (iv)	# 197	58,000	58,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	62,156
- შპს „ვიონი“ (v)	#164-#197	2,395	2,395	0,0%	აშშდ	31-მარ-32	1,082
სულ გრძელვადიანი სესხები							**252,850**
სულ სესხები							**252,850**

OJSC Vimpelcom (სათავო კომპანია) რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციაში და წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ არსებულ ორგანიზაციას. კომპანიის ფინანსური საჭიროებების და ქსელის განვითარებისა და საბრუნავი კაპიტალის შევსების

მიზნით, დროდადრო, საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაცია უზრუნველყოფს კომპანიას საკრედიტო საშუალებებით.

2015 წლის განმავლობაში OJSC Vimpelcom-ის სესხების გადაფორმება მოხდა „ვიონ ამსტერდამი ბი.ვი.“-თვის (ყოფილი Vimpelcom Amsterdam BV) და იმავე დღეს მათი გადაფორმება მოხდა VEON Luxembourg Finance S.A.-ის სახელზე (შემდგომში „ვიონ ლუქსემბურგი“) (ყოფილი Weather Capital Special Purpose 1 S.A.) - საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციისთვის - ქვემოთ განხილული გარკვეული მოდიფიკაციებით:

(i) 2006 წლის 20 სექტემბერს, ,,ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 164 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 60,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2009 წლის 20 სექტემბრამდე. ძირი თანხის და პროცენტის გადახდა უნდა მომხდარიყო ვადის ბოლოს. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე და N 164 სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო საშუალება 60-დან 100 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

(ii) 2007 წლის 14 დეკემბერს, ,,ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 179 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 40,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის დაფარვის ვადა იყო 2010 წლის 14 დეკემბერი. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

(iii) 2008 წლის 24 ივლისს ,,ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 186 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 30,000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2011 წლის 24 ივლისი. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

(iv) 2008 წლის 5 დეკემბერს, „ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 197 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 20,000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2011 წლის 5 დეკემბერი. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე და N 164 სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო საშუალება 58 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

(v) 2015 წლის 26 მარტის ცვლილებებით, თავდაპირველი სესხის ხელშეკრულებებითა და მათი შესწორებებით გათვალისწინებული ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც განმარტებულია ზემოთ i – iv პუნქტებში, გადაფორმდა „ვიონ ლუქსემბურგზე“ (ყოფილი Weather Capital Special Purpose 1 S.A.), გარდა 2,395 აშშ დოლარის ოდენობის დარიცხული პროცენტისა, რომელიც შეინარჩუნა შპს „ვიონმა“ და რომლის ვადა არის 2032 წლის 31 მარტამდე.

(vi) 2018 წლის 9 იანვარს, „ვიონ საქართველომ“ ხელი მოაწერა # 197 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 5,000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 6,5%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2018 წლის 30 ივნისი. 2018 წლის 19 ივნისის ცვლილების თანახმად, სესხის დაფარვის ვადა გახანგრძლივდა 2019 წლის 31 დეკემბრამდე. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

მენეჯმენტმა დაადგინა საპროცენტო განაკვეთების კომერციული დიაპაზონი (i-iv შენიშვნა) 9.56%-დან 15,99%-მდე, Moody's რეიტინგის სისტემისა და ბლუმბერგის პროფესიონალური პლატფორმის გამოყენებით, და 2018 და 2017 წლების საბაზრო საპროცენტო განაკვეთად გამოიყენა ამ დიაპაზონის საშუალო მაჩვენებელი, 13.04%. რეალურ (13.04%) და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა აღიარდა როგორც ფინანსური ინსტრუმენტის კაპიტალის კომპონენტი და აღირიცხა როგორც კაპიტალში დამატებით გადახდილი თანხა.

2018 წლის იანვარში გაცემულ ახალ სესხზე, მენეჯმენტმა დაადგინა საბაზრო (კომერციული) საპროცენტო განაკვეთი 8.5%-ის ოდენობით, საბაზრო საპროცენტო

განაკვეთების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის გამოყენებით. საბაზრო (8.5%) და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობა აღიარდა როგორც ფინანსური ინსტრუმენტის კაპიტალის კომპონენტი და აღირიცხა როგორც კაპიტალში დამატებით გადახდილი თანხა 477 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წელს, სესხებსა და კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 33,338 ათას ლარს (2017 წელს: 26,594 ათას ლარს).

2018 და 2017 წლებში, სესხების დაფარვა არ მომხდარა.

წმინდა ვალის შეჯერება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს წმინდა ვალის ანალიზს და ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებების მოძრაობებს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებათა პოზიციები მოცემულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, დაფინანსების პოზიციაში:

	სესხები
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**214,053**
ფულადი ნაკადების შემოდინება	44,638
საპროცენტო ხარჯი	26,594
რეალური ღირებულების კორექტირება აქციონერების სესხზე	(30,882)
კურსთაშორისი სხვაობა	(1,553)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**252,850**
ფულადი ნაკადების შემოდინება	12,773
საპროცენტო ხარჯი	33,338
რეალური ღირებულების კორექტირება აქციონერების სესხზე	(477)
კურსთაშორისი სხვაობა	10,557
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**309,041**

16. აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება

საბაზო სადგურები უკაბელო ქსელებისთვის აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის

პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება შეადგენდა 4,279 ათას ლარს (2016 წელს: 3,672 ათასი ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებაში მოძრაობა:

	სესხები
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,672**
დამატება ქონებასა და მოწყობილობებზე	72
ცვლილებები ქონებასა და მოწყობილობებთან მიმართებაში კორექტირებულ შეფასებებში	112
უტილიზაცია	24
ახლანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	399
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,279**

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი თანხები (ვალდებულებები):		
- მომსახურებისთვის	26,100	25,610
- გრძელვადიანი აქტივებისთვის	9,545	10,373
- როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის	1,227	5,686
- ურთიერთდაკავშირებისთვის	1,276	3,028
- ადგილის ქირისთვის	1,370	1,507
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის	1,485	1,091
- როუმინგისთვის	606	738
სხვა	1,193	1,270
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**42,802**	**49,303**

ზემოხსენებული ფინანსური ვალდებულებების პირობები: სალიცენზიო მოსაკრებლის გადასახადი სრულად დაიფარა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა სხვა

გადასახდელ თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება და ჩვეულებრივ იფარება 30-დან 90 დღემდე ვადაში.

18. შემოსავლის ანალიზი კატეგორიების მიხედვით

მომსახურებიდან შემოსავალი მოიცავდა შემდეგს, 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

	2018	2017
შემოსავალი ხმოვანი მომსახურებიდან	40,888	48,169
შემოსავალი ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	23,077	28,179
სმს, მმს, GPRS, სხვა	33,882	21,565
სტუმრის როუმინგი	4,841	3,052
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1,587	2,024
შემოსავალი საკუთარი აბონენტების როუმინგის მომსახურებიდან	1,036	1,082
აბონენტების ავანსების ჩამოწერა	34	635
სხვა	1,217	845
სულ მომსახურებიდან შემოსავალი	**106,562**	**105,551**

2014 წლიდან, „ვიონ საქართველო“ შეუერთდა ფასდაკლების პროგრამას, რომელსაც მართავდა მასთან დაკავშირებული კომპანია - საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაცია, რომლის თანახმადაც, „კომპანია“ სთავაზობს ფასდაკლებებს როუმინგის მომსახურებაზე უცხოურ ოპერატორებს და ახდენს მის გამოქვითვას „სტუმრის როუმინგის“ შემოსავლიდან. ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს დაკავშირებული კომპანია საერთაშორისო როუმინგული ტრაფიკის გამოყენების საფუძველზე. 2018 წელს, „კომპანიამ“ აღრიცხა 948 ათასი ლარის (2017 წელს: 1,904 ათასი ლარი) ფასდაკლება.

სრული შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში.

19. მომსახურების ხარჯები

31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, მომსახურების ხარჯები შემდეგისგან შედგებოდა:

	2018	2017

ურთიერთდაკავშირების ღირებულება	27,963	34,817
მონაცემთა გადაცემის მომსახურების ღირებულება	1,758	2,008
როუმინგის ღირებულება	481	806
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	764	767
კონტენტის ღირებულება	1,074	738
გაყიდული SIM ბარათების ღირებულება	54	726
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	18	97
სხვა	26	81
სულ მომსახურების ღირებულება	**32,138**	**40,040**

20. სხვა სოპერაციო ხარჯები

	2018	2017
საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა	3,282	2,250
პროფესიული მომსახურების საფასური*	2,975	2,437
მოწყობილობების და აქსესუარების ხარჯი	2,713	11,268
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი (შენიშვნა N 11)	2,698	1,636
საოფისე ფართის ქირა	2,053	2,110
საკონტრაქტო ხარჯების ამორტიზაცია	1,716	-
საგადასახადო ხარჯები საშემოსავლო გადასახადის გარდა	1,505	1,661
ქონების გადასახადი	1,236	1,339
მარეგულირებლის საფასური	848	1,011
გაყიდული მოწყობილობების დაზღვევის საფასური	426	1,792
მივლინებები	317	676
დილერის საკომისიო	240	1,983
ჩასარიცხი ტერმინალების მომსახურების საკომისიო	31	37
სხვა	739	783
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**20,779**	**28,983**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 436 ათას ლარს - ხარჯი, რომლის გაწევაც მოხდა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მიწოდებული აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

20. მენეჯმენტის ანაზღაურება

2017 წლის 16 მარტს, კომპანიამ შპს „ვიონთან“ გააფორმა გენერალური მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვრიდან და რომელიც გულისხმობდა შპს „ვიონის“ მიერ მართვის მომსახურების მიწოდებას, შემდეგის ჩათვლით: ფინანსური და საბუღალტრო მომსახურება, სახაზინო მომსახურება, საგადასახადო მომსახურება, ინვესტორთან ურთიერთობების მომსახურება, გარანტიის უზრუნველყოფის მომსახურება და შერწყმისა და შეძენის (M&A) მომსახურება.

გენერალური მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, „ვიონი საქართველომ“ 2018 წელს გასწია ხარჯები შპს „ვიონის“ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით (2017 წელს: მენეჯმენტის ანაზღაურება, მათ შორის 1,261 ათასი ლარი, რომელიც დაკავშირებული იყო „დიდი მონაცემების ანალიზთან“, რომელიც განხორციელდა „ვიონის“ ტექნოლოგიური მხარდაჭერის აქტივობის ფარგლებში, და 593 ათასი ლარის ხარჯი „კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრისთვის“).

22. ფინანსური ხარჯები

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	33,338	26,594
ქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებების ხარჯი; მიმდინარე ღირებულების დისკონტის გაუქმება (შენიშვნა N 16)	411	398
გრძელვადიანი აქტივების ვალდებულებები: ახლანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება (შენიშვნა N 17)	-	618
სულ ფინანსური ხარჯები	33,749	27,610

23. საშემოსავლო გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან, საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება განაწილებულ მოგებაზე, ამდენად, გადავადებული გადასახადების აღიარება არარელევანტურია (შენიშვნა N 4).

24. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად ითვლება, რომ მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როდესაც მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ

მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და არსებული ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიერ გადასახდელი თანხები	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები	როუმინგის ფასჩამოკლებები	როუმინგის ფასდაკლებები
უშუალო სათავო კომპანია						
OJSC Vimpelcom	1,690	605	552	1,078	226	25
შპს „ვიონ“	-	2,749	24	16,240	-	-
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციები						
„ვიონ ლუქსემბურგი“	-	33,200	-	307,779	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	7,831	8,803	2,076	3,790	203	10

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და არსებული ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიერ გადასახდელი თანხები	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები	როუმინგის ფასჩამოკლებები	როუმინგის ფასდაკლებები
უშუალო სათავო კომპანია						
OJSC Vimpelcom	7,097	8,153	745	1,260	207	11
შპს „ვიონ“	4	6,186	23	12,785	-	-
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციები						
„ვიონ ლუქსემბურგი“	-	26,474	-	251,768	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	1,074	4,450	829	3,840	164	17

სესხები დაკავშირებული მხარეებისგან მოცემულია შენიშვნაში N 15.

მთლიანი ანაზღაურება მმართველი მენეჯმენტისთვის (მათ შორის გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილის, ფინანსური დირექტორის, კომერციული დირექტორის, მთავარი ტექნოლოგიური მენეჯერის, მთავარი

საინფორმაციო მენეჯერის, ადგილობრივი შესაბამისობის მენეჯერის, მთავარი ციფრული მენეჯერის და ადამიანური რესურსებისა და ადმინისტრაციის უფროსის), რომელიც გატარებულია „გაყიდვების, ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში“ (შენიშვნა N 20), შეადგენდა 2,806 ათას ლარსა და 3,141 ათას ლარს, შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის. ანაზღაურება მმართველი მენეჯმენტისთვის ძირითადად შედგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასებისა და საოპერაციო შედეგების მიხედვით დარიცხული ბონუსებისგან.

25. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანი არის კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ექვივალენტები, რომლებიც უშუალოდ მისი ოპერაციებიდან არის წარმოქმნილი.

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო ფასების რისკი;
- ლიკვიდობის რისკი.

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის აღნიშნული რისკების სამართავად დადგენილი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები, და მათი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც გამომდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, არის შემდეგი:

- სავაჭრო მოთხოვნები;
- ფული და ფულის ექვივალენტები;

- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- სესხები და კრედიტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო გაყიდვებისგან წარმოქმნილ საკრედიტო რისკებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია წარმოდგენილია ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობასთან ასოცირებული ცალკეული ყველაზე დიდი რისკია. ამიტომ, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მის საკრედიტო რისკის პოზიციას.

რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL ფულადი ნაკადების სამომავლო დანაკლისის დისკონტირებული ღირებულების ალბათობის მიხედვით შეწონილი შეფასებაა. (ანუ, საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილი, იმ რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს და შეწონილია ამ დანაკარგების მოხდენის ალბათობით). ECL მიდგომა მიუკერძოებელია და განისაზღვრება ყველა შესაძლო შედეგის დიაპაზონის შეფასებით. ECL შეფასების მიდგომისთვის ჯგუფი იყნებს ოთხ კომპონენტს, ესენია: დეფოლტის ალბათობა (PD), პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დისკონტის განაკვეთი.

EAD მეთოდი პოზიციას აფასებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის თარიღით და ითვალისწინებს პოზიციაში მოსალოდნელ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვას და დამტკიცებული

ლიმიტებიდან მოსალოდნელ გატანებს. EAD სესხებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ფასდება კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) გამოყენებით. დეფოლტის ალბათობა (PD) დეფოლტის შესაძლებლობის წინასწარი შეფასებაა, რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს. LGD იმ ზარალის წინასწარი შეფასებაა, რომელსაც დეფოლტის დროს ექნება ადგილი. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, მათ შორის უზრუნველყოფის რეალიზიციიდან მისაღებ, შორის განსხვავებას. როგორც წესი, ის გამოისახება EAD-ის პროცენტის სახით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მოსალოდნელი დანაკარგების მიმდინარე ღირებულება გამოითვლება, რომლის დროსაც დისკონტის განაკვეთის როლში გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) ან მისი მიახლოებითი შეფასება.

მენეჯმენტი ახდენს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. 12 თვის ECL არის არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოეშობა დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 12 თვის განმავლობაში მოხდეს, ან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდი, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასებული ECL-ი, დროის პერიოდის შეფასებებია და არა მთელი ციკლის, რაც, როგოც წესი, საზედამხედველო მიზნებისთვის გამოიყენება. ეს შეფასებები ითვალისწინებს საპროგნოზო ინფორმაციას, ანუ ECL-ი ასახავს საკრედიტო რისკზე ზეგავლენის მქონე მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობის მიხედვით შეწონილ განვთიარებას.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნებისთვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როცა პოზიცია აკმაყოფილებს ერთ ან მეტ ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმს:

- მსესხებლის მიერ 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის გარდაცვალება;
- მსესხებლის გადახდისუუნარობა; და

ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანია სრულად უსადაგებს დეფოლტის განმარტებას კრედიტით გაუფასურებული აქტივების განმარტებას. ზემოთ მითითებული დეფოლტის განმარტება ვრცელდება კომპანიის ფინანსური აქტივების ყველა ტიპზე.

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგ ერთ ან მეტ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ან საყრდენ. ბანკთაშორისი ოპერაციებისა და ბონდებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით.

კომპანია პორტფელის მიხედვით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. როცა შეფასება პორტფელის მიხედვით ტარდება, კომპანია განსაზღვრავს პოზიციების ეტაპებს და კოლექტიურად ადგენს დანაკარგების რეზერვს.

ზოგადად ECL მიიღება საკრედიტო რისკების შემდეგი პარამეტრების გამრავლებით: EAD, PD და LGD, რომელთა განმარტებებიც ზემოთაა მოცემული. აღნიშნული პარამენტრების კალკულაციასას, დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკების პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით თითოეული მომავალი კვარტლისთვის თითოეული ინდივიდუალური პოზიციის ან კოლექტიური სეგმენტის არსებობის მთელი პერიოდისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდებაერთმანეთზე.. ამგვარად ხდება ECL-ის გამოთვლა თითოეული სამომავლო პერიოდისთვის. შემდეგ ის დისკონტირდება საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და ჯამდება. ECLის გაანგარიშებაში გამოყენებული დისკონტური განაკვეთი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი შეფასებაა.

საბაზრო ფასის რისკი

საბაზრო ფასების რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო რისკისგან.

(ა) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება მერყევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე მოზიდული დაფინანსების კუთხით, რადგან ყველა ფინანსურ ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

(ბ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს, რომლებიც დენომინირებულია მისი ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში.

უცხოური სავალუტო კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით, კომპანიის რისკი უკავშირდება მშობელი კომპანიისგან მის ფინანსირებას. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. ამ კონკრეტული ფულადი ნაკადების გარდა, კომპანია მიზნად ისახავს შესაბამის ვალუტაში არსებული ხარჯებისა და ინვესტიციების დაფინანსებას და სავალუტო რისკის მართვას ადგილობრივ დონეზე იმ ვალუტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანით, რომელშიც ის იღებს შემოსავალს და რომლითაც ის გასწევს ხარჯებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია სენსიტიურობა აშშ-ს დოლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებებთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი არის მუდმივი. გადასახადების დაქვითვამდე კომპანიის მოგებაზე გავლენა განპირობებულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებით.

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით (2017 წელს: გამყარება 10%-ით)	(33,553)	(33,553)	(27,884)	(27,884)
აშშ დოლარის დაკლება 10%-ით (2017 წელს: დაკლება 10%-ით)	33,553	33,553	27,884	27,884
ევროს გამყარება 10%-ით (2017 წელს: გამყარება 10%-ით)	(37)	(37)	(28)	(28)
ევროს დაკლება 10%-ით (2017წელს: დაკლება 10%-ით)	37	37	28	28

კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება სავალუტო რისკს, წარმოდგენილია ქვემოთ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო ბალანსის უწყისის პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო ბალანსის უწყისის პოზიცია
აშშდ	1,819	(337,346)	(335,528)	4,199	(283,042)	(278,743)
ევრო	455	(826)	(371)	806	(2,016)	(1,210)
სულ	**2,272**	**(338,172)**	**(335,899)**	**5,005**	**(285,058)**	**(280,053)**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან, ფინანსირების დანახარჯებიდან და სავალო ინსტრუმენტებზე ძირი თანხის გადახდებიდან და იჯარის საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შეექმნება ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სირთულე დაფარვის ვადის დადგომისას.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და კრედიტები	309,041	-	15,082	-	1,492,364	1,507,446
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	42,802	42,802	-	-	-	42,802
	351,843	**42,802**	**15,082**	**-**	**1,492,364**	1,550,248

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და კრედიტები	252,850	-	-	-	1,451,515	**1,451,515**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,303	49,303	-	-	-	**49,303**
	302,153	**49,303**	**-**	**-**	**1,451,515**	**1,500,818**

26. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის ამოცანებია დაიცვას კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს აქციონერებისთვის ამონაგების განაწილება და სხვა დაინტერესებული პირებისთვის

პრივილეგიების მინიჭება და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებზე გადასახდელი დივიდენდების ოდენობა, აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოსცეს ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები, ვალის შემცირების მიზნით. კომპანიის მენეჯმენტს შემუშავებული არ აქვს კაპიტალის მართვის მკაფიო პროცედურა.

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულებით შეფასებები გაანალიზებულია რეალური ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით: (i) პირველი დონის შეფასებები არის კოტირებულ ფასებზე (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების მეთოდები, სადაც ყველა მნიშვნელოვანი შეყვანილი ინფორმაცია არის პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებადი ამა თუ იმ აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი შესაყვანი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციის დროს მენეჯმენტი იყენებს განსჯის მეთოდს რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულია დაკვირვებადი შესაყვანი მონაცემები, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს არის მესამე დონის შეფასება. შეფასების შესაყვანი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასებასთან მიმართებაში.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ათას ლარში	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ეკვივალენტები	7,189	-	-	**7,189**	1,637	-	-	**1,637**

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	6,003	**6,003**	-	-	12,664	**12,664**
სულ ფინანსური აქტივები	**7,189**	-	**6,003**	**13,192**	**1,637**	-	**12,664**	**14,301**

ათას ლარში	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**	**საბალანსო ღირებულება**	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**საბალანსო ღირებულება**
ვალდებულებები								
- სესხები და კრედიტები	-	-	309,041	**309,041**	-	-	252,850	**252,850**
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	43,282	**43,282**	-	-	49,303	**49,303**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	-	**352,323**	**352,323**	**-**	-	**302,153**	**302,153**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეტანილია იმ ოდენობით, რომელზედაც შესაძლოა გაიცვალოს ინსტრუმენტი მოსურნე მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციის დროს, გარდა იძულებითი ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები დაახლოებით უდრის მათ საბალანსო ღირებულებებს, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ვადიანობით;
- სესხებისა და კრედიტების რეალური ღირებულება განისაზღვრა უპირატესად გავრცელებულ საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე მითითებით 2018 წლის 31 დეკემბერს (შენიშვნა N 15);
- ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულებებიც განმარტებულია, შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე.

28. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

სასამართლო საქმისწარმოება. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობის რეჟიმში, შესაძლოა მიღებულ იქნეს პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. საკუთარი შეფასებით მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ განიცდის იმაზე მეტ მატერიალურ ზარალს პრეტენზიებთან დაკავშირებით, ვიდრე გათვალისწინებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად არის ბუნდოვანი, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და რომლის განსხვავებული ინტერპრეტაციები გააჩნია სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და გამოძიებას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მძიმე ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ გადახედვისთვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო მეტხანსაც დარჩეს ღიად.

ამ გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად წარმოადგინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაძლოა მათი ეფექტი ამ ფინანსურ ინფორმაციაზე იყოს მნიშვნელოვანი, თუ ეს ორგანოები შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას.

2017 წლის 27 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა დაიწყო შპს „ვიონი საქართველოს“ საგადასახადო შემოწმება 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საგადასახადო პერიოდისთვის. საგადასახადო შემოწმება დასრულდა 2018 წლის 27 მარტს, რომლის საფუძველზეც, კომპანიის მიერ გადასახადელი გადასახადები შემცირდა 444 ათასი ლარით.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2015 წლის 29 იანვარს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის N 56/1 გადაწყვეტილებით, კომპანიას მიენიჭა

ლიცენზია F97 15 წლის ვადით, 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე, კომპანიისთვის კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებებით იმისთვის, რომ გაეფართოვებინა მისი დაფარვის ტერიტორია 90%-მდე 2020 წლის 1 თებერვლამდე, სადაც მოსახლეობა 5 ათასზე ნაკლებია.

2016 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის N 851/1 და N 855/1 გადაწყვეტილებებით, კომპანიას მიენიჭა F101 და F102 ლიცენზიები 15 წლის ვადით, 2016 წლის 29 დეკემბრიდან 2031 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, კომპანიისთვის კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებებით იმისთვის, რომ გაეფართოვებინა მისი დაფარვის ტერიტორია საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 30%-მდე ერთი წლის განმავლობაში, და 90%-მდე - სამი წლის განმავლობაში.

კომპანიამ უკვე გამოყო საჭირო რესურსები ამ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კომპანია მიიჩნევს, რომ მომავალი წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება ამ და ნებისმიერი ანალოგიური ვალდებულებების დასაფარავად.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება.

საბაზო სადგურები უკაბელო ქსელებისთვის აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით (შენიშვნა N 16).

29. საანგარიშო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, 2019 წლის იანვარში, კომპანიამ გაყიდა თბილისში, ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე 4,300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.06.011.077) 1,904 ათას ლარად.

30. 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

ქვემოთ განმარტებულია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული შესადარი პერიოდისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შეცვლილია ფასს 9-ით და ფასს 15-ით:

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივებს განეკუთვნება შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდი ფინანსური აქტივები; (გ) ვადის დადგომამდე ხელთარსებული ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულების მქონე ფინანსური აქტივები ორი ქვეკატეგორიისგან შედგება: (i) პირველადი აღიარებისთვის საჭირო აქტივები, და (ii) სავაჭროდ განკუთვნილი აქტივები.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დასადგენი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომლის გაყიდვასაც აპირებს კომპანია უახლოეს პერიოდში. კომპანიის სესხები და დებიტორული თანხები მოიცავს „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს“ და „ფულს და ფულის ეკვივალენტებს“ ფინანსური მდგომარეობის ცალკეულ ანგარიშში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც კომპანია მიაწვდის საქონელს ან გაუწევს მომსახურებას ხელშეკრულების საფუძველზე, შემოსავლების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შევა. ყველა შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით და მოცემულია წმინდა სახით დღგ-ს გარეშე, ხოლო მომსახურების გაწევისგან მისაღები შემოსავალი მოცემულია დამატებით აქციზის გადასახადის გარეშე.

მომსახურებიდან შემოსავლები

მომსახურებიდან შემოსავლები მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ

საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (დღმ) საფასურს. დღმ მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას. დღმ-სთან დაკავშირებული კონტენტიდან შემოსავალი წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, შემოსავლის განაწილების ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, შემოსავალი ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

შემოსავლები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში პროპორციულად. გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, შემოსავალი ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის შეგროვების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი შემოსავალი გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (დებიტორული) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (ავანსები) ნაშთების შემთხვევაში, უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

ქსელში ჩართვიდან და როუმინგიდან შემოსავალი

ქსელში ჩართვიდან შემოსავალის მიღება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „ვიონ საქართველოს“ ქსელში წყდება.

როუმინგიდან შემოსავლები მოიცავს „ვიონ საქართველოს“ მომხმარებლეისგან შემოსავალებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის ქსელის საზღვრებს გარეთ და „ვიონ საქართველოს“ ქსელში თავისი მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის სხვა უსადენო მატარებლებიდან შემოსავლებს. ორივე შემოსავლის ნაკადის შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევისას დამუშავებული ტრაფიკის პროტოკოლის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მატარებლებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარი ხორციელდება.

ქსელში ჩართვის გადასახადი

„ვიონ საქართველო“ გადაავადებს ავანსად გადახდილ სატელეკომუნიკაციო ქსელში ჩართვის გადასახადებს. შემოსავლის გადავადება აღიარდება სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდზე ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაზე.

ავანსად გადახდილი (სააბონენტო) გადასახადები

ყველა სპეციალური მომსახურების ან ფასდაკლების შეთავაზება აქტიურია ერთი თვის განმავლობაში (გახანგრძლივება არ არსებობს). აქედან გამომდინარე, „ვიონ საქართველო“ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში გადაავადებს ავანსად გადახდილ სააბონენტო გადასახადებს. გარდა ამისა, „ვიონ საქართველო“ სატარიფო გეგმის ცვლილების მომსახურებისთვის აბონენტებზე დაკისრებულ გადასახადებს გადაავადებს სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდით ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

მოწყობილობების გაყიდვა

მოწყობილობების გაყიდვა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე მომსახურებაზე დამატების სახით (მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულება). ცალკეული მობილური მოწყობილობის, მაგალითად, პორტატული ტელეფონის აპარატის, გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოწყობილობა გაიყიდა მომხმარებელზე, ან თუ შუამავლის მეშვეობით გაიყიდა, როდესაც მოწყობილობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები გადაეცემა შუამავალს და შუამავალს ზოგადად არ აქვს დაბრუნების უფლება ან, თუ დაბრუნების უფლება არსებობს, როდესაც ასეთი უფლება ამოიწურება.

მოწყობილობების გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი აქვს. როდესაც დაფინანსება არის მოწყობილობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ფასდაკლება გამოიყენება გარიგების ფასის ელემენტზე და არა მთლიანი გარიგების ფასზე.

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად „ვიონ საქართველო“ ერთზე მეტ მომსახურებას აწვდის. მომსახურება/პროდუქტები შეიძლება მოეწოდოს ან კომპლექტად „შეიფუთოს“ სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფებში, თუ ისინი ერთი შეთანხმების ელემენტებს წარმოადგენს.

მომხმარებლის პერსპექტივა მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისას, შეიცავს თუ არა ტრანზაქცია მრავალ ელემენტს ან არის თუ არა ის ერთ-ელემენტიანი გარიგება. შედარებითი რეალური ღირებულების მეთოდი გამოიყენება იმ ღირებულების დასადგენად, რომელიც უნდა მიენიჭოს მრავალ-ელემენტიანი ხელშეკრულების თითოეულ ელემენტს. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ინდივიდუალური ნივთის გასაყიდი ფასი. თუ ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ ამ ნივთის მიწოდება, მაგრამ მოხდა მისი გაყიდვა სხვა მომწოდებლების მიერ, რეალური ღირებულება არის ფასი, რომელზედაც იყიდება ნივთები სხვა მომწოდებლების მიერ.

დილერის საკომისიო

დილერის საკომისიო გატარებულია ხარჯებში როგორც მომხმარებლის შეძენის ხარჯი („მომსახურების ხარჯები“) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როდესაც ხდება მომსახურების მიწოდება.

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვიონი-ს ხელმძღვანელობას და აქციონერებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვიონი-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”-ები) და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს, და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს

ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერსი საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 6 ნოემბერი, წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის ანგარიშის თარიღს და არ მოიცავს მმართველობით ანგარიშზე ჩვენს დასკვნას, რომლის თარიღია 2019 წლის 24 დეკემბერი.

თბილისი, საქართველო

კომპანია ვიონი საქართველოს

მმართველობითი ანგარიშგება

2018 წელი

სარჩევი

კომპანიის შესახებ 3

საქმიანობის მიმოხილვა და კონკურენტების ანალიზი.....4

კომპანიის გაყიდვის ოფისები.....6

კომპანიის განვითარების გეგმები.....6

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....7

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ.....8

ძირითადი რისკების ანალიზი.....9

კომპანიის შესახებ

კომპანია ვიონი საქართველო დაარსდა 2003 წლის 19 ნოემბერს შპს ვიმპელკომის სახელით. კომპანიის სახელის ცვლილება მოხდა 2017 წლის 5 დეკემბერს და გახდა შპს ვიონი საქართველო. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია ნომრით 204450584, შემდეგ მისამართზე: ბამბის რიგი #8, თბილისი, საქართველო. ფაქტობრივი მისამართია: წერეთლის გამზირი #118ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები არიან Watertrail Industries Ltd (BVI), რომელიც ფლობს 51%-ს, Investico Alliance Ltd (BVI), რომელიც ფლობს 29%-ს და Miren Ltd (BVI), რომელიც კომპანიაში ფლობს 20%-ს. ვიონი საქართველოს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს VEON Ltd, რომლის სათაო ოფისი ამსტერდამში მდებარეობს. VEON-ის აქციები განთავსებულია NASDAQ-ისა (ნიუ იორკი) და Euronext-ის (ამსტერდამი) საფონდო ბირჟებზე. VEON-ი მსოფლიოს 10 ქვეყანაში 210 მილიონ მომხმარებელზე მეტს აწვდის ხმოვან, ფიქსირებულ და ინტერნეტ მომსახურებას.

ვიონი საქართველოს საქმიანობა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას, ესენია: მობილური სატელეფონო მომსახურება და სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან დაკავშირებული საბითუმო (ძირითადი ქსელი) საქმიანობები (დაშვება).

მობილური სატელეფონო მომსახურება მოიცავს მობილური ტელეფონის საშუალებით განხორციელებულ საუბარს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, ხმოვან შეტყობინებას, მუსიკალურ შეტყობინებას, მულტიმედიურ შეტყობინებას, მობილურ ინტერნეტს, GPRS ინტერნეტს, მობილურ და სხვა მობილურ საკომუნიკაციო მომსახუროებას.

დაშვება მოიცავს განსაზღვრული პირობებით ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის უზრუნველყოფას; ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებითა და მათი თავისუფალი რესურსებით, ანძებით და ბოძებით სარგებლობის უზრუნველყოფას; თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას; მობილური საკომუნიკაციო ქსელის ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით) სარგებლობის უზრუნველყოფას.

ვიონი საქართველოს (ბრენდი ბილაინი) მეშვეობით პირველი მობილური ზარი 2007 წლის 15 მარტს განხორციელდა. მას შემდეგ კომპანია დინამიურად ვითარდება და სადღეისოდ მის 1.3 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს 2G GSM 900/1800MHz, 3G 2100 MHz და 4G/LTE 800 MHz უსადენო მომსახურებით.

ვიონი საქართველოსთან ერთად კავშირგაბმულობის ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები არიან შპს მაგთიკომი (მაგთი) და სს სილქნეტი (ჯეოსელი). ვიონ საქართველო შემოსავლების და აბონენტების რაოდენობით მესამე ადგილზეა. აბონენტების რაოდენობა 2018 წლის განმავლობაში სტაბილურად შეადგენდა ბაზრის 23%-ს, ხოლო შემოსავლები 16%-ს.

წილები კომპანიებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება:





კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებლებისთვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებაზე, სატარიფო გეგმის განახლებაზე და მომხმარებლის სურვილის მორგებაზე. შედეგად 2018 წელს კომპანიამ აჩვენა მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მნიშვნელოვნად მზარდი ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, ისევე როგორც წინა პერიოდებში, ბაზარზე მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდის უდიდესი ნაწილი 4G ინტერნეტ ტრაფიკის ხარჯზე მოხდა. 2016-2018 წლებში ტექნოლოგიების და ოპერატორების მიხედვით ინტერნეტ ტრაფიკის განაწილება ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:





2018 წელს კომპანიამ მოახერხა მესამე ადგილიდან მეორე ადგილზე გადანაცვლება და მობილური ინტერნეტის ტრაფიკის დაახლოებით 37%-მდე გაზრდა.

GSM ასოციაციის 2019 წლის კვლევის შედეგად ევროპაში მობილური ინტერნეტის პენეტრაციის მაჩვენებელი (აბონენტები/მოსახლეობა) 72%-დან 82%-მდე გაიზრდება 2018 წლიდან 2025 წლამდე. საქართველოში იგივე მაჩვენებელი 2018 წლის ბოლო მდგომარეობით 64.6%-ს აღწევს, რაც იძლევა იმის ინდიკაციას, რომ ქვეყანაში მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

კომპანიას 2018 წლის მდგომარეობით აქვს 1045 საბაზო სადგური, რომლის მეშვეობითაც LTE-ი ტექნოლოგიით ფარავს დასახლებული ტერიტორიის 90%-ს, 2G – 89% და 3G – 75%.

კომპანიის გაყიდვების ოფისები

2018 წლის მდგომარეობით, კომპანიას საქართველოს მასშტაბით ქონდა 28 გაყიდვის ოფისი, აქედან 11 იყო თბილისში, ხოლო 17 განაწილებული სხვადასხვა რეგიონებში. აბონენტთა მომსახურების ცენტრებში არიან ვიონი საქართველოს კვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომლებიც, როგორც ახალ, ასევე არსებულ მომხმარებლებს უწევენ მაღალი ხარისხის მომსახურებას.

გაყიდვის ოფისებში შესაძლებელია საკომუნიკაციო ტექნიკის და აქსესუარების შეძენა, რისთვისაც ასევე კომპანიას დასაქმებული ყავს კონსულტანტები.

კომპანიის განვითარების გეგმები

ვიონი საქართველოს მიზანია, თანამედროვე მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით მომხმარებელს გაუხსნას გზა ციფრულ სფეროში და გაუმარტივოს ორიენტაცია ამ სულ უფრო სწრაფად განვითარებად სამყაროში. კომპანიის პრიორიტეტია ისეთი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, რომლებიც რეალურად დაეხმარებათ ადამიანებს ყოველდღიური საჭიროებების გადაწყვეტაში და დასახული მიზნების მიღწევაში. შესაბამისად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე.

ვიონ საქართველო ახერხებს მომხმარებლებისთვის მომსახურების შეთავაზებას, კონკურენტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად. სამომავლო გეგმებში შედის ქსელის ხარისხის და დაფარვის შემდგომი გაუმჯობესება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება აბონენტების რაოდენობის საგრძნობი ზრდა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

მოსალოდნელი ტენდენციებიდან გამომდინარე, ვიონი საქართველოს გეგმებში შედის მობილური ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესება. 2018 წელს, კონკურენტებთან შედარებით უპირატესი ფასით, კომპანიამ მოახერხა მობილური ინტერნეტის ტრაფიკით მე-3 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადანაცვლება. კომპანია გეგმავს ამ ტენდენციის შენარჩუნებას.

მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, კომპანია სისტემატიურად ანახლებს შეთავაზებული სერვისების (პაკეტების) ჩამონათვალს, რაც შესაძლებელს ხდის ყველა სეგმენტის ადამიანის დაინტერესებას. 2019 წელსაც კომპანია აქტიურად გააგრძელებს მომსახურების განვითარებას და მომხმარებლებზე ზრუნვას.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მოგება/ზარალის აუდირებული ანგარიშგება 000 ₾	2018	2017	ცვლილება	
შემოსავალი მომსახურებიდან	106 562	105 551	1 011	1%
შემოსავალი ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვიდან	3 040	11 406	-8 366	-73%
სულ საოპერაციო შემოსავალი	**109 602**	**116 957**	**-7 355**	**-6%**
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	- 131 796	- 1 289	-130 507	10125%
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	- 32 138	- 40 040	7 902	-20%
ძირითადი საშუალებების ცვეთა	- 22 425	- 22 773	348	-2%
თანამშრომლების სარგებლის ანაზღაურება	- 13 488	- 12 922	-566	4%
იჯარის ხარჯი	- 8 745	- 8 022	-723	9%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	- 8 134	- 8 622	488	-6%
გრძელვადიანი აქტივების ტექნიკური მოსმახურება	- 5 614	- 3 854	-1 760	46%
მენეჯმენტის მომსახურების ანაზღაურება	- 5 051	- 7 583	2 532	-33%
კომუნალური ხარჯები	- 4 497	- 4 421	-76	2%
მარკეტინგის ხარჯები	- 4 551	- 4 542	-9	0%
სავაჭრო მოთხოვნის ჩამოწერა	481	-	481	100%
სხვა საოპერაციო ხარჯები	- 20 779	- 28 983	8 204	-28%
საოპერაციო ზარალი	**- 147 135**	**- 26 094**	**-121 041**	**464%**
ფინანსური ხარჯი	- 33 749	- 27 610	-6 139	22%
ფინანსური შემოსავალი	264	859	-595	-69%
საკურსო სხვაობისგან მიღებული ზარალი/შემოსავალი	- 12 484	2 251	-14 735	-655%
სხვა არასაოპერაციო ზარალი/შემოსავალი	- 335	451	-786	-174%
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	**-193 439**	**-50 143**	**-143 296**	**286%**
მოგების გადასახადი	-	-	-	0%
წმინდა მოგება/ზარალი	**-193 439**	**-50 143**	**-143 296**	**286%**

კომპანიის სატელეკომუნიკაციო სერვისებიდან მიღებული შემოსავლები სტაბილურია. ჯამურად 6%-იანი შემცირება შემოსავლებში განპირობებულია ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვების და ურთიერთჩართვის რეგულირებული ტარიფის შემცირებით, რაც არ წარმოადგენს კომპანიის ძირითად საქმიანობას.

ვიონ საქართველოს შემოსავლების დეტალური ჩაშლა შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

000 ₾			ცვლილება	
	2018	**2017**	**₾**	**%**
შემოსავალი ხმოვანი მომსახურებიდან	40 888	48 169	- 7 281	-15%
შემოსავალი ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	23 077	28 179	- 5 102	-18%
SMS, MMS, GPRS, სხვა	33 882	21 565	12 317	57%
სტუმრის როუმინგი	4 841	3 052	1 789	59%
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1 587	2 024	- 437	-22%
შემოსავალი საკუთარი აბონენტის როუმინგის მომსახურ	1 036	1 082	- 46	-4%
აბონენტების ავანსების ჩამოწერა	34	635	- 601	-95%
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1 217	845	372	44%
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	**106,562**	**105,551**	**1,011**	**1%**

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ქვეკატეგორიებში ცვლილებები გამოწვეულია ზემოთ ნახსენები ტენდენციის გამო, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები ხმოვანი მომსახურების ნაცვლად გადადიან მობილური ინტერნეტის მოხმარებაზე, რაც ასევე აისახება კომპანიის მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მნიშვნელოვან ზრდაზე. შემოსავლის შემცირება ხმოვანი და ურთიერთადაკვშირების მომსახურებიდან დაბალანსებულია ინტერნეტ მომსახურების ზრდით.

მომსახურების თვითღირებულების ანალიზი:

000 ₾			ცვლილება	
	2018	**2017**	**₾**	**%**
ურთიერთდაკავშირების ღირებულება	27 963	34 817	- 6 854	-20%
მონაცემთა გადაცემის მოსმახურების ღირებულება	1 758	2 008	- 250	-12%
როუმინგის ღირებულება	481	806	- 325	-40%
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	764	767	- 3	0%
კონტენტის ღირებულება	1 074	738	336	46%
გაყიდული სიმ ბარათების ღირებულება	54	726	- 672	-93%
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	18	97	- 79	-81%
სხვა	26	81	- 55	-68%
სულ მომსახურების ხარჯი	**32 138**	**40 040**	**- 7 902**	**-20%**

ხარჯების შემცირება შესაბამისობაშია ხმოვანი მომსახურების შემოსავლის კლებასთან.

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ

2018 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 328 ადამიანი. ვიონი საქართველო მკაცრად იცავს თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. შედეგად, კომპანიაში დასაქმებულია 214 ქალი და 114 მამაკაცი.

დეპარტამენტების მიხედვით თანამშრომლების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

დეპარტამენტი	თანამშრომელთა რაოდენობა
ტექნიკური დირექცია	31
IT	29
ადმინისტრაცია	10
პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექცია	6
ბიზნეს ოპერაციების დირექცია	116
რეგიონები	99
ფინანსები	22
იურიდიული სამსახური	7
საზოგადოებასთან ურთიერთობა	2
ეთიკის და შესაბამისობის (compliance) დეპარტამენტი	2
CEO	4
სულ	328

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდანაც ჩანს, კომპანიაში არსებობს დეპარტამენტი, რომელიც ზრუნავს კომპანიაში ეთიკასთან და შესაბამისობასთან (compliance) დაკავშირებული საკითხების მართვაში, როგორიცაა თანამშრომლების უფლებების დაცვა, კორუფციის რისკის აღმოფხვრა, ა.შ.

ძირითადი რისკების ანალიზი

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე კომპანია ექვემდებარება შემდეგი სახის ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო ფასების რისკი
- ლიკვიდობის რისკი

საკრედიტო რისკი - მენეჯმენტი მთელი არსებობის მანძილზე ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. კომპანია პორტფელის მიხედვით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კომპანია თითოეულ პორტფელს უსადაგებს შესაბამის დეფოლტის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, რომელიც მოიცავს ვადაგადაცილების პერიოდს, გადახდისუუნარობას, მსესხებლის გარდაცვალებას, ა.შ.

საბაზრო ფასის რისკი - საბაზრო ფასის რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია. გამომდინარე იქიდან რომ კომპანიას მისი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები დენომინირებული აქვს დოლარში, ის დგას სავალუტო რისკის წინაშე, თუმცა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ხდება სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინება და საქმინობები იგეგმება შესაბამისად.

ლიკვიდურობის რისკი - არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მაშინ, როდესაც დგება ვალდებულებების დაფარვის ვადა.

კომპანიაში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგი ხდება სისტემატიურად, რაც გულისხმობს მიმდინარე ვალდებულებების გადახედვას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს ორნაირი: მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად ფულადი სახსრების დეფიციტი და გრძელვადიანი,

რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, ვერ შეძლებს გრძელვადიანი სესხის მოპოვებას ხელსაყრელი პირობებით.

ვიონი საქართველოს შემთხვევაში ლიკვიდურობის რისკი მინიმუმამდე არის დაყვანილი, რადგან მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა ხდება წინასწარ შეთანხმებული გადახდის პირობების მიხედვით და ისტორიის მიხედვით არ დაფიქსირებულა ვადაგადაცილება, ხოლო გრძელვადიანი სესხით კომპანიას უზრუნველყოფს მფლობელი კომპანია.

შპს „ვიონ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგრიშგებები

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია
2. კომპანიის საოპერაციო გარემო
3. მომზადების საფუძველი
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები
6. ახალი ან რედაქტირებული სტანდარტების მიღება და განმარტებები
7. ახალი სააღრიცხვო განცხადებები
8. ქონება და მოწყობილობები
9. არამატერიალური აქტივები
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
12. სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
14. კაპიტალი
15. ნასესხები სახსრები
16. აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
18. შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით
19. მომსახურების ხარჯები
20. სხვა საოპერაციო ხარჯები
21. მენეჯმენტის ანაზღაურება
22. ფინანსური ხარჯები

23. საშემოსავლო გადასახადები
24. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან
25. ფინანსური რისკის მართვა
26. კაპიტალის მართვა
27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება
28. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
29. ანგარიშგების შემდეგ განვითარებული მოვლენები
30. 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა

PWC

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიონ საქართველოს“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვიონ საქართველოს“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ აუდიტი ჩავუტარეთ

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას იგივე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, რომლებიც მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას მოიცავს.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.*

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად საჭირო საფუძვლის შექმნისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლად ვმოქმედებთ, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ ასევე შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაციაში იგულისხმება კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტის ანგარიში (ფინანსური ანგარიშგებების და მასზე გაცემული ჩვენი აუდიტორის დასკვნის გარდა), რომელიცჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებებზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებული ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს და შევაფასოთ, ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებებთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან არსებითად შეუსაბამო არის თუ არა, ან აუდიტის განმავლობაში ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული ანგარიში სხვა არსებით უზუსტობებს შეიცავს თუ არა.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი ჩვენ გვავალდებულებს მოსაზრება გამოთქვათ იმის თაობაზე, არის თუ არა მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული მუხლები მომზადებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

როდესაც ჩვენ წავიკითხავთ მენეჯმენტის ანგარიშს, თუ გადავწყვეტთ, რომ ანგარიშში არსებითი უზუსტობებია, ჩვენ ვალდებულები ვართ აღნიშნულის შესახებ შევატყობინოთ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.

ჩვენ გამოვცემთ გაახლებულ დასკვნას, სადაც განვაცხადებთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელია ინფორმირება, ან აღვწერთ არსებით ცდომილებების, რომლებიც გამოვლინდა ხემძღვანელობის ანგარიშში კომპანიის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის და აუდიტის პროცესში გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე. ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ჩვენი განახლებული დასკვნის ნაწილი იქნება.

მენეჯმენტის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარიანობა, თუ რამდენად შეუძლია მას ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელება; გააშუქოს, შეძლებისდაგვარად, ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები; და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის ბაზა, თუ მენეჯმენტი არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარად მოქცევის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნება მოვიპოვოთ იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს გაყალბებით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე გავცეთ ჩვენი აუდიტორული დასკვნა. გონივრული რწმუნება არის მაღალი ხარისხის რწმუნება, თუმცა არა გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს გაყალბებამ ან დაშვებულმა შეცდომებმა. უზუსტობები ითვლება არსებითად იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად ან მთლიანობაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის ნაწილი, ასს-ის შესაბამისად, ჩვენ ვეყრდნობით პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში გაყალბებით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკებს, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოხატვისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. გაყალბების შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული უზუსტობის არგამოვლენისა, რადგან გაყალბება მოიცავს შეთქმულებას, თაღლითობას, განზრახ უმოქმედობას, არასწორ განცხადებას ან შიდა კონტროლის გადამეტებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და ბუღალტრული შეფასებებისა და დაკავშირებული განმარტებების მართებულობას;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული ბაზის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი დაბადოს ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ დაკავშირებული ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებაზე, ან თუ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არაადეკვატურია, ცვლილებები შევიტანოთ ჩვენს დასკვნაში. ჩვენი დასკვნები ეფუძნება წინამდებარე დოკუმენტის შექმნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვიოს;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, ასევე გამჟღავნებული ინფორმაციის წარდგენის საერთო პრეზენტაბელობას, სტრუქტურას და შინაარსს, და თუ

რამდენად სამართლიანად წარმოაჩენს ფინანსური ანგარიშგება ოპერაციებსა და მოვლენებს;

ჩვენ ვურთიერთობთ მართვაზე პასუხისმგებელ შესაბამის პირებთან და ერთობლივად განვიხილავთ, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბს და ვადებს, ასევე აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მექანიზმებში აუდიტის დროს ჩვენს მიერ გამოვლენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC-ის სახელით (რეგ. ნომ.: SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ. ნომ. SARAS-A-562091)

2019 წლის 6 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

შპს „ვიონ საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნა	*31-დეკ-2018*	*31-დეკ-2017*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	31,147	112,318
არამატერიალური აქტივები	9	4,826	66,023
სხვა არაფინანსური აქტივები		4,851	4,474
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,824	182,815
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	600	898
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,638	12,664
სხვა არაფინანსური აქტივები	12	6,607	2,347
ფული და ფულის ექკივალენტები	13	7,,189	1,637
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,034	17,546
სულ აქტივები		60,858	200,361
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	2	2
დამატებითი შენატანები კაპიტალში	14	616,734	616,257
დაგროვილი დეფიციტი		(920,054)	(728,617)
სულ კაპიტალი		(303,318)	(112,358)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	15	295;127	252,850
აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულების რეზერვი	16	4,279	3,672
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		823	725
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		300,229	257,247

მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	42,802	49,303
ნასესხები თანხები	15	13,914	-
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	12	7,231	6,169
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,947	55,472
სულ ვალდებულებები		364,176	312,719
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		60,858	200,361

კომპანიის სახელით გამოსაქვეყნებლად ავტორიზებულია 2019 წლის 6 ნოემბერს ქვემოთ მითითებული პირების მიერ:

გენერალური დირექტორი — ანდრეი მალინოვსკი
(ხელმოწერილია)

ფინანსური დირექტორი — ვასილ ბერიშვილი
(ხელმოწერილია)

შპს „ვიონ საქართველო“

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
მომსახურებიდან შემოსავალი	18	106,562	105,551
მოწყობილობებისა და აქსესუარების რეალიზაცია		3,040	11,406
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		**109,602**	**116,957**
მანქანა-დანადგარების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი	8,9	(131,796)	(1,289)
მომსახურების ხარჯები	19	(32,138)	(40,040)
მანქანა-დანადგარების ცვეთა	8	(22,425)	(22,773)
თანამშრომელთა ხელფასებისა და პენსიების ხარჯი		(13,488)	(12,922)
იჯარის ხარჯი		(8,745)	(8,022)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	(8,134)	(8,622)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(5,614)	(3,854)
ხელმძღვანელების ანაზღაურება	21	(5,051)	(7,583)
კომუნალური ხარჯები		(4,497)	(4,421)
მარკეტინგის ხარჯები		(4,551)	(4,542)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვეთიდან მიღებული მოგება		481	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(20,779)	(28,983)
საოპერაციო ზარალი		**(147,135)**	**(26,094)**
ფინანსური ხარჯები	22	(33,749)	(27,610)
ფინანსური მოგება		264	859
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება, ნეტო		(12,484)	2,251
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი		(335)	451
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(193,439)**	**(50,143)**
მოგების გადასახადის ხარჯი	23	-	-
ნეტო ზარალი წლის განმავლობაში		**(193,439)**	**(50,143)**
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(193,439)**	**(5,143)**

შპს „ვიონ საქართველო“

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14	2	585,375	(678,474)	(93,097)
სათავო კომპანიებიდან ნასესხები თანხების რეალური ფასის შეფასების ნეტო შედეგი	15	-	30,882	-	30,882
ნეტო ზარალი წლის განმავლობაში		-		(50,143)	(50,143)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	-	(50,143)	(50,143)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	2	616,257	(728,617)	(112,358)
სათავო კომპანიებიდან ნასესხები თანხების რეალური ფასის შეფასების ნეტო შედეგი	15	-	477	-	477
ფასს 15-ის შემოღება		-	-	2,002	2,002
ნეტო ზარალი წლის განმავლობაში		-	-	(193,439)	(193,439)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	477	(191,437)	(191,437)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14		616,734	(920,054)	(303,318)

შპს „ვიონ საქართველო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

	შენიშვნები	*2018*	*2017*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი წლის განმავლობაში მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(193,439)	(50,143)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	22,425	22,773
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	8,134	8,622
ძირითადი საშუალებების ცვეთით მიღებული ზარალი	8,9	131,796	1,289
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვეთით მიღებული ზარალი		2,699	1,636
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარების შეწყვეტით მიღებული ზარალი		(481)	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძველების რეზერვში ცვლილებები		(175)	(728)
ფინანსური შემოსავალი		(264)	(859)
ფინანსური ხარჯები		33,749	27,610
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება), ნეტო		12,484	(2,251)
სხვა მოგება ზარალის გამოკლებით		(335)	(158)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე		**16,593**	**7,791**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		4,621	(3,306)
სხვა არაფინანსური აქტივების ზრდა		(2,635)	(661)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (შემცირება)/ზრდა		473	4,507
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		(7,193)	2,565
სხვა არაფინანსური ვალდებულებების ზრდა		1,158	497
მიღებული პროცენტი		264	859
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნეტო ფულადი ნაკადები		**13,581**	**12,252**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	228
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(20,185)	(59,540)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი ნაკადები		**(20,185)**	**(59,312)**
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ნასესხები თანხებიდან მიღებული მოგება		12,773	44,638
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ნეტო ფულადი სახსრები		**12,773**	**44,638**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		**6,169**	**(2,422)**
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(617)	(582)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**1,637**	**4,641**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**7,189**	**1,637**

შპს „ვიონ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული)

1. კომპანიის შესახებ ინფორმაცია

შპს „ვიონ საქართველო“ (შემდგომში - „ვიონ საქართველო“, „კომპანია“), ყოფილი შპს „მობიტელი“, დაფუძნდა 2003 წლის 19 ნოემბერს და საქმიანობს საქართველოში. 2017 წლის 30 მარტს, აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის სახელი შპს „ვიმპელკომი“ შეიცვალა და გახდა შპს „ვიონი“. შესაბამისად, 2017 წლის 5 დეკემბერს, კომპანიის იურიდიული სახელიც შპს „მობიტელი“ შეიცვალა და გახდა შპს „ვიონ საქართველო“. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოს მარეგულირებელი წესების შესაბამისად და დაარეგისტრირა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584.

კომპანიის აქციონერები არიან Watertrail Industries Ltd (BVI) - 51%, Investico Alliance Ltd (BVI) - 29% და Miren Ltd (BVI) - 20%. „ვიონ საქართველოს“ საბოლოო კონტროლს ახორციელებს შპს „ვიონ“, ყოფილი შპს „ვიმპელკომი“, ჰოლანდიაში რეგისტრირებული იურიდიული პირი („საბოლოო მაკონტროლებელი მხარე“). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი აქციონერი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია შემოსავალს იღებს „ბილაინ“ სავაჭრო ნიშნით, საქართველოს უმეტეს ქალაქებში GSM სტანდარტის ფიჭური სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევით, აგრეთვე საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და აქსესუარების გაყიდვით.

კომპანია საქმიანობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მიერ გაცემული შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე:

- ლიცენზია #F5, #42 და #59 (რადიო სიხშირის სპექტრები: 1775-1785 მგჰ, 1870-1880 მგჰ, 884.50-889.99 მგჰ და 929.50-934.99 მგჰ, ერთად მოხსენიებული როგორც „2G“) კომბინირებული სკეკ-ის 2015 წლის 29 იანვარს გაცემული #55/2 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა გახანგრძლივდა 2030 წლის 1 თებერვლამდე;
- ლიცენზია #F97 (გრძელვადიანი ევოლუციის რადიოსიხშირული სპექტრები: 806-816 მგჰ და 847-857 მგჰ, ერთად მოხსენიებული როგორც „4G LTE“),

მობილური ტელეფონებისა და მონაცემთა ტერმინალებისთვის მაღალსიჩქარიანი მონაცემების უსადენო კომუნიკაციის სტანდარტი, რომელიც გამოიცა 2015 წლის 29 იანვარს სკეკ-ის #56/1 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა იწურება 2030 წლის 1 თებერვალს; და

- ლიცენზია #101 და #102 (რადიო სიხშირის სპექტრები: 1925 -1930 მგჰ და 2115 - 2120 მგჰ - ლიცენზია F101; და 1930 - 1935 მგჰ და 2120 - 2125 მგჰ - ლიცენზია F102, ერთად მოხსენიებული როგორც „3G“), გაცემული 2016 წლის 29 დეკემბერს სკეკ-ის #854/1 და #855/1 გადაწყვეტილებებით, 2031 წლის 29 დეკემბრამდე ვადით.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ბამბის რიგის #8, ხოლო საქმიანობი ძირითადი ადგილია ა. წერეთლის გამზირი #118.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორიც საქართველოა, სწრაფ ცვლილებებს განიცდის და დაუცველია გლობალური საბაზრო პირობების ცვლილებებისა და ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობა ისეთ რისკებთან არის დაკავშირებული, რომელიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული სისტემების გაუმჯობესებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. დღესდღეობით, საქართველოს ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია აქვს. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა და რეიტინგში წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა. ქვეყანამ რეიტინგი გააუმჯობესა თითქმის ყველა კატეგორიაში, რითაც დაადასტურა თავისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიცია. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევებით,

საქართველო ასევე ამაყობს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი გადასახადებით და ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

მშპ–ის ზრდამ 2018 წელს 4.7% შეადგინა, საქსტატის პირველადი შეფასებების მიხედვით. ზრდა შეეხო ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს და ძირითადად განპირობებული იყო ფინანსური მომსახურებების, ვაჭრობის და რემონტის, უძრავი ქონების, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სექტორების ზრდით.

მენეჯმენტი წინასწარ ვერ განსაზღვრავს ყველა იმ მოვლენას, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ბიზნეს სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე და, შესაბამისად, როგორ იმოქმედებს ეს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირველადი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

კომპანიის ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ავალდებულებს მენეჯმენტის, სწორი მსჯელობა გამოიყენოს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი ხარისხის განსჯას ან სირთულეს, ან ის სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და შეფასებები, წარმოდგენილია მე–5 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოური ვალუტით დენომინირებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარებულია ფუნქციონალური ვალუტის კურსით, რომელიც მოქმედებს ტრანზაქციის განხორციელების დღეს. პერიოდის ბოლოს, ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, ანგარიშგების დღეს მოქმედი კურსით, მოგების ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული სხვაობებით, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების" ფარგლებში. არაფულადი მუხლები, რომლებიც თავდაპირველი ღირებულებით ფასდება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში, ტრანზაქციის შესრულების დღეს მოქმედი კურსით. რეალური ღირებულებით აღებული არაფულადი მუხლები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრება.

2018 წლის 31 დეკემბერს, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ასეთია: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი, ხოლო 1 ევრო = 3.0701 ლარი (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი, ხოლო 1 ევრო = 3.1044 ლარი). ამჟამად, ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტას არ წარმოადგენს.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია აქტივის რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია აქტივის რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულს ან ფულის ეკვივალენტს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება ანგარიშგების პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია. ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

- ვალდებულების ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ვალდებულება დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად თვლის.

შემოსავლის აღიარება

„ვიონ საქართველო“ შემოსავალს იღებს ხმოვანი, მონაცემებისა და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებიდან, მთელი რიგი უსადენო და ფართოზოლოვანი ქსელების გამოყენებით; აგრეთვე, მოწყობილობების და აქსესუარების გაყიდვიდან. პროდუქტები და მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე ან შეფუთულ პაკეტებში.

მომსახურებიდან შემოსავლები

მომსახურებიდან შემოსავლები მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (დღმ) საფასურს. დღმ მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას. დღმ-სთან დაკავშირებული კონტენტიდან შემოსავალი წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, შემოსავლის განაწილების ხელშეკრულებების გულდასმით აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, შემოსავალი ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

შემოსავლები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში პროპორციულად. გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების

გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, შემოსავალი ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის შეგროვების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი შემოსავალი გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (დებიტორული) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (ავანსები) ნაშთების შემთხვევაში, უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

ქსელში ჩართვიდან და როუმინგიდან შემოსავალი

ქსელში ჩართვიდან შემოსავალის მიღება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „ვიონ საქართველოს“ ქსელში წყდება.

როუმინგიდან შემოსავლები მოიცავს „ვიონ საქართველოს“ მომხმარებლებისგან შემოსავალებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის ქსელის საზღვრებს გარეთ და „ვიონ საქართველოს“ ქსელში თავისი მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის სხვა უსადენო მატარებლებიდან შემოსავლებს. ორივე შემოსავლის ნაკადის შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევისას დამუშავებული ტრაფიკის პროტოკოლის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მატარებლებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარი ხორციელდება.

ქსელში ჩართვის გადასახადი

„ვიონ საქართველო“ გადაავადებს ავანსად გადახდილ სატელეკომუნიკაციო ქსელში ჩართვის გადასახადებს. შემოსავლის გადავადება აღიარდება სავარაუდო საშუალო

სააბონენტო არსებობის პერიოდზე ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაზე.

ავანსად გადახდილი (სააბონენტო) გადასახადები

ყველა სპეციალური მომსახურების ან ფასდაკლების შეთავაზება აქტიურია ერთი თვის განმავლობაში (გახანგრძლივება არ არსებობს). აქედან გამომდინარე, „ვიონ საქართველო“ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში გადაავადებს ავანსად გადახდილ სააბონენტო გადასახადებს. გარდა ამისა, „ვიონ საქართველო“ სატარიფო გეგმის ცვლილების მომსახურებისთვის აბონენტებზე დაკისრებულ გადასახადებს გადაავადებს სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდით ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

მოწყობილობების გაყიდვა

მოწყობილობების გაყიდვა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე მომსახურებაზე დამატების სახით (მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულება). ცალკეული მობილური მოწყობილობის, მაგალითად, პორტატული ტელეფონის აპარატის, გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოწყობილობა გაიყიდა მომხმარებელზე, ან თუ შუამავლის მეშვეობით გაიყიდა, როდესაც მოწყობილობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები გადაეცემა შუამავალს და შუამავალს ზოგადად არ აქვს დაბრუნების უფლება ან, თუ დაბრუნების უფლება არსებობს, როდესაც ასეთი უფლება ამოიწურება.

მოწყობილობების გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი აქვს. როდესაც დაფინანსება არის მოწყობილობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ფასდაკლება გამოიყენება გარიგების ფასის ელემენტზე და არა მთლიანი გარიგების ფასზე.

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად „ვიონ საქართველო“ ერთზე მეტ მომსახურებას აწვდის. მომსახურება/პროდუქტები შეიძლება მოეწოდოს ან კომპლექტად „შეიფუთოს“ სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფებში, თუ ისინი ერთი შეთანხმების ელემენტებს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მომსახურების პაკეტი შედგება მთელი რიგი ინდივიდუალურად შესასრულებელი ვალდებულებებისგან, ცალკეულად გასაყიდი ფასი, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მთლიანად პაკეტისთვის და მხოლოდ ამის

შემდეგ, ამ პაკეტის შემადგენლობაში შემავალი ინდივიდუალური კომპონენტებისთვის.

მომსახურების პაკეტის ცალკეული გასაყიდი ფასი განისაზღვრება „ვიონ საქართველოს“ „ექვივალენტური“ მხოლოდ SIM-ის ტარიფების მქონე დაკვირვებადი ფასის მითითებით, რომელ შემთხვევაშიც საეთერო დროის მომსახურებაზე უფლებამოსილება და ხელშეკრულების ხანგრძლივობა არსებითად ერთი და იგივეა. აღნიშნულის გათვალისწინებით, პაკეტზე გამოიყენება ცალკეული გასაყიდი ფასი და განიხილება როგორც ერთი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- ძირითადი მომსახურებების პაკეტის ცალკეული გასაყიდი ფასი ვერ განისაზღვრება (მაგალითად, მომსახურებების პაკეტი ცალკე, მოწყობილობის გარეშე, არასოდეს იყიდება); ან
- ძირითადი მომსახურებების პაკეტის სულ სატრანზაქციო ფასი აღემატება ცალკეული მომსახურებების ცალკეული გასაყიდი ფასის ოდენობას.

ამ პირობებში, კომპანია იყენებს მომსახურების პაკეტებზე სატრანზაქციო ფასის დაწესების ნარჩენ მეთოდს. მოწყობილობების ცალკეული გასაყიდი ფასი არის ფასი, რომლითაც „ვიონ საქართველო“ ცალკეულ მოწყობილობებს გასაყიდად სთავაზობს მომხმარებელს.

მომხმარებლის შეძენის ხარჯები

გარკვეული ხარჯები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახალ ან არსებულ მომხმარებელთან ხელშეკრულებას აფორმებს. ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები ბუღალტრულ ბალანსში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ხარჯები იზრდება მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად;
- დამატებითი ხარჯები ანაზღაურდება;
- გაწეული ხარჯები დამატებით ღირებულებას წარმოადგენს „ვიონ საქართველოსთვის“.

ყველა ის ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, ხარჯებში აღირიცხება.

არასაოპერაციო მუხლების კლასიფიკაცია

კომპანია ოპერაციების შედეგებს ყოფს საოპერაციო და არასაოპერაციო ნაწილებად, რაც დამოკიდებულია ტრანზაქციის ხასიათზე. შედეგები, რომელიც უშუალოდ ოპერაციებს უკავშირდება, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო მუხლები, მიუხედავად იმისა, ეს მუხლები მოიცავს თუ არა ფულად სახსრებს, არარეგულარულად ან იშვიათად ან უჩვეულო რაოდენობით წარმოიქმნება თუ არა. შედეგები, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ინვესტიციების გაყიდვა, ინვესტიციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები, კლასიფიცირდება როგორც არასაოპერაციო.

საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება. ეს არის განაკვეთი, რომელსაც ზუსტად აკლდება სავარაუდო სამომავლო გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრები, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე დაყრდნობით ან უფრო მოკლე პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, და მცირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საანგარიშო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი შედის შემოსავლის/ხარჯების დაფინანსებაში, მოგება-ზარალის ან სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადები

მოგების გადასახადები წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების გადასახადის დარიცხვა/(მიწერა) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდებოდა ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი იყო თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ან მათგან მიღებას მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი

ეფუძნებოდა ვარაუდებს, თუ რამდენად ნებადართული იყო ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილი იყო საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრად ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველ აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა კომპანიების გაერთიანების გარდა სხვა ტრანზაქციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ტრანზაქცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს აღრიცხვაზე ან დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები ფასდებოდა მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა იმ პერიოდთან მიმართებაში, როდესაც დროებითი სხვაობები მთლიანად იცვლებოდა ან საგადასახადო ზარალის მომავალში გადატანა ხდებოდა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები, დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით, აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ თუ აშკარა იყო, რომ დროებითი სხვაობები მთლიანად შეიცვლებოდა და საკმარისი მოცულობის მომავალი დასაბეგრი მოგება არსებობდა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დაქვითვების განხორციელება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლა მაშინ ხდებოდა, როდესაც მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიმართ ჩათვლის იურიდიულად განხორციელებადი უფლება არსებობდა და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადების აქტივები და ვალდებულებები იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ერთსა და იმავე დასაბეგრ პირზე ან სხვა დასაბეგრ პირებზე დაწესებულ მოგების გადასახადებს უკავშირდებოდა, თუ მიზანი ანგარიშებზე დავალიანების ნეტო საფუძველზე დაფარვა იყო.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები განახორციელა საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზეც კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო

ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) მოგების გადასახადს არ გადაიხდიან 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის სახით.

15%–იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდისას. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებულ მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით. საგადასახადო შეღავათი გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც დივიდენდების გადახდა განხორციელდა. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემდეგ წარმოიშობა, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი მაინც გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას აღემატება. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ საწარმოებთან სხვა კონკრეტული გარიგებები, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა

ავანსის ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათის გამოკლებით, აისახება გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა

„ვიონ საქართველოს“ პოლიტიკა სრულად უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი საგადასახადო რეგულაციებს იმ იურისდიქციებში, რომლებშიც მისი ოპერაციები ექვემდებარება მოგების გადასახადს. გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა აღირიცხება ბასს 12-ის (*მოგების გადასახადები*) ან ბასს 37-ის (*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*) შესაბამისად, რაც დამოკიდებულია მოცემული გადასახადის ტიპზე.

„ვიონ საქართველო“ აღრიცხავს მოგების გადასახადების იმ ანარიცხებს, რომელიც მისი შეფასებით საბოლოოდ გადახდას დაექვემდებარება საგადასახადო მიმოხილვის ან საგადასახადო აუდიტის დასრულების შემდეგ, მათ შორის იგულისხმება ნებისმიერი იმ პროცენტის და ჯარიმის ჩამოწერა, რომელიც შეიძლება გადახდას დაექვემდებაროს.

მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ანარიცხებისთვის, კომპანიაში მოქმედებს ანარიცხების შესახებ ზოგადი პოლიტიკა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ საგადასახადო ორგანოებში გადახდას ექვემდებარება ქვემოთ მითითებულიდან იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოებისგან დაშვებულია დღგ-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ 5 წლიდან 10 წლამდე პერიოდით გადავადდება იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები თვითღირებულება მოიცავს:

- მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად მენეჯმენტის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, ვალდებულების თანაბრად აღიარებით;
- მომხმარებელსა და კომპანიის ქსელს შორის კავშირის ხაზის დამონტაჟებისა და მოწყობის დანახარჯებს;
- ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯებს, მაგ.: კავშირების დამონტაჟებისთვის საძირკვლის გათხრა; და
- პროფესიული მომსახურების დანახარჯებს, მაგ. ინჟინრებისთვის გადასახდელი გასამრჯელოები.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	6-20 წელი
საოფისე მოწყობილობები	6-10 წელი
ავეჯი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	3-10 წელი

სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ პასუხობს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს, ხარჯებში აღირიცხება მათი გაწევისთანავე.

ძირითაი საშუალებების საბალანსე ღირებულების აღიარება წყდება ძირითადი საშუალების გამოყენებისთანავე ან იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი საშუალების გამოყენებიდან ან განკარგვიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტით გამოწვეული მოგება ან ზარალი გამოითვლება როგორც ძირითადი საშუალების განკარგვის შედეგად მიღებულ ნეტო მოგებასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსე ღირებულებას შორის სხვაობა, რომელიც განისაზღვრება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი აღიარების შეწყვეტიდან.

თითოეული აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და შესაბამისად დაკორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, მშენებლობისთვის წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება (ექვს თვეზე მეტი ხანი), კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო და სხვა ხარჯებს, რასა „ვიონ საქართველო“ გაწევს ფულადი სახსრების სესხად აღებასთან დაკავშირებით, კვალიფიცირებადი აქტივის შესაქმნელად.

ქირის ხარჯები

იმ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული საიჯარო დანახარჯები, სადაც ქსელის მოწყობილობებია განთავსეული, ხარჯებში აღირიცხება, თუ ქსელის მშენებლობის პერიოდში საოპერაციო იჯარის პირობებში გადასახდელი თანხები პირდაპირ არ უკავშირდება აქტივის მოცემულ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანას, რაც აუცილებელია მისი ფუნქციონირებისთვის, მენეჯმენტის მიერ დადგენილი წესით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, როდესაც იჯარის პირობების საფუძველზე, იჯარით გაცემულ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი „ვიონ საქართველოს“ გადაეცემა. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. იმის განსაზღვრა, არის ან შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას, დამოკიდებულია გარიგების არსზე.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის საფუძველზე გადასახდელი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც საოპერაციო იჯარის დანახარჯები, იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით, თუ კომპანიის სარგებლის დროითი სქემის სხვა უფრო წარმომადგენლობითი სისტემატური საფუძველი არ არსებობს. არცერთი აქტივი არ არის კაპიტალიზებული. თუ პერიოდული გადახდები ან პერიოდული გადახდების ნაწილი ავანსად არის გადახდილი, კომპანია ამ ავანსად გადახდებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს როგორც სხვა არაფინანსურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს. საწარმოს შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივების შემდგომი დანახარჯები (სანქცირებული განვითარების ხარჯების გამოკლებით) აღიარდება მოგებაში გაწევისთანავე.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზებადი თანხა სისტემატურად გადანაწილდება მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამორტიზება იწყება იმ დროს, როდესაც აქტივის გამოყენება შესაძლებელია. ამორტიზაციის მეთოდი ასახავს მოდელს, რომლის მიხედვითაც კომპანია ვარაუდობს აქტივების მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. თუ ამ მოდელის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ წრფივი დარიცხვის მეთოდი გამოიყენება. მომხმარებლებთან ურთიერთობებთან დაკავშირებული

არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, კომპანია იყენებს ამორტიზაციის ნაშთის შემცირების მოდელს, რომელიც ემყარება მომხმარებლების ღირებულებით კონტრიბუციას. სხვა არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ლიცენზიების ან სხვა მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა დამოკიდებულია ლიცენზიის ან სხვა ხელშეკრულებების პირობებსა და დეტალებზე. ყოველი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაისინჯება მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები	10-15 წელი
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	3-10 წელი
სხვა ლიცენზიები	1-8 წელი

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება როგორც აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აუცილებელია აქტივის გაუფასურებაზე ყოველწლიური შემოწმება, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ვერ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მნიშვნელოვნად დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან ფულადი

სახსრების მიღებაზე. აქტივის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე.

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. ასეთი გარიგებების არარსებობის შემთხვევაში, შეფასების სხვა შესაბამისი მეთოდი გამოიყენება.

კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის, გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება, რომელიც მეხუთე წლის შემდეგ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოიყენება.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებით, გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯის კატეგორიებში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ფასდება, თუ რამდენად არსებობს იმის მინიშნება, რომ წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. ასეთი მინიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის სრულად შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებულ დაშვებებში ცვლილებებია შეტანილი. სრული ცვლილება შეზღუდულია ისეთნაირად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, ასევე არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი სრული ცვლილების აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც აქტივის გაყიდვით მიიღება ან რომელიც გადახდილია გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში ვალდებულების დასაფარად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიური ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რაც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასისა და სუბიექტის მფლობელობაში არსებული რაოდენობის ნამრავლი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის აბსორბირებისთვის და ერთი გარიგების ფარგლებში პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების განხორციელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

ფასწარმოქმნის ინფორმაციის არმქონე კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ისეთი შეფასების მეთოდები გამოიყენება, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. რეალური ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება რეალური ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეებით: (i) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ii) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს ითვალისწინებს, და (iii) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში, შეფასება მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს საჭიროებს).

საოპერაციო ხარჯები ის დამატებითი ხარჯებია, რომელიც უშუალოდ ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას უკავშირდება. დამატებითი ხარჯი

არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, გაყიდვების აგენტების სახით მოქმედი თანამშრომლებისთვის), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სასესხო კაპიტალის ღირებულებას ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი თანხები პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი სასესხო კაპიტალის ღირებულების ან დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისოები (თუ ასეთი არსებობს), არ არის ცალკე წარმოდგენილი და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა), ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის, პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს ასახავს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც საბაზრო განაკვეთებზე მორგებული არ არის. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი არსებობის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების

მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება როგორც შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო რისკზეა მორგებული, ანუ, გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების, საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობა არსებობს, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო გარიგებებით ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომლის მონაცემებიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვების აღიარება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის და მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხულ სავალო ინსტრუმენტებში ჩადებული ინვესტიციებისთვის, რაც უშუალოდ სააღრიცხვო ზარალს იწვევს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნესმოდელი

ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების შექმნის მიზნით - თუ რა არის კომპნიის მიზანი: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით"); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით"); ან თუ არცერთი ზემოაღნიშნული პუნქტი მოქმედებს, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა" ბიზნეს მოდელის ნაწილი და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ყველა იმ სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მეთოდებით მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების დღეს არსებული პორტფელის გარკვეული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნესმოდელის განსაზღვრისას განხილული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ასევე წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება და როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების მწარმოებლურობა და რა ანაზღაურებას იღებენ ხელმძღვანელები.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები

თუ ისეთი ბიზნესმოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, კომპანია განსაზღვრავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. თუ სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს ისეთ რისკის ან არასტაბილურობის ზემოქმედებას, რომელიც არ შეესაბამება არსებითი საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია

ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი იცვლება. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. კომპანიამ ბიზნესმოდელი არ შეცვალა მიმდინარე და შედარებად პერიოდში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკების მიმართ. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყოველ საანგარიშგებო თარიღზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და ფასს 15-ის საუძველზე შემოსავლის ნაწილად აღიარებული სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია გასული 12 თვის განმავლობაში გაყიდვების საგადასახადო პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალზე. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციის ასახვის მიზნით. კომპანია აანალიზებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორს, ამასთან, მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს არ აქვთ არსებითი შედეგი და, შესაბამისად, კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას თავის სტანდარტულ განაკვეთებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სეგმენტებს იყენებს:

- მომხმარებლებისგან მისაღები თანხები
- როუმინგისა და ურთიერთდაკავშირებისთვის მისაღები თანხები
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან (ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია

ზოგჯერ კომპანია ხელახლა ათანხმებს ან სხვაგვარად ცვლის ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებს. კომპანია აფასებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი

სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე; საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება; ვალუტის დენომინაციაში ცვლილება; ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე; ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როდესაც მსესხებელი არ დგას ფინანსური სირთულეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, კომპანია თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. ხელახლა შეთანხმების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. კომპანია ასევე აფასებს, თუ რამდენად პასუხობს ახალი სესხი თუ სავალო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის კრიტერიუმს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის განსხვავების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავება არსობრივად მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განუხორციელებლობით არის გამოწვეული, კომპანია თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად.

თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. კომპანია ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულებზე, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ.: მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე გაცემულ და მიღებულ სესხებს, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირდება.

გაცემული და მიღებული სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი გაცემული და მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შენაძენზე ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის და საფასურის ან ხარჯების გათვალისწინებით, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შედის ფინანსურ ხარჯებში, მოგება-ზარალის და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცემული და მიღებული სესხები სათავო კომპანიისგან

დროდადრო სათავო კომპანიები გასცემენ და იღებენ სესხებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალგანაკვეთიანი სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რაც არის მომავალში დასაფარი თანხების მიმდინარე ღირებულება, სესხის მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიის მიერ სესხად მიღებულ ანაზღაურებასა და მის რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა განიხილება, როგორც სათავო კომპანიის კაპიტალში შენატანი, და

აღირიცხება, როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს გაცემული და მიღებული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული და მიღებული სესხების პირობებში (საპროცენტო განაკვეთები, დაფარვის თარიღები და ა.შ.) შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი არ არის, შეფასებაში ცვლილებებად განიხილება და პერსპექტიულად აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა შესაბამისი ცვლილება. გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი შედის ფინანსურ ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა). ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც ამოწურვით არ სრულდება, აღირიცხება როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებებში განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკში განთავსებულ უვადო (მოთხოვნამდე) დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები დაირიცხება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები

ძირითადი საშუალებების რომელიმე ნივთის დემონტაჟისა და ამოღების სავარაუდო ხარჯები (აქტივის ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები) ემატება ნივთის ღირებულებას ნივთის შეძენისას ან ნივთის შეძენის შემდეგ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის გარდა სხვა მიზნებისთვის, ნივთის გამოყენების დროს. თუ არსებული აღიარება ხდება, თუ - ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება; - არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინების სავარაუდო ვადებში ან მოცულობაში ცვლილების გამო, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილების შედეგად, დაკავშირებული აქტივის ღირებულება კორექტირდება, თუ დაკავშირებული აქტივი შეფასებულია თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ან გადაფასების სიჭარბე კორექტირდება, თუ აქტივი შეფასებულია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როდესაც კომპანიაში ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) ვალდებულება; არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა.

არ არის გათვალისწინებული, თუ რა ეტაპზეა სასამართლო პროცედურები.

ანარიცხებად აღიარებული თანხა ხარჯის საუკეთესო აღრიცხვას წარმოადგენს, რომელიც საჭიროა საბალანსო უწყისის თარიღისათვის ვალდებულების დასაფარად. ანარიცხები ფასდაკლდება მათი მიმდინარე ღირებულებით, თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითად მნიშვნელოვანია. მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებულია დაბეგვრამდე WA საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების 11%-იანი განაკვეთი (2017 წ: 10.9%), რომელიც ასახავს ფულის დროითი მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ანარიცხების დასაფარად საჭირო ხარჯი მთლიანად ან რომელიმე მისი ნაწილი სხვა მხარის მიერ ანაზღაურდება. ანაზღაურება აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული რწმუნება არსებობს იმისა, რომ ანაზღაურება განხორციელდება ვალდებულების შესრულების შემდეგ. ანაზღაურებას განიხილება, როგორც ცალკეული აქტივი.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გამოქვეყნების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების ცვლილებები. გამოქვეყნების შემდეგ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს იმ მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებას, რომელმაც ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება გასცა.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, მენეჯმენტი ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე მოამზადა. ამ მოსაზრებების წარმოდგენისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ 193,439 ათასი ლარის წმინდა წაგება განიცადა და, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი მოკლევადიანი ვალდებულებები 43,913 ათასი ლარით აღემატებოდა მის მოკლევადიან აქტივებს. თუმცა, კომპანიას მუდმივად აქვს დადებითი ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან (2018 წელს: 13,581 ათასი ლარი; 2017 წელს: 12,252 ათასი ლარი). კომპანიის მიერ ფუნქციონირებადობის გაგრძელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსურ მხარდაჭერაზე საბოლოო მაკონტროლებელი მხარის და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა ორგანიზაციების მხრიდან.

ამასთან, 2015 წლის მარტში, საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციებისგან მიღებული სესხის დაფარვის ვადა გახანგრძლივდა 2032 წლამდე და 2018 წელს კომპანიის სახელზე გაიცა ახალი სესხები (შენიშვნა 15). ამდენად, მენეჯმენტი თვლის, რომ არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი გაურკვევლობა, რომელიც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევს უახლოეს მომავალში კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გარკვეულ შემთხვევებში, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების კორექტირება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომი, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ავტორიზებამდე მომხდარი მოვლენების შესაბამისად, თუ ეს მოვლენები უფრო მკაფიოდ გამოხატავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს. გარკვეულ შემთხვევებში, ანგარიშში წარმოდგენილი თანხების კორექტირება უნდა განხორციელდეს „მაკორექტირებელი მოვლენების“ შესაბამისად, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მტკიცებულებას წარმოადგენს; თუმცა, სხვა შემთხვევებში, („არამაკორექტირებელი მოვლენების“ დროს) კომპანია ვალდებული არ არის შეცვალოს ანგარიშში წარმოდგენილი თანხები, მაგრამ ვალდებულია „არამაკორექტირებელი მოვლენების“ ტიპი განმარტოს ფინანსურ

ანგარიშგებაში. „მაკორექტირებელი მოვლენების“ და „არამაკორექტირებელი მოვლენების“ ერთმანეთისგან გარჩევისთვის საჭიროა საღი აზრი.

საიჯარო ვალდებულებები - კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიას გაფორმებული აქვს რამდენიმე მიწის ნაკვეთის და ქონების იჯარა. თავისი გარიგებების პირობების შეფასების საფუძველზე, კომპანიამ დაადგინა, რომ მათ არ ახასიათებს მნიშვნელოვანი რისკები და ამ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული სარგებელი და, შესაბამისად, ამ კონტრაქტებს აღრიცხავს როგორც საოპერაციო იჯარებს.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლები, ძირითადად შედგება მომსახურების გაყიდვებისა და პერიოდული გამოწერებიდან მიღებული შემოსავლისგან. კომპანია აბონენტებს სთავაზობს, „მრავალელემენტიანი გარიგებებით („პაკეტები“) ან სხვაგვარად, რამდენიმე სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა საფასო გეგმით; ასევე, სთავაზობს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ფასდაკლებებს, ხშირად სხვადასხვა აქციასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ან კლიენტებთან ურთიერთობის საშუალო პერიოდის განმავლობაში. თითოეული მისაწოდებელი მომსახურების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება კომპლექსური შეფასებები იყოს საჭირო, მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანია ასევე ყიდის საბითუმო პროდუქციას სხვა ოპერატორებსა და მოვაჭრეებზე სხვადასხვა ქვეყანაში და საზღვრებს მიღმა. მენეჯმენტმა უნდა გააკეთოს შეფასებები შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით, სადაც გარკვეულწილად დაეყრდნობა სხვა ოპერატორებისგან მიღებულ ინფორმაციას მიწოდებული მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა მხარეები სადავოდ ხდიან გადასახდელ თანხებს.

გარდა ამისა, მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა იმ პერიოდის გამოსათვლელად, რომელ პერიოდშიც უნდა აღიაროს შემოსავალი. ეს შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში (მუდამ მზად ყოფნის ვალდებულება) ან ხელშეკრულების განახლების სერიული ან არსებითი უფლებების შემთხვევაში (მაგ., თვიდან თვემდე

ხელშეკრულებები). „ვიონის“ მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადის განსაზღვრის პოლიტიკა შემდეგ ფორმულას ეხება:

მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა = 1 + აბონენტების დენადობა

მენეჯმენტი ასევე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულ ტრანზაქციებში კომპანია მთავარი პირის თუ წარმომადგენლის სახით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში, სხვა საკითხებთან ერთად, მთავარი ფაქტორი ის არის, თუ რამდენად ითვლება კომპანია ტრანზაქციებში მთავარ მოვალედ.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

აქტივების ამოგებადი თანხის შეფასება ნაწილობრივ უნდა ეფუძნებოდეს მენეჯმენტის შეფასებებს, მათ შორის დისკონტის განაკვეთის განსაზღვრას, სამომავლო საქმიანობის შეფასებებს, აქტივების მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას, ქონებისა და მოწყობილობების მომავალი შესყიდვების დროსა და რაოდენობას, მომავალი საბაზრო პირობების შესახებ დაშვებებს და მუდმივ გრძელვადიანი ზრდის განაკვეთს (საბოლოო ღირებულება). მენეჯმენტის მიერ შერჩეული დაშვებების შეცვლამ, კერძოდ, დისკონტის განაკვეთის და ზრდის განაკვეთის დაშვებების შეცვლამ, რომლებიც აქტივების ანაზღაურებადი თანხის შეფასებისას არის გამოყენებული, შესაძლოა მნიშვნელოვნი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის მიერ გაუფასურების შეფასებაზე და, აქედან გამომდინარე, შედეგებზე. დეტალები მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

კომპანია, მთლიანობაში, ერთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად ითვლებოდა, რადგან 2G, 3G და 4G LTE ლიცენზიებიდან შემომავალი ფულადი ნაკადები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ვერ გამოირჩევა ერთმანეთისგან.

გაუფასურების გაანგარიშებაში გამოყენებული ვარაუდების სენსიტიურობის ანალიზი მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

გრძელვადიანი აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ეფუძნება მენეჯმენტის მიერ ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდის, სანაშთო ღირებულების, და ქონებისა და

მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის მეთოდის შეფასებებს. შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგიური განვითარების, კონკურენციის, საბაზრო პირობების ცვლილებისა და სხვა ფაქტორების გამო, და შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს სავარაუდო ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდში და ამორტიზაციის ან ცვეთის დარიცხულ ოდენობაში. რთულია ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზირება, ხოლო ჩვენი შეხედულებები ტენდენციებსა და განვითარების ტემპზე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ზოგიერთი აქტივები და ტექნოლოგიები, რომლებშიც კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ გამოიყენება და საფუძვლად უდევს ახალ ტექნოლოგიებს. არამატერიალური აქტივების ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდის კრიტიკული სავარაუდო შეფასებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სავარაუდო საშუალო მომხმარებელთან ურთიერთობით დენადობის საფუძველზე, დარჩენილი ლიცენზიით ან დათმობის პერიოდით და ტექნოლოგიების და ბაზრების მოსალოდნელი განვითარებით.

ქონებისა და მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდი გადაიხედება მინიმუმ ყოველწლიურად, ზემოთ აღნიშნული და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით. მსგავსი ტიპის აქტივებისთვის, ნორმალური ექსპლუატაციის სავარაუდო პერიოდი შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის სხვადასხვა ორგანიზაციების მიხედვით, ადგილობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა ზრდის ტემპი, ბაზრის ვადიანობა, აქტივების ჩანაცვლების ან გადაცემის ისტორია და მოლოდინები, გამოყენებული კომპონენტების ხასიათი და ხარისხი. არამატერიალური აქტივების ფაქტობრივი საექსპლუატაციო ეკონომიური ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი სავარაუდო ნორმალური ექსპლუატაციის ვადისგან და ამით იწვევდეს არამატერიალური აქტივების განსხვავებულ საბალანსო ღირებულებას შეზღუდული ექსპლუატაციის ვადით. ჩვენ ვაგრძელებთ შეზღუდული საექსპლუატაციო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდის შეფასებას რათა განვსაზღვროთ თუ რამდენად იძლევა მოვლენები თუ გარემოებები მოდიფიცირებული ამორტიზაციის პერიოდების გარანტიას. ცვლილება სავარაუდო ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდში არის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში, და შესაბამისად ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების კორექტირებაც.

აქტივების სასარგებლო ექსპლუატაციის დროს 10%-იანი ზრდა ან შემცირება, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოიწვევს მთლიანი ამორტიზაციის ხარჯის ზრდას ან შემცირებას 3,925 ათასი ლარით.

ანარიცხები

კომპანია ექვემდებარება გარკვეულ სამართალწარმოებას, დავებს და პრეტენზიებს, მათ შორის, კომპანიის ბიზნესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ განხილვებს, ლიცენზიებს, საგადასახადო სტატუსს და ინვესტიციებს, ხოლო შედეგები ექვემდებარება მნიშვნელოვან გაურკვევლობას. სხვა ფაქტორებთან ერთად მენეჯმენტი აფასებს არახელსაყრელი შედეგის ალბათობის ხარისხს და ზარალის ოდენობის გონივრული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. გაუთვალისწინებელი მოვლენების ან ამ ფაქტორების ცვლილების შედეგად, კომპანიას შეიძლება მოუწიოს გატარებული თანხების გაზრდა ან შემცირება ან იმ საკითხისთვის გატარება, რომელიც მანამდე არ გატარებულა იმის გამო, რომ არ ითვლებოდა სარწმუნოდ ან შეუძლებელი იყო გონივრული შეფასების გაკეთება.

განვითარებად ბაზრებზე გარკვეულ ოპერაციებთან დაკავშირებით, კომპანია ჩართულია სამართალწარმოებასა და მარეგულირებელ დისკუსიებში. მენეჯმენტის შეფასებებს ამ ქვეყნებში სამართალწარმოებასა და მარეგულირებელ დისკუსიებთან დაკავშირებით ახასიათებს გაურკვევლობის მაღალი დონე.

სესხები

დეტალები და სესხების გამოთვლისას გამოყენებული დაშვებების და ძირითადი შეფასებების სენსიტიურობა მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

6. ახალი და გადახედილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები") მიღება. ჯგუფმა ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები," მიიღო 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა აირჩია, ხელახლა არ განეცხადებინა შედარებითი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება სტანდარტის პირველად გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის, მდგომარეობით არსებულ საწყის გაუნაწილებელ მოგებაში აღიარა. შესაბამისად, ფასს 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება") გადამუშავებული მოთხოვნები მხოლოდ მიმდინარე

პერიოდზე ვრცელდება. შედარებითი პერიოდის გამჟღავნებად ინფორმაციაში გამეორებულია წინა წელს გამჟღავნებული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდზე მისადაგებული მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა მე-4 შენიშვნაშია აღწერილი. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შედარებით ინფორმაციას მიესადაგება, წარმოდგენილია 30-ე შენიშვნაში.

ბასს 39-ით ადრე შეფასებულ ფინანსურ აქტივებსა და ფასს 9 სტანდარტის შემოღების შემდეგ განსაზღვრულ თანხებს შორის არსებითად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს არსებითად მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯერებულია ადრე ბასს 39-ით შეფასებული ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებები და 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ფასს 9-ით დადგენილი ახალი თანხები.

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ფასს 9-ის შემოღების შედეგი გადაფასება		საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით - 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ლარში	ბასს 39	ფასს 9		მსზ	სხვა	
ფული და ფულის ეკვივალენტები	L&R	AC	1,593	-	-	1,593
სხვა ფინანსური აქტივები						
• სავაჭრო მოთხოვნები	L&R	AC	11,106	-	-	11,106
• სხვა მოთხოვნები	L&R	AC	1,558	-	-	1,558
სულ სხვა ფინანსური აქტივები			12,664	-	-	12,664
სულ ფინანსური აქტივები			14,257			14,257

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფულის და ფულის ეკვივალენტების ყველა კლასი, როგორც მე-13 შენიშვნაშია მოცემული, ბასს 39-ით გათვალისწინებული სესხების და დებიტორული დავალიანებების კატეგორიიდან (L&R) გადაკლასიფიცირდა ფასს 9-ით გათვალისწინებულ ამორტიზებული ღირებულებით (AC) შეფასების კატეგორიაში, სტანდარტის ამოქმედების დღის მდგომარეობით. ფულის და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო ზარალის რეზერვი, ასევე სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უმნიშვნელო იყო.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუფასურების რეზერვისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საკრედიტო ზარალის რეზერვის რეკონსილაცია. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბასს 39-ით გათვალისწინებული დამდგარი ზარალის მოდელის შესაბამისად შეფასებული გაუფასურების წინა პერიოდის საბოლოო რეზერვისა და ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი ზარალის მოდელის შესაბამისად შეფასებული ახალი საკრედიტო ზარალის რეზერვის რეკონსილაცია, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ათას ლარში	ბასს 39-ით ან ბას 37-ით გათვალისწინებული რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გაწეულიდან ზარალიდან მოსალოდნელ ზარალამდე პერიოდში წინასწარი შეფასების შედეგი	საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს 9-ის საფუძველზე, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
სესხებისა და მოთხოვნების შეფასების კატეგორია			
• სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,664	-	12,664

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხა. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაში ცვლილებები არ მომხდარა.

ფასს 15-ის, „ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" მიღება. კომპანიამ ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი გამოიყენა და გადასვლის გამარტივებული მეთოდისთვის საჭირო პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. ფასს 15-ის მიღებამ სააღრიცხვო პოლიტიკაში და ფინანსური ანგარიშგებების კორექტირებაში ცვლილებები გამოიწვია. ფასს 15-ის მიღებით გამოწვეული ძირითადი ცვლილებები ქვემოთ არის მოცემული:

ათას ლარში	ბასს 18-ის საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	ფასს 15-ის საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	გადაუნაწილებელი მოგება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები	-	-	2,002	2,002	2,002

2018 წლის 1 იანვარს შემდეგი შესწორებული სტანდარტები ამოქმედდა კომპანიისთვის, მაგრამ კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ფასს 4-ში, „ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - სტანდარტის გამოყენება ფასს 4 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - სტანდარტთან ერთად“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც დროებითი გათავისუფლების მიდგომას ირჩევენ, ან როდესაც სუბიექტი პირველად იყენებს ფასს 9 სტანდარტს, იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც გადაფარვის მიდგომას ირჩევენ);
- ფასს 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური სრულყოფა - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ფასიკ 22, „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ბასს 40-ში, „საინვესტიციო ქონების გადაცემა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

7. ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ჯერ არ მიუღია.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში - აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს გაუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დადგენილი თარიღით დაწყებული ან შემდგომი წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება ეხება ფასს 10-სა და ბასს 28-ს შორის არსებულ შეუსაბამობას, ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის

აქტივების გაყიდვის ან კაპიტალში შეტანის თალსაზრისით. ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც გარიგება ბიზნესს მოიცავს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ამ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია არ ელოდება ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი ადგენს იჯარის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. ყველა იჯარა დასაწყისში მოიჯარისგან მოითხოვს აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას და, თუ საიჯარო გადასახადის გადახდა ხანგრძლივი პერიოდითხდება, აგრეთვე დაფინანსების მიღებასაც. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას, ბასს 17-ის შესაბამისად, და ამის ნაცვლად, ადგენს მოიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივები დაბალი ღირებულების არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაციას, საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით, საშემოსავლო დეკლარაციაში. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას და იჯარის ამ ორ ტიპს განსხვავებულად აღრიცხავს.

კომპანიამ გადაწყვიტა, რომ სტანდარტს გამოიყენებს მისი სავალდებულო მიღების თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, შესწორებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, შედარებადი სიდიდეების გადახედვის გარეშე. ქონების იჯარით სარგებლობის უფლების აქტივები გადასვლისთანავე ფასდება, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა სარგებლობის უფლების აქტივები იზომება საიჯარო ვალდებულების ოდენობით (კორექტირდება ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული ხარჯებისთვის).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს არაგაუქმებადი საიჯარო ვალდებულებები 39,792 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარში

	2018 წლის 31 დეკემბერი / 2019 წლის 1 იანვარი
სულ სამომავლო საიჯარო გადახდები არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე	
- იჯარის სამომავლო გადასახადები, რომელიც გადასახდელია იჯარის გაგრძელების ალტერნატივას დაქვემდებარებულ, უდავოდ განხორციელებად პერიოდებში	39,792
- მიმდინარე ღირებულებამდე ფასდაკლების შედეგი	(7,261
სულ საიჯარო ვალდებულებები	32,531

ზემოაღნიშნული საიჯარო ვალდებულებებისათვის, კომპანია 2019 წლის 1 იანვარს აღიარებს სარგებლობის უფლების მქონე აქტივებს და საიჯარო ვალდებულებებს დაახლოებით 32,531 ათასი ლარის ოდენობით. სულ ნეტო მოკლევადიანი აქტივები იქნება 8,490 ათასი ლარი, რაც უფრო ნაკლები ოდენობაა, ვალდებულების ნაწილის მოკლევადიან ვალდებულებად წარმოდგენის გამო.

კომპანია ვარაუდობს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის წლის წმინდა მოგება შემცირდება დაახლოებით 7,991 ათასი ლარით, ახალი წესების შემოღების შედეგად. საოპერაციო ფულადი ნაკადები გაიზრდება, ხოლო ფულადი ნაკადების დაფინანსება შემცირდება დაახლოებით 5,924 ათასი ლარით, რადგან საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვა კლასიფიცირდება, როგორც ფულადი სახსრები დაფინანსების საქმიანობიდან.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოქვეყნებულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან). IFRS 17 ანაცვლებს IFRS 4-ს, რომელმაც კომპანიებს მიანიჭა იმის გადაწყვეტის თავისუფლება, რომ სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით ეწარმოებინათ. ამის შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვა მონაცემებით იდენტური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. IFRS 17 სტანდარტი ერთ პრინციპზეა აგებული და დაზღვევის ყველა ტიპის კონტრაქტს აღრიცხავს, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებს, რომლებსაც დამზღვევი ფლობს. სტანდარტი მოითხოვს კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას შემდეგნაირად: (i) მომავალი ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით დაკორექტირებული მიმდინარე ღირებულება, (გამომუშავებული ფულადი ნაკადების) რომელიც მოიცავს გამომუშავებულ ფულადი ნაკადების შესრულებაზე სრულ არსებულ ინფორმაციას

საბაზრო ინფორმაციის შესაბამისად; დამატებული (თუეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტების ჯგუფის გამოუმუშავებელ მოგებას (კონტრაქტის მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან იმ პერიოდისთვის, რა დროსაც ისინი გასცემენ სადაზღვევო კომპენსაციას და თავისუფლდებიან რისკისაგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდა წამგებიანი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია არ ელის ახალი სტანდარტის შედეგად რაიმე უარყოფ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23, „საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებული გაურკვევლობა" (გამოქვეყნდა 2017 წლის 7 ივნისს და ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12 განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები და არა იმას, თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ გამოიყენება ბასს 12-ში გათვალისწინებული აღიარების და შეფასების მოთხოვნები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის გაურკვეველი რეჟიმის შემთხვევაში. სუბიექტმა უნდა განსაზღვროს, თითოეულ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს ცალკე თუ ერთ ან რამდენიმე სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად განიხილავს, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უკეთ პროგნოზირებს გადაწყვეტილებას გაურკვევლობაზე. სუბიექტმა უნდა იცოდეს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს და მიიღებს ყველა იმ დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის შესწავლის და მიღების უფლებაც აქვს. თუ სუბიექტი გადაწყვეტს, რომ საგადასახადო ორგანო გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს არ მიიღებს, გაურკვევლობის შედეგი უნდა აისახოს დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე სავარაუდო ღირებულების ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სუბიექტის აზრით რომელი მეთოდი უკეთ პროგნოზირებს გადაწყვეტილებას გაურკვევლობაზე.

სუბიექტი ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებებს ან იმ ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ შეფასებებზე ან გადაწყვეტილებებზე, ასახავს საბუღალტრო აღრიცხვაში ცვლილებების სახით.

ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილების ან ახალი ინფორმაციის მაგალითები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილებებისა ან შეფასებების გადაფასება, მოიცავს (და არა მხოლოდ) საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებულ მოკვლევას ან ქმედებებს, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ წესებში ცვლილებებს ან საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო რეჟიმის შესწავლის ან ხელახალი შესწავლის უფლების ვადის ამოწურვას. საგადასახადო რეჟიმზე საგადასახადო ორგანოს თანხმობის ან წინააღმდეგობის არარსებობა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩაითვალოს ფაქტებსა და გარემოებებში ან იმ ახალ ინფორმაციაში ცვლილებად, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში - „წინასწარი შენატანის მუხლები ნეგატიური კომპენსაციით“ (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან). ცვლილებები კომპანიას საშუალებას აძლევს, ამორტიზებული ღირებულებით გაზომოს ის გარკვეული სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთა წინასწარ გადახდაც ამორტიზებული ღირებულებაზე ნაკლებით თანხითაა შესაძლებელი, მაგალითად, სამართლიანი ღირებულებით, ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს გონივრულ კომპენსაციას, რომელსაც მსესხებელს უხდიან და რომელიც უდრის ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის მიმდინარე ღირებულებას. ამასთან, სტანდარტს დასკვნის საფუძვლების ნაწილში ემატება ტექსტი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფასს 9-ის არსებულ რეკომენდაციას, რომ ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი გარკვეული ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაცია ან კონვერტაცია, რასაც შედეგად არ მოჰყვება აღიარების შეწყვეტა, მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება, როგორც მოგება, ან ზარალი. შესაბამისად, ანგარიშმგებელი სუბიექტები, უმეტეს შემთხვევებში, ვერ შეძლებს სესხის არსებობის დარჩენილი პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადახედვას, რათა თავიდან იქნას აცილებული სესხის მოდიფიცირებისას მისი გავლენა მოგებაზე ან ზარალზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები „ბასს" 28-ში - გრძელვადიანი ინტერესები პარტნიორებსა და ერთობლივ ვენჩერულ საზოგადოებებში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან 1 იანვრიდან დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში განმარტებულია, რომ ანგრიშმგებელმა სუიექტებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ გრძელვადიანი სესხების, პრიორიტეტული აქციების და მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც წარმოადგენს კაპიტალის აღრიცხვის მეთოდის საინვესტიციო ობიექტში წმინდა ინვესტიციის ნაწილს მანამ, სანამ შემცირდება ასეთი საბალანსო ღირებულება ინვესტიციის ობიექტის ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტიციის ობიექტის ინტერესს ჩვეულებრივ აქციებში.

კომპანია არ ელის ცვლილების არსებით გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების 2015-2017 წლების ციკლის წლიური გაუმჯობესებები - ცვლილებები ფასს 3,11, ბასს 12 და ბასს 23- ში (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან). მცირემასშტაბიანი ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ის მიხედვით, შემსყიდველმა ხელახლა უნდა შეაფასოს მისი არსებული ინტერესი ერთობლივ ოპერაციაში, როცა ის ბიზნესის საკონტროლო პაკეტს იძენს. ამის საპირისპიროდ, ფასს 11 ახლა ცალსახად განმარტავს, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს მისი არსებული ინტერესი, როცა იგი ერთობლივ ოპერაციაში ერთობლივ საკონტროლო პაკეტს იძენს, მსგავსად მოთხოვნისა, როცა პარტნიორი ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. გადამუშავებული ბასს 12-ის მიხედვით, კომპანია აღიარებს საშემოსავლო გადასახადს, რაც წარმოიშობა დივიდენდის შედეგად, როცა მას აღიარებული აქვს ის ტრანზაქციები და მოვლენები, რომელთა შედეგიც იყო განაწილებადი მოგების მიღება, მაგ.: მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ახლა გასაგებია, რომ ეს მოთხოვნა ყველა გარემოებაზე ვრცელდება, როცა წილად კლასიფიცირებული გადახდები ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგების განაწილებაა, და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთები აქვს. გადამუშავებულ ბასს 23-ში მოცემულია დეტალური ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ როცა ნასესხები სახსრები მიიღება კონკრეტულად დაფინანსებისთვის, კონკრეტული აქტივი აკლდება კაპიტალიზაციისთვის გამოსადეგ საერთო ნასესხები სახსრების ხარჯებს მხოლოდ მანამ, სანამ კონკრეტული აქტივი ძირითადად არ დასრულდება. კომპანია არ ელის ცვლილების არსებით გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების ცვლილებები (გამოქვეყნდა **2018** წლის **29** მარტს და ამოქმედდება **2020** წლის **1** იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).* შესწორებული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს შეფასების შესახებ ახალ თავს; ფინანსური ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგების ინსტრუქციას; გაუმჯობესებულ დეფინიციებს და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების დეფინიციას; და მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ განმარტებებს, როგორიცაა ლიდერობის როლი, პრუდენცია და ფინანსურ ანგარიშგებაში გაურკვევლობების შეფასება.

*მატერიალურობის განმარტება - ცვლილებები გასს 1 და გასს 8-ში (გამოიცა 2018 წლის **31** ოქტომბერს და ძალაში შევა **2020** წლის **1** იანვრიდან).* ცვლილებები განმარტავს მატერიალურის რაობას და თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული და გახდეს დეფინიციების ინსტრუქციების ნაწილი, რომელიც აქამდე ფასს-ში შედიოდა. ამასთან, დეფინიციის თანმხლები განმარტებები გაუმჯობესდა. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ მატერიალურის დეფინიცია ერთნაირია მთელი ფასს სტანდარტების მასშტაბით. ინფორმაცია მატერიალურია (არსებითია) იმ შემთხვევაში, თუ არის იმის გონივრული მოლოდინი, რომ მისმა გამოტოვებამ, არასწორმა განცხადებამ ან გაბუნდოვანებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშების პირველადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ანგარიშის წარმდგენი კონკრეტული კომპანიის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას შეიცავს. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ განმარტებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

8. ქონება და მოწყობილობები

თვითღირებულებით აღრიცხული ქონება და მოწყობილობები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობები	სატელეკო მუნიკაციო მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები;	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	CIP*	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,669	7,078	249,916	33,093	805	1,691	51,399	18,972	364,62
დამატება	-	-	-	-	-	-	-	38,698	38,698
განკარგვა	-	(523)	(4,981)	(293)	(57)	(420)	(149)	(3,521)	(9,944)
გადაცემა	-	524	41,569	3,,167	182	165	818	(46,425)	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,669	7,079	286,504	35,967	930	1,436	52,068	7,724	393,377
დამატება	-	-	231	-	-	-	-	16,255	16,486
განკარგვა	-	(39)	(7,078)	(882)	-	(198)	(2,214)	-	(10,411)
გადაცემა	-	327	12,692	1,075	145	-	782	(15,021)	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,669	7,367	292,349	36,160	1,075	1,238	50,636	8,958	399,452
ცვეთა და გაუფასურება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,980	187,694	25,272	540	1,175	43,106	7,055	266,822
ცვეთის დარიცხვა	-	355	15,071	3,242	76	174	3,855	-	22,773
განკარგვა	-	(70)	(4,401)	(207)	(37)	(347)	(143)	-	(5,205)
გაუფასურების დარიცხვა	-	-	-	-	-	-	(296)	(3,035)	(3,331)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,265	198,364	28,307	579	1,002	46,522	4,020	281,059
ცვეთის დარიცხვა	-	358	17,040	2,687	67	171	2,103	-	22,425
განკარგვა	-	(5)	(6,597)	(873)	-	(197)	(2,213)	-	(9,884)
გაუფასურების დარიცხვა	-	-	75,455	-	-	-	-	(751)	74,703
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,618	284,262	30,121	646	976	46,412	3,269	368,304
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,669	5,098	62,222	7,821	265	516	8,293	11,917	97,801
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,669	4,814	88,140	7,660	351	434	5,546	3,704	112,318
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,669	4,749	8,087	6,039	429	262	4,224	5,689	31,147

(*) CIP - მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონებისა და მოწყობილობების განკარგვის ზარალმა შეადგინა 1,485 ათასი ლარი (2017 წელს: ნული).

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს საბაზისო სადგურების მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადადის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც სრულად გაცვეთილია მაგრამ ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგინა დაახლოებით 178,761 ათასი ლარი (2017 წელს: 137,364 ათასი ლარი).

გაუფასურების ტესტი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლის ქცევის ცვლილებების, ბაზრის კონსოლიდაციის, რამაც კონკურენციის ზრდა გამოიწვია, ბიზნეს სტრატეგიის განახლების და მიმდინარე და წინა წლებში სუსტი აქტივობის გათვალისწინებით, მენეჯმენტმა გაუფასურების ტესტი ჩაატარა, რის შედეგადაც გამოვლინდა გაუფასურების ზარალი 132,019 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი გაუფასურების ზარალიდან, 75,455 ათასი ლარი დაკავშირებული იყო კომპანიის სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებთან, ხოლო 56,564 ათასი ლარი - კომპანიის სატელეკომუნიკაციო ლიცენზიებთან, სიხშირეებთან და ნებართვებთან.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი თანხა განისაზღვრა რეალურ ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ღირებულების საფუძველზე. გაუფასურების ტესტის მოდელი მოიცავს 2017 წლიდან 2026 წლამდე საპროგნოზო პერიოდს, მენეჯმენტის მიერ მომზადებული ბოლოდროინდელი ბიზნეს გეგმის საფუძველზე, რომლის შემდეგად გამოითვლება საბოლოო ღირებულება. ხუთწლიანი პერიოდის მიღმა ფულადი სახსრების ექსტრაპოლირება ხდება ქვემოთ მოყვანილი სავარაუდო ზრდის ტემპის გამოყენებით. ზრდის ტემპები არ აღემატება ეკონომიკის იმ ბიზნეს სექტორში გრძელვადიანი საშუალო ზრდის ტემპს, რომელშიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული საქმიანობს.

გამოყენებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოყენებული ვარაუდები, რომელთაგან ამოგებადი თანხა ყველაზე მგრძნობიარეა, არის შემდეგი:

	2018	2017
შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი (2019 წლიდან 2023 წლამდე) (2017 წელს: 2018 წლიდან 2022 წლმდე)	1.8%	5.4%
ზრდის ტემპი ხუთწლიანი პერიოდის მიღმა	3% წლიურად	1% წლიურად
დაბეგვრის შემდგომ დისკონტირების განაკვეთი	10.7% წლიურად	10.5% წლიურად

9. არამატერიალური აქტივები

„ვიონი საქართველოს“ არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	118,391	28,356	1,181	147,928
დამატება	1,550	3,267	62	4,879
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	119,941	31,623	1,243	152,807
დამატება	1,101	2,400	-	3,501
განკარგვა / ჩამოწერა	(1,809)	(3,770)	-	(5,579)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	119,233	30,253	1,243	150,729
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	53,301	23,700	1,161	78,162
ამორტიზაციის დარიცხვა	5,241	3,369	12	8,622
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58,542	27,069	1,173	86,784
ამორტიზაციის დარიცხვა	5,887	2,247	-	8,134
განკარგვა / ჩამოწერა	(1,809)	(3,770)	-	(5,579)
გაუფასურების დარიცხვა	52,187	4,377	-	56,564
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	114,807	29,923	1,173	145,903
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	65,090	4,656	20	69,766
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	61,399	4,555	70	66,023
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,426	330	70	4,826

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ტელეფონები და აქსესუარები	228	77
SIM ბარათები	177	177
საწვავი	130	432
სარეკლამო მასალები	22	101
გადასაფხეკი ბარათები	15	4
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	28	107
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**600**	**898**

2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ადრე ჩამოწერილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ოდენობა 175 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 728 ათასი ლარი). შეცვლილი თანხა შევიდა გაყიდვების ხარჯებში, იმ წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება:		
- მომხმარებლებისგან	2,194	9,778
- ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	4,051	3,690
- როუმინგის პარტნიორებისგან	2,222	1,947
- -ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	2,482	1,856
- დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებიდან	893	290
სხვა	781	1,558
გამოკლებული: გაუფასურების ზარალი	(6,985)	(6,455)
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**5,638**	**12,664**

დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი. 2018 წელს, კომპანიამ განახორციელა მომხმარებლების დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი, 8,029 ათასი ლარის ოდენობით, სს „ვითიბი ბანკი საქართველოსთან", 7.59% ფასდაკლებით. ამ მოვლენის შედეგად, შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნების აღიარება შეწყდა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარების გაუქმებიდან მოგებამ 482 ათასი ლარი შეადგინა.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი ძირითადად არ ერიცხება, ზოგადად აქვს 30 დღიანი ვადა და დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. მომხმარებლებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნებს მოწყობილობების გაყიდვიდან, რომელსაც ერიცხება პროცენტი და რომელთა ვადაც ზოგადად შეადგენს 12 თვეს, 18 თვეს და 24 თვეს.

2,512 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2017 წელს: 3,114 ათასი ლარი), გამოკლებული გაუფასურების ზარალი, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად 1,971 ათასი ლარი (2017 წელს: 1,766 ათასი ლარი) აშშ დოლარში, ხოლო 541 ათასი ლარი (2017 წელს: 1,348 ათასი ლარი) - ევროში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ზე გადასვლის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომლის დროსაც არსებობის მანძილზე ზარალის რეზერვი გამოიყენება ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა ერთიდაიგივე საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე 12 თვის განმავლობაში გაყიდვებზე გადახდის პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალზე. კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორს. თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვთ არსებითი გავლენა მომხმარებლების მიერ დებიტორული დავალიანების გადახდის უნარზე, ამიტომ კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას მისი ისტორიული ზარალის მაჩვენებლებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი განისაზღვრება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი რეზერვების მატრიცის შესაბამისად. რეზერვების მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირდება სამომავლო ინფორმაციისთვის.

	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მუდმივი მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვი
ბრუტო სიდიდე %-ში			
სავაჭრო მოთხოვნები			
- მიმდინარე	8%	3,448	282
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	28%	952	262
- 30 დღიდან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	33%	429	141
- 61 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	36%	480	175
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	92%	6,532	5,980
სულ სავაჭრო მოთხოვნები (ბრუტო საბალანსო ღირებულება)		**11,842**	**6,840**
საკრედიტო ზარალის რეზერვი		(6,840	
სულ სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (საბალანსო ღირებულება)		**5,002**	
სხვა მოთხოვნები			
- მიმდინარე	0,01%	2	-
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0,01%	29	-
- 30 დღიდან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	0,01%	47	-

- 61 დღიდან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	0,01%	21	-
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	21%	682	145
სულ სხვა სავაჭრო მოთხოვნები (ბრუტო საბალანსო ღირებულება)		781	145
საკრედიტო ზარალის რეზერვი		(145)	
სულ სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (საბალანსო ღირებულება)		636	

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის რეზერვებში ცვლილებები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებული მოდელის საფუძველზე, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის პერიოდში:

ათას ლარში	საკრედიტო ზარალის რეზერვი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(6,455)	(6,455)
ახალი შექმნილი ან შეძენილი	(2,698)	(2,698)
სულ საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვა მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში	(2,698)	(2,698)
ჩამოწერები	2,168	2,168
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6,985)	(6,985)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის თანხების მოძრაობა 2017 წელს არის შემდეგი:

	2017
	სავაჭრო მოთხოვნები
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	(5,517)
ცვლილება წლის განმავლობაში	(1,636)
თანხები, რომელიც წლის განმავლობაში ჩამოიწერა, როგორც ამოუღებელი	698
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6,455)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე და არაგაუფასურებული:	

დებიტორული დავალიანება:	
- მომხმარებლებისგან	7,378
- ფეი-ბოქსის ოპერატორებისგან	1,031
- ურთიერთკავშირის მომსახურებიდან	735
- როუმინგის პარტნიორებისგან	290
- სხვა	235
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული	667
ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული:	10,336
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	838
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	564
- 91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებით	526
- 121 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	400
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული	2,328
ინდივიდუალურად განსაზღვრული როგორც გაუფასურებული:	
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	41
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	153
- 91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებით	49
- 121 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	6,212
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული	6,455
მინუს გაუფასურების რეზერვი	(6,455)
სულ	12,664

12. სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა მიმდინარე არაფინანსური აქტივები შემდეგისგან შედგება:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	1,967	1,783
კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯები	1,646	-
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	2,994	564
სხვა მიმდინარე არაფინანსური აქტივები	6,607	2,347

სხვა მიმდინარე არაფინანსური ვალდებულებები შემდეგისგან შედგება:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	1,902	2,254
გადავადებული შემოსავალი	3,432	2,234
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	1,698	1,511
სხვა	199	170
სულ მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები	**7,231**	**6,169**

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	57	14
ბანკებში არსებული ფულადი სახსრები	7,079	1,576
გაგზავნილი (გზაში მყოფი) ფულადი სახსრები	13	30
კორპორატიული საკრედიტო ბარათები	40	17
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**7,189**	**1,637**

კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშებიდან. მიმდინარე ანგარიშებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 3%-დან 6%-მდე (2017 წელს: 2% -6%). კომპანიამ მიიღო 264 ათასი ლარის (2017 წელს: 145 ათასი ლარი) ფინანსური შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის გრადაციის საფუძველზე, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე და არაგაუფასურებული		
- სს „საქართველოს ბანკი“ – BB რეიტინგი	3,117	1,379
- სს „ვითიბი ბანკი“ - BB რეიტინგი	2,174	214
- სს „თიბისი ბანკი“ - BB რეიტინგი	1,828	-
სულ მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ნაშთები	**7,119**	**1,593**

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მთლიანი საწესდებო კაპიტალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2 ათას ლარს.

დამატებით გადახდილი კაპიტალი

დამატებით გადახდილი კაპიტალი უკავშირდება სათავო კომპანიებისგან მიღებული სესხების რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას. იხილეთ მე-15 შენიშვნა.

15. სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითსესხები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშეკრულება	საკრედიტო ლიმიტი (აშშდ)	ათვისებული თანხა (აშშდ)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	CCY	დაფარვის ვადა	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
- ვიონ ლუქსემბურგი (i)	# 164	100,000	100,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	125,924
- ვიონ ლუქსემბურგი (ii)	# 179	40,000	40,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	54,884
- ვიონ ლუქსემბურგი (iii)	# 186	30,000	30,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	40,508
- ვიონ ლუქსემბურგი (iv)	# 197	58,000	58,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	72,549
- შპს „ვიონი“ (v)	#164-#197	2,395	2,395	0,0%	აშშდ	31-მარ-32	1,262
სულ გრძელვადიანი სესხები							**295,127**
- ვიონ ლუქსემბურგი (vi)	N/A	5,000	5,000	6,5%	აშშდ	31-დეკ-19	13,914
სულ გრძელვადიანი სესხები							**13,914**
სულ სესხები							**309,041**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები შედგებოდა შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშეკრულება	საკრედიტო ლიმიტი (აშშდ)	ათვისებული თანხა (აშშდ)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	CCY	დაფარვის ვადა	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
- ვიონ ლუქსემბურგი (i)	# 164	100,000	100,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	107,885
- ვიონ ლუქსემბურგი (ii)	# 179	40,000	40,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	47,022
- ვიონ ლუქსემბურგი (iii)	# 186	30,000	30,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	34,705
- ვიონ ლუქსემბურგი (iv)	# 197	58,000	58,000	6.5%	აშშდ	31-მარ-32	62,156
- შპს „ვიონი“ (v)	#164-#197	2,395	2,395	0,0%	აშშდ	31-მარ-32	1,082
სულ გრძელვადიანი სესხები							**252,850**
სულ სესხები							**252,850**

OJSC Vimpelcom (სათავო კომპანია) რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციაში და წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ არსებულ ორგანიზაციას. კომპანიის ფინანსური საჭიროებების და ქსელის განვითარებისა და საბრუნავი კაპიტალის შევსების მიზნით, დროდადრო, საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაცია უზრუნველყოფს კომპანიას საკრედიტო საშუალებებით.

2015 წლის განმავლობაში OJSC Vimpelcom-ის სესხების გადაფორმება მოხდა „ვიონ ამსტერდამი ბი.ვი.“-თვის (ყოფილი Vimpelcom Amsterdam BV) და იმავე დღეს მათი გადაფორმება მოხდა VEON Luxembourg Finance S.A.-ის სახელზე (შემდგომში „ვიონ ლუქსემბურგი“) (ყოფილი Weather Capital Special Purpose 1 S.A.) - საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციისთვის - ქვემოთ განხილული გარკვეული მოდიფიკაციებით:

(i) 2006 წლის 20 სექტემბერს, „ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 164 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 60,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2009 წლის 20 სექტემბრამდე. ძირი თანხის და პროცენტის გადახდა უნდა მომხდარიყო ვადის ბოლოს. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე და N 164 სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო საშუალება 60-დან 100 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

(ii) 2007 წლის 14 დეკემბერს, „ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 179 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 40,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის დაფარვის ვადა იყო 2010 წლის 14 დეკემბერი. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

(iii) 2008 წლის 24 ივლისს „ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 186 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 30,000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2011 წლის 24 ივლისი. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით,

საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

(iv) 2008 წლის 5 დეკემბერს, „ვიონი საქართველომ“ ხელი მოაწერა N 197 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 20,000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 8%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2011 წლის 5 დეკემბერი. სესხის პირობები რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო ცვლილების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე შემცირდა, სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2032 წლის 31 მარტამდე და N 164 სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო საშუალება 58 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

(v) 2015 წლის 26 მარტის ცვლილებებით, თავდაპირველი სესხის ხელშეკრულებებითა და მათი შესწორებებით გათვალისწინებული ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც განმარტებულია ზემოთ i – iv პუნქტებში, გადაფორმდა „ვიონ ლუქსემბურგზე“ (ყოფილი Weather Capital Special Purpose 1 S.A.), გარდა 2,395 აშშ დოლარის ოდენობის დარიცხული პროცენტისა, რომელიც შეინარჩუნა შპს „ვიონმა“ და რომლის ვადა არის 2032 წლის 31 მარტამდე.

(vi) 2018 წლის 9 იანვარს, „ვიონ საქართველომ“ ხელი მოაწერა # 197 სესხის ხელშეკრულებას კომპანიასთან OJSC Vimpelcom 5,000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა 6,5%-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთს და რომლის ვადა იყო 2018 წლის 30 ივნისი. 2018 წლის 19 ივნისის ცვლილების თანახმად, სესხის დაფარვის ვადა გახანგრძლივდა 2019 წლის 31 დეკემბრამდე. ძირი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს ვადის ბოლოს.

მენეჯმენტმა დაადგინა საპროცენტო განაკვეთების კომერციული დიაპაზონი (i-iv შენიშვნა) 9.56%-დან 15,99%-მდე, Moody's რეიტინგის სისტემისა და ბლუმბერგის პროფესიონალური პლატფორმის გამოყენებით, და 2018 და 2017 წლების საბაზრო საპროცენტო განაკვეთად გამოიყენა ამ დიაპაზონის საშუალო მაჩვენებელი, 13.04%. რეალურ (13.04%) და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა აღიარდა როგორც ფინანსური ინსტრუმენტის კაპიტალის კომპონენტი და აღირიცხა როგორც კაპიტალში დამატებით გადახდილი თანხა.

2018 წლის იანვარში გაცემულ ახალ სესხზე, მენეჯმენტმა დაადგინა საბაზრო (კომერციული) საპროცენტო განაკვეთი 8.5%-ის ოდენობით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის გამოყენებით. საბაზრო (8.5%) და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობა აღიარდა როგორც ფინანსური ინსტრუმენტის კაპიტალის კომპონენტი და აღირიცხა როგორც კაპიტალში დამატებით გადახდილი თანხა 477 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წელს, სესხებსა და კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 33,338 ათას ლარს (2017 წელს: 26,594 ათას ლარს).

2018 და 2017 წლებში, სესხების დაფარვა არ მომხდარა.

წმინდა ვალის შეჯერება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს წმინდა ვალის ანალიზს და ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებების მოძრაობებს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებათა პოზიციები მოცემულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, დაფინანსების პოზიციაში:

	სესხები
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**214,053**
ფულადი ნაკადების შემოდინება	44,638
საპროცენტო ხარჯი	26,594
რეალური ღირებულების კორექტირება აქციონერების სესხზე	(30,882)
კურსთაშორისი სხვაობა	(1,553)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**252,850**
ფულადი ნაკადების შემოდინება	12,773
საპროცენტო ხარჯი	33,338
რეალური ღირებულების კორექტირება აქციონერების სესხზე	(477)
კურსთაშორისი სხვაობა	10,557
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**309,041**

16. აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება

საბაზო სადგურები უკაბელო ქსელებისთვის აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში

მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება შეადგენდა 4,279 ათას ლარს (2016 წელს: 3,672 ათასი ლარი). ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებაში მოძრაობა:

	სესხები
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
დამატება ქონებასა და მოწყობილობებზე	3,672
ცვლილებები ქონებასა და მოწყობილობებთან მიმართებაში კორექტირებულ შეფასებებში	72
უტილიზაცია	112
ახლანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	24
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	399
	4,279

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი თანხები (ვალდებულებები):			
- მომსახურებისთვის		26,100	25,610
- გრძელვადიანი აქტივებისთვის		9,545	10,373
- როუმინგის	დარიცხული	1,227	5,686
ფასდაკლებებისთვის		1,276	3,028
- ურთიერთდაკავშირებისთვის		1,370	1,507
- ადგილის ქირისთვის		1,485	1,091
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის		606	738
- როუმინგისთვის		1,193	1,270
სხვა			
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		42,802	49,303

ზემოხსენებული ფინანსური ვალდებულებების პირობები: სალიცენზიო მოსაკრებლის გადასახადი სრულად დაიფარა 2017 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით. ყველა სხვა გადასახდელ თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება და ჩვეულებრივ იფარება 30-დან 90 დღემდე ვადაში.

18. შემოსავლის ანალიზი კატეგორიების მიხედვით

მომსახურებიდან შემოსავალი მოიცავდა შემდეგს, 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

	2018	2017
შემოსავალი ხმოვანი მომსახურებიდან	40,888	48,169
შემოსავალი ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	23,077	28,179
სმს, მმს, GPRS, სხვა	33,882	21,565
სტუმრის როუმინგი	4,841	3,052
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1,587	2,024
შემოსავალი საკუთარი აბონენტების როუმინგის მომსახურებიდან	1,036	1,082
აბონენტების ავანსების ჩამოწერა	34	635
სხვა	1,217	845
სულ მომსახურებიდან შემოსავალი	106,562	105,551

2014 წლიდან, „ვიოლ საქართველო“ შეუერთდა ფასდაკლების პროგრამას, რომელსაც მართავდა მასთან დაკავშირებული კომპანია - საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაცია, რომლის თანახმადაც, „კომპანია“ სთავაზობს ფასდაკლებებს როუმინგის მომსახურებაზე უცხოურ ოპერატორებს და ახდენს მის გამოქვითვას „სტუმრის როუმინგის“ შემოსავლიდან. ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს დაკავშირებული კომპანია საერთაშორისო როუმინგული ტრაფიკის გამოყენების საფუძველზე. 2018 წელს, „კომპანიამ“ აღრიცხა 948 ათასი ლარის (2017 წელს: 1,904 ათასი ლარი) ფასდაკლება.

სრული შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში.

19. მომსახურების ხარჯები

31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, მომსახურების ხარჯები შემდეგისგან შედგებოდა:

	2018	2017
ურთიერთდაკავშირების ღირებულება	27,963	34,817
მონაცემთა გადაცემის მომსახურების ღირებულება	1,758	2,008

როუმინგის ღირებულება	481	806
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	764	767
კონტენტის ღირებულება	1,074	738
გაყიდული SIM ბარათების ღირებულება	54	726
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	18	97
სხვა	26	81
სულ მომსახურების ღირებულება	**32,138**	**40,040**

20. სხვა სოპერაციო ხარჯები

	2018	2017
საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა	3,282	2,250
პროფესიული მომსახურების საფასური*	2,975	2,437
მოწყობილობების და აქსესუარების ხარჯი	2,713	11,268
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი (შენიშვნა N 11)	2,698	1,636
საოფისე ფართის ქირა	2,053	2,110
საკონტრაქტო ხარჯების ამორტიზაცია	1,716	-
საგადასახადო ხარჯები საშემოსავლო გადასახადის გარდა	1,505	1,661
ქონების გადასახადი	1,236	1,339
მარეგულირებლის საფასური	848	1,011
გაყიდული მოწყობილობების დაზღვევის საფასური	426	1,792
მივლინებები	317	676
დილერის საკომისიო	240	1,983
ჩასარიცხი ტერმინალების მომსახურების საკომისიო	31	37
სხვა	739	783
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**20,779**	**28,983**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 436 ათას ლარს - ხარჯი, რომლის გაწევაც მოხდა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მიწოდებული აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

20. მენეჯმენტის ანაზღაურება

2017 წლის 16 მარტს, კომპანიამ შპს „ვიონთან“ გააფორმა გენერალური მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვრიდან და რომელიც გულისხმობდა შპს „ვიონის“ მიერ მართვის მომსახურების მიწოდებას, შემდეგის ჩათვლით: ფინანსური და საბუღალტრო მომსახურება, სახაზინო მომსახურება, საგადასახადო მომსახურება, ინვესტორთან ურთიერთობების მომსახურება, გარანტიის უზრუნველყოფის მომსახურება და შერწყმისა და შეძენის (M&A) მომსახურება. გენერალური მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, „ვიონი საქართველომ“ 2018 წელს გასწია ხარჯები შპს „ვიონის“ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით (2017 წელს:

მენეჯმენტის ანაზღაურება, მათ შორის 1,261 ათასი ლარი, რომელიც დაკავშირებული იყო „დიდი მონაცემების ანალიზთან“, რომელიც განხორციელდა „ვიონის“ ტექნოლოგიური მხარდაჭერის აქტივობის ფარგლებში, და 593 ათასი ლარის ხარჯი „კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრისთვის“).

22. ფინანსური ხარჯები

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	33,338	26,594
ქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებების ხარჯი; მიმდინარე ღირებულების დისკონტის გაუქმება (შენიშვნა N 16)	411	398
გრძელვადიანი აქტივების ვალდებულებები: ახლანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება (შენიშვნა N 17)	-	618
სულ ფინანსური ხარჯები	33,749	27,610

23. საშემოსავლო გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან, საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება განაწილებულ მოგებაზე, ამდენად, გადავადებული გადასახადების აღიარება არარელევანტურია (შენიშვნა N 4).

24. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად ითვლება, რომ მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როდესაც მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და არსებული ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიერ გადასახდელი თანხები	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები	როუმინგის ფასჩამოკლებები	როუმინგის ფასდაკლებ
უშუალო სათავო კომპანია						
OJSC Vimpelcom	1,690	605	552	1,078	226	25
შპს „ვიონ“	-	2,749	24	16,240	-	-
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციები						
„ვიონ ლუქსემბურგი“	-	33,200	-	307,779	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	7,831	8,803	2,076	3,790	203	10

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და არსებული ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიერ გადასახდელი თანხები	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები	როუმინგის ფასჩამოკლებები	როუმინგის ფასდაკლებები
უშუალო სათავო კომპანია						
OJSC Vimpelcom	7,097	8,153	745	1,260	207	11
შპს „ვიონ“	4	6,186	23	12,785	-	-
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციები						
„ვიონ ლუქსემბურგი“	-	26,474	-	251,768	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	1,074	4,450	829	3,840	164	17

სესხები დაკავშირებული მხარეებისგან მოცემულია შენიშვნაში N 15.

მთლიანი ანაზღაურება მმართველი მენეჯმენტისთვის (მათ შორის გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილის, ფინანსური დირექტორის, კომერციული დირექტორის, მთავარი ტექნოლოგიური მენეჯერის, მთავარი საინფორმაციო მენეჯერის, ადგილობრივი შესაბამისობის მენეჯერის, მთავარი ციფრული მენეჯერის და ადამიანური რესურსებისა და ადმინისტრაციის უფროსის), რომელიც გატარებულია „გაყიდვების, ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში“ (შენიშვნა N 20), შეადგენდა 2,806 ათას ლარსა და 3,141 ათას ლარს, შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის. ანაზღაურება მმართველი მენეჯმენტისთვის ძირითადად შედგება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ხელფასებისა და საოპერაციო შედეგების მიხედვით დარიცხული ბონუსებისგან.

25. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანი არის კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ექვივალენტები, რომლებიც უშუალოდ მისი ოპერაციებიდან არის წარმოქმნილი.

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო ფასების რისკი;
- ლიკვიდობის რისკი.

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის აღნიშნული რისკების სამართავად დადგენილი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები, და მათი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც გამომდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, არის შემდეგი:

- სავაჭრო მოთხოვნები;
- ფული და ფულის ექვივალენტები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- სესხები და კრედიტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო გაყიდვებისგან წარმოქმნილ საკრედიტო რისკებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია წარმოდგენილია ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობასთან ასოცირებული ცალკეული ყველაზე დიდი რისკია. ამიტომ, მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მის საკრედიტო რისკის პოზიციას.

რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL ფულადი ნაკადების სამომავლო დანაკლისის დისკონტირებული ღირებულების ალბათობის მიხედვით შეწონილი შეფასებაა. (ანუ, საკრედიტო დანაკარგების საშუალო შეწონილი, იმ რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს და შეწონილია ამ დანაკარგების მოხდენის ალბათობით). ECL მიდგომა მიუკერძოებელია და განისაზღვრება ყველა შესაძლო შედეგის დიაპაზონის შეფასებით. ECL შეფასების მიდგომისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს, ესენია: დეფოლტის ალბათობა (PD), პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დისკონტის განაკვეთი.

EAD მეთოდი პოზიციას აფასებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის თარიღით და ითვალისწინებს პოზიციაში მოსალოდნელ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ, მათ შორის ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვას და დამტკიცებული ლიმიტებიდან მოსალოდნელ გატანებს. EAD სესხებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ფასდება კრედიტის კონვერსიის ფაქტორის (CCF) გამოყენებით. დეფოლტის ალბათობა (PD) დეფოლტის შესაძლებლობის წინასწარი შეფასებაა, რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შეიძლება მოხდეს. LGD იმ ზარალის წინასწარი შეფასებაა, რომელსაც დეფოლტის დროს ექნება ადგილი. ის ეფუძნება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, მათ შორის უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღებ, შორის განსხვავებას. როგორც წესი, ის გამოისახება EAD-ის პროცენტის სახით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მოსალოდნელი დანაკარგების მიმდინარე ღირებულება გამოითვლება, რომლის

დროსაც დისკონტის განაკვეთის როლში გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) ან მისი მიახლოებითი შეფასება.

მენეჯმენტი ახდენს არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. 12 თვის ECL არის არსებობის მთელი პერიოდის ECL-ის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოეშობა დეფოლტის მოვლენებისგან, რომლებიც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 12 თვის განმავლობაში მოხდეს, ან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილი პერიოდი, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასებული ECL-ი, დროის პერიოდის შეფასებებია და არა მთელი ციკლის, რაც, როგოც წესი, საზედამხედველო მიზნებისთვის გამოიყენება. ეს შეფასებები ითვალისწინებს საპროგნოზო ინფორმაციას, ანუ ECL-ი ასახავს საკრედიტო რისკზე ზეგავლენის მქონე მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობის მიხედვით შეწონილ განვთიარებას.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნებისთვის, ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როცა პოზიცია აკმაყოფილებს ერთ ან მეტ ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმს:

- მსესხებლის მიერ 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის გარდაცვალება;
- მსესხებლის გადახდისუუნაროება; და

ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანია სრულად უსადაგებს დეფოლტის განმარტებას კრედიტით გაუფასურებული აქტივების განმარტებას. ზემოთ მითითებული დეფოლტის განმარტება ვრცელდება კომპანიის ფინანსური აქტივების ყველა ტიპზე.

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როცა ის აკმაყოფილებს შემდეგ ერთ ან მეტ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ან საყრდენ. ბანკთაშორისი ოპერაციებისა და ბონდებისთვის:

- ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით.

კომპანია პორტფელის მიხედვით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. როცა შეფასება პორტფელის მიხედვით ტარდება, კომპანია განსაზღვრავს პოზიციების ეტაპებს და კოლექტიურად ადგენს დანაკარგების რეზერვს.

ზოგადად ECL მიიღება საკრედიტო რისკების შემდეგი პარამეტრების გამრავლებით: EAD, PD და LGD, რომელთა განმარტებებიც ზემოთაა მოცემული. აღნიშნული

პარამეტრების კალკულაციასას, დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირებისთვის გამოიყენება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკების პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით თითოეული მომავალი კვარტლისთვის თითოეული ინდივიდუალური პოზიციის ან კოლექტიური სეგმენტის არსებობის მთელი პერიოდისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდებაერთმანეთზე.. ამგვარად ხდება ECL-ის გამოთვლა თითოეული სამომავლო პერიოდისთვის. შემდეგ ის დისკონტირდება საანგარიშო თარიღის მდგომარეობით და ჯამდება. ECLის გაანგარიშებაში გამოყენებული დისკონტური განაკვეთი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი შეფასებაა.

საბაზრო ფასის რისკი

საბაზრო ფასების რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო რისკისგან.

(ა) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება მერყევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე მოზიდული დაფინანსების კუთხით, რადგან ყველა ფინანსურ ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

(ბ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს, რომლებიც დენომინირებულია მისი ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში.

უცხოური სავალუტო კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით, კომპანიის რისკი უკავშირდება მშობელი კომპანიისგან მის ფინანსირებას. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. ამ კონკრეტული ფულადი ნაკადების გარდა, კომპანია მიზნად ისახავს შესაბამის ვალუტაში არსებული ხარჯებისა და ინვესტიციების დაფინანსებას და სავალუტო რისკის მართვას ადგილობრივ დონეზე იმ ვალუტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანით, რომელშიც ის იღებს შემოსავალს და რომლითაც ის გასწევს ხარჯებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია სენსიტიურობა აშშ-ს დოლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებებთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა

ცვლადი არის მუდმივი. გადასახადების დაქვითვამდე კომპანიის მოგებაზე გავლენა განპირობებულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებით.

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით (2017 წელს: გამყარება 10%-ით)	(33,553)	(33,553)	(27,884)	(27,884)
აშშ დოლარის დაკლება 10%-ით (2017 წელს: დაკლება 10%-ით)	33,553	33,553	27,884	27,884
ევროს გამყარება 10%-ით (2017 წელს: გამყარება 10%-ით)	(37)	(37)	(28)	(28)
ევროს დაკლება 10%-ით (2017წელს: დაკლება 10%-ით)	37	37	28	28

კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება სავალუტო რისკს, წარმოდგენილია ქვემოთ:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო ბალანსის უწყისის პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო ბალანსის უწყისის პოზიცია
აშშდ	1,819	(337,346)	(335,528)	4,199	(283,042)	(278,743)
ევრო	455	(826)	(371)	806	(2,016)	(1,210)
სულ	2,272	(338,172)	(335,899)	5,005	(285,058)	(280,053)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან, ფინანსირების დანახარჯებიდან და სავალო ინსტრუმენტებზე ძირი თანხის გადახდებიდან და იჯარის საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შეექმნება ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სირთულე დაფარვის ვადის დადგომისას.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და კრედიტები	309,041	-	15,082	-	1,492,364	1,507,446
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	42,802	42,802	-	-	-	42,802
	351,843	42,802	15,082	-	1,492,364	1,550,248

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და კრედიტები	252,850	-	-	-	1,451,515	1,451,515
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,303	49,303	-	-	-	49,303
	302,153	49,303	-	-	1,451,515	1,500,818

26. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის ამოცანებია დაიცვას კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს აქციონერებისთვის ამონაგების განაწილება და სხვა დაინტერესებული პირებისთვის პრივილეგიების მინიჭება და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებზე გადასახდელი დივიდენდების ოდენობა, აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოსცეს ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები, ვალის შემცირების მიზნით. კომპანიის მენეჯმენტს შემუშავებული არ აქვს კაპიტალის მართვის მკაფიო პროცედურა.

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულებით შეფასებები გაანალიზებულია რეალური ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით: (i) პირველი დონის შეფასებები არის კოტირებულ ფასებზე (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების მეთოდები, სადაც ყველა მნიშვნელოვანი შეყვანილი ინფორმაცია არის პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებადი ამა თუ იმ აქტივისა თუ

ვალდებულებისთვის, და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი შესაყვანი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციის დროს მენეჯმენტი იყენებს განსჯის მეთოდს რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულია დაკვირვებადი შესაყვანი მონაცემები, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს არის მესამე დონის შეფასება. შეფასების შესაყვანი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასებასთან მიმართებაში.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ეკვივალენტები	7,189	-	-	**7,189**	1,637	-	-	**1,637**
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	6,003	**6,003**	-	-	12,664	**12,664**
სულ ფინანსური აქტივები	7,189	-	6,003	**13,192**	1,637	-	12,664	**14,301**

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები								
- სესხები და კრედიტები	-	-	309,041	**309,041**	-	-	252,850	**252,850**
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	43,282	**43,282**	-	-	49,303	**49,303**
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	352,323	**352,323**	-	-	302,153	**302,153**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეტანილია იმ ოდენობით, რომელზედაც შესაძლოა გაიცვალოს ინსტრუმენტი მოსურნე მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციის დროს, გარდა იძულებითი ან სალიკვიდაციო

გაყიდვისა. რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები დაახლოებით უდრის მათ საბალანსო ღირებულებებს, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ვადიანობით;
- სესხებისა და კრედიტების რეალური ღირებულება განისაზღვრა უპირატესად გავრცელებულ საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე მითითებით 2018 წლის 31 დეკემბერს (შენიშვნა N 15);
- ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულებებიც განმარტებულია, შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე.

28. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

სასამართლო საქმისწარმოება. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობის რეჟიმში, შესაძლოა მიღებულ იქნეს პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. საკუთარი შეფასებით მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ განიცდის იმაზე მეტ მატერიალურ ზარალს პრეტენზიებთან დაკავშირებით, ვიდრე გათვალისწინებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად არის ბუნდოვანი, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და რომლის განსხვავებული ინტერპრეტაციები გააჩნია სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და გამოძიებას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მძიმე ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ გადახედვისთვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო მეტხანსაც დარჩეს ღიად.

ამ გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად წარმოადგინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაძლოა მათი ეფექტი ამ ფინანსურ ინფორმაციაზე იყოს მნიშვნელოვანი, თუ ეს ორგანოები შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას.

2017 წლის 27 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა დაიწყო შპს „ვიონი საქართველოს“ საგადასახადო შემოწმება 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საგადასახადო პერიოდისთვის. საგადასახადო შემოწმება დასრულდა 2018 წლის 27 მარტს, რომლის საფუძველზეც, კომპანიის მიერ გადასახადელი გადასახადები შემცირდა 444 ათასი ლარით.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2015 წლის 29 იანვარს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის N 56/1 გადაწყვეტილებით, კომპანიას მიენიჭა ლიცენზია F97 15 წლის ვადით, 2015 წლის 1 თებერვლიდან 2030 წლის 1 თებერვლამდე, კომპანიისთვის კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებებით იმისთვის, რომ გაეფართოვებინა მისი დაფარვის ტერიტორია 90%-მდე 2020 წლის 1 თებერვლამდე, სადაც მოსახლეობა 5 ათასზე ნაკლებია.

2016 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის N 851/1 და N 855/1 გადაწყვეტილებებით, კომპანიას მიენიჭა F101 და F102 ლიცენზიები 15 წლის ვადით, 2016 წლის 29 დეკემბრიდან 2031 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, კომპანიისთვის კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებებით იმისთვის, რომ გაეფართოვებინა მისი დაფარვის ტერიტორია საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 30%-მდე ერთი წლის განმავლობაში, და 90%-მდე - სამი წლის განმავლობაში.

კომპანიამ უკვე გამოყო საჭირო რესურსები ამ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კომპანია მიიჩნევს, რომ მომავალი წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება ამ და ნებისმიერი ანალოგიური ვალდებულებების დასაფარავად.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება.

საბაზო სადგურები უკაბელო ქსელებისთვის აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულება“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან

ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით (შენიშვნა N 16).

29. საანგარიშო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, 2019 წლის იანვარში, კომპანიამ გაყიდა თბილისში, ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე 4,300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.06.011.077) 1,904 ათას ლარად.

30. 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

ქვემოთ განმარტებულია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული შესადარი პერიოდისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შეცვლილია ფასს 9-ით და ფასს 15-ით:

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივებს განეკუთვნება შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდი ფინანსური აქტივები; (გ) ვადის დადგომამდე ხელთარსებული ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულების მქონე ფინანსური აქტივები ორი ქვეკატეგორიისგან შედგება: (i) პირველადი აღიარებისთვის საჭირო აქტივები, და (ii) სავაჭროდ განკუთვნილი აქტივები.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დასადგენი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომლის გაყიდვასაც აპირებს კომპანია უახლოეს პერიოდში. კომპანიის სესხები და დებიტორული თანხები მოიცავს „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს“ და „ფულს და ფულის ეკვივალენტებს“ ფინანსური მდგომარეობის ცალკეულ ანგარიშში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც კომპანია მიაწვდის საქონელს ან გაუწევს მომსახურებას ხელშეკრულების საფუძველზე, შემოსავლების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შევა. ყველა შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით და მოცემულია წმინდა სახით დღგ-ს გარეშე, ხოლო მომსახურების გაწევისგან მისაღები შემოსავალი მოცემულია დამატებით აქციზის გადასახადის გარეშე.

მომსახურებიდან შემოსავლები

მომსახურებიდან შემოსავლები მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (დღმ) საფასურს. დღმ მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას. დღმ-სთან დაკავშირებული კონტენტიდან შემოსავალი წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, შემოსავლის განაწილების ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, შემოსავალი ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

შემოსავლები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში პროპორციულად. გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება

მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, შემოსავალი ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის შეგროვების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი შემოსავალი გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (დებიტორული) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (ავანსები) ნაშთების შემთხვევაში, უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

ქსელში ჩართვიდან და როუმინგიდან შემოსავალი

ქსელში ჩართვიდან შემოსავალის მიღება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „ვიონ საქართველოს“ ქსელში წყდება.

როუმინგიდან შემოსავლები მოიცავს „ვიონ საქართველოს“ მომხმარებლეისგან შემოსავალებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის ქსელის საზღვრებს გარეთ და „ვიონ საქართველოს“ ქსელში თავისი მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის სხვა უსადენო მატარებლებიდან შემოსავლებს. ორივე შემოსავლის ნაკადის შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევისას დამუშავებული ტრაფიკის პროტოკოლის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მატარებლებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარი ხორციელდება.

ქსელში ჩართვის გადასახადი

„ვიონ საქართველო“ გადაავადებს ავანსად გადახდილ სატელეკომუნიკაციო ქსელში ჩართვის გადასახადებს. შემოსავლის გადავადება აღიარდება სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდზე ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაზე.

ავანსად გადახდილი (სააბონენტო) გადასახადები

ყველა სპეციალური მომსახურების ან ფასდაკლების შეთავაზება აქტიურია ერთი თვის განმავლობაში (გახანგრძლივება არ არსებობს). აქედან გამომდინარე, „ვიონ საქართველო“ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში გადაავადებს ავანსად გადახდილ სააბონენტო გადასახადებს. გარდა ამისა, „ვიონ საქართველო“ სატარიფო გეგმის ცვლილების მომსახურებისთვის აბონენტებზე დაკისრებულ გადასახადებს გადაავადებს სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდით ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

მოწყობილობების გაყიდვა

მოწყობილობების გაყიდვა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე მომსახურებაზე დამატების სახით (მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულება). ცალკეული მობილური მოწყობილობის, მაგალითად, პორტატული ტელეფონის აპარატის, გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოწყობილობა გაიყიდა მომხმარებელზე, ან თუ შუამავლის მეშვეობით გაიყიდა, როდესაც მოწყობილობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები გადაეცემა შუამავალს და შუამავალს ზოგადად არ აქვს დაბრუნების უფლება ან, თუ დაბრუნების უფლება არსებობს, როდესაც ასეთი უფლება ამოიწურება.

მოწყობილობების გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი აქვს. როდესაც დაფინანსება არის მოწყობილობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ფასდაკლება გამოიყენება გარიგების ფასის ელემენტზე და არა მთლიანი გარიგების ფასზე.

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად „ვიონ საქართველო“ ერთზე მეტ მომსახურებას აწვდის. მომსახურება/პროდუქტები შეიძლება მოეწოდოს ან კომპლექტად „შეიფუთოს“ სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფებში, თუ ისინი ერთი შეთანხმების ელემენტებს წარმოადგენს.

მომხმარებლის პერსპექტივა მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისას, შეიცავს თუ არა ტრანზაქცია მრავალ ელემენტს ან არის თუ არა ის ერთ-ელემენტიანი გარიგება. შედარებითი რეალური ღირებულების მეთოდი გამოიყენება იმ ღირებულების

სადგენად, რომელიც უნდა მიენიჭოს მრავალ-ელემენტიანი ხელშეკრულების
თოეულ ელემენტს. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც
ივიდუალური ნივთის გასაყიდი ფასი. თუ ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ ამ
თის მიწოდება, მაგრამ მოხდა მისი გაყიდვა სხვა მომწოდებლების მიერ, რეალური
ებულება არის ფასი, რომელზედაც იყიდება ნივთები სხვა მომწოდებლების მიერ.

ერის საკომისიო

ერის საკომისიო გატარებულია ხარჯებში როგორც მომხმარებლის შეძენის
(„მომსახურების ხარჯები“) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების
შეგებაში, როდესაც ხდება მომსახურების მიწოდება.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის ოცდაორ ნოემბერს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *მზია თულიანის* ხელმოწერის სინამდვილეს, ოთხმოცდაექვს გვერდზე, ერთ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *2018 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული შპს „ვიონ საქართველო“ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, ხელმოწერილი დამოუკიდებელი აუდიტორის, გატონი ლაშა ჯანელიძის (რეგ.№SARAS-A-562091), კომპანიის გენერალური დირექტორის, გატონი ანდრეი მალინოვსკისა და ფინანსური დირექტორის, გატონი ვასილ ბერიშვილის მიერ 2019 წლის 6 ნოემბერს.*

ქალბატონი მზია თულიანი, დაბადებული 1952 წლის 17 აპრილს თბილისში, პირადი №01009023304, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ო.დგებუაძის ქუჩა N1, ბინა 236, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1974 წლის 17 ივლისს გაცემული დიპლომით Я N176788.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 204,96 ლარი - აქედან: საზღაური 172,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 30,96 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191424956
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.11.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	55912322658619

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ნინო მასხულია

22.11.2

pwc

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვიონი-ს ხელმძღვანელობას და აქციონერებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება"), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვიონი-ს (შემდგომში „კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს"-ები) და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA"-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშს" (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს, და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო; საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის 12, ბიზნეს ცენტრი King David, მე-7
სართული ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

„საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერსი საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 6 ნოემბერი, წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის ანგარიშის თარიღს და არ მოიცავს მმართველობით ანგარიშზე ჩვენს დასკვნას, რომლის თარიღია 2019 წლის 24 დეკემბერი.

თბილისი, საქართველო

კომპანია ვიონი საქართველოს

მმართველობითი ანგარიშგება

2018 წელი

სარჩევი

კომპანიის შესახებ 3

საქმიანობის მიმოხილვა და კონკურენტების ანალიზი.....4

კომპანიის გაყიდვის ოფისები.....6

კომპანიის განვითარების გეგმები.....6

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....7

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ.....8

ძირითადი რისკების ანალიზი.....9

კომპანია ვიონი საქართველო დაარსდა 2003 წლის 19 ნოემბერს შპს ვიმპელკომის სახელით. კომპანიის სახელის ცვლილება მოხდა 2017 წლის 5 დეკემბერს და გახდა შპს ვიონი საქართველო. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია ნომრით 204450584, შემდეგ მისამართზე: ბამბის რიგი #8, თბილისი, საქართველო. ფაქტობრივი მისამართია: წერეთლის გამზირი #118ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები არიან Watertrail Industries Ltd (BVI), რომელიც ფლობს 51%-ს, Investico Alliance Ltd (BVI), რომელიც ფლობს 29%-ს და Miren Ltd (BVI), რომელიც კომპანიაში ფლობს 20%-ს. ვიონი საქართველოს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს VEON Ltd, რომლის სათაო ოფისი ამსტერდამში მდებარეობს. VEON-ის აქციები განთავსებულია NASDAQ-ისა (ნიუ იორკი) და Euronext-ის (ამსტერდამი) საფონდო ბირჟებზე. VEON-ი მსოფლიოს 10 ქვეყანაში 210 მილიონ მომხმარებელზე მეტს აწვდის ხმოვან, ფიქსირებულ და ინტერნეტ მომსახურებას.

ვიონი საქართველოს საქმიანობა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას, ესენია: მობილური სატელეფონო მომსახურება და სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან დაკავშირებული საბითუმო (ძირითადი ქსელი) საქმიანობები (დაშვება).

მობილური სატელეფონო მომსახურება მოიცავს მობილური ტელეფონის საშუალებით განხორციელებულ საუბარს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, ხმოვან შეტყობინებას, მუსიკალურ შეტყობინებას, მულტიმედიურ შეტყობინებას, მობილურ ინტერნეტს, GPRS ინტერნეტს, მობილურ და სხვა მობილურ საკომუნიკაციო მომსახურეობას.

დაშვება მოიცავს განსაზღვრული პირობებით ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის უზრუნველყოფას; ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებითა და მათი თავისუფალი რესურსებით, ანძებით და ბოძებით სარგებლობის უზრუნველყოფას; თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას; მობილური საკომუნიკაციო ქსელის ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით) სარგებლობის უზრუნველყოფას.

საქმიანობის მიმოხილვა და კონკურენტების ანალიზი

ვიონი საქართველოს (ბრენდი ბილაინი) მეშვეობით პირველი მობილური ზარი 2007 წლის 15 მარტს განხორციელდა. მას შემდეგ კომპანია დინამიურად ვითარდება და სადღეისოდ მის 1.3 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს 2G GSM 900/1800MHz, 3G 2100 MHz და 4G/LTE 800 MHz უსადენო მომსახურებით.

ვიონი საქართველოსთან ერთად კავშირგაბმულობის ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები არიან შპს მაგთიკომი (მაგთი) და სს სილქნეტი (ჯეოსელი). ვიონ საქართველო შემოსავლების და აბონენტების რაოდენობით მესამე ადგილზეა. აბონენტების რაოდენობა 2018 წლის განმავლობაში სტაბილურად შეადგენდა ბაზრის 23%-ს, ხოლო შემოსავლები 16%-ს.

წილები კომპანიებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება:

შემოსავლები



აბონენტების რაოდენობა



კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებლებისთვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებაზე, სატარიფო გეგმის განახლებაზე და მომხმარებლის სურვილის მორგებაზე. შედეგად 2018 წელს კომპანიამ აჩვენა მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მნიშვნელოვნად მზარდი ტენდენცია.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, ისევე როგორც წინა პერიოდებში, ბაზარზე მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდის უდიდესი ნაწილი 4G ინტერნეტ ტრაფიკის ხარჯზე მოხდა. 2016-2018 წლებში ტექნოლოგიების და ოპერატორების მიხედვით ინტერნეტ ტრაფიკის განაწილება ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:





2018 წელს კომპანიამ მოახერხა მესამე ადგილიდან მეორე ადგილზე გადანაცვლება და მობილური ინტერნეტის ტრაფიკის დაახლოებით 37%-მდე გაზრდა.

GSM ასოციაციის 2019 წლის კვლევის შედეგად ევროპაში მობილური ინტერნეტის პენეტრაციის მაჩვენებელი (აბონენტები/მოსახლეობა) 72%-დან 82%-მდე გაიზრდება 2018 წლიდან 2025 წლამდე. საქართველოში იგივე მაჩვენებელი 2018 წლის ბოლო მდგომარეობით 64.6%-ს აღწევს, რაც იძლევა იმის ინდიკაციას, რომ ქვეყანაში მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

კომპანიას 2018 წლის მდგომარეობით აქვს 1045 საბაზო სადგური, რომლის მეშვეობითაც LTE-ი ტექნოლოგიით ფარავს დასახლებული ტერიტორიის 90%-ს, 2G – 89% და 3G – 75%.

კომპანიის გაყიდვების ოფისები

2018 წლის მდგომარეობით, კომპანიას საქართველოს მასშტაბით ქონდა 28 გაყიდვის ოფისი, აქედან 11 იყო თბილისში, ხოლო 17 განაწილებული სხვადასხვა რეგიონებში. აბონენტთა მომსახურების ცენტრებში არიან ვიონი საქართველოს კვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომლებიც, როგორც ახალ, ასევე არსებულ მომხმარებლებს უწევენ მაღალი ხარისხის მომსახურებას.

გაყიდვის ოფისებში შესაძლებელია საკომუნიკაციო ტექნიკის და აქსესუარების შეძენა, რისთვისაც ასევე კომპანიას დასაქმებული ყავს კონსულტანტები.

კომპანიის განვითარების გეგმები

ვიონი საქართველოს მიზანია, თანამედროვე მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით მომხმარებელს გაუხსნას გზა ციფრულ სფეროში და გაუმარტივოს ორიენტაცია ამ სულ უფრო სწრაფად განვითარებად სამყაროში. კომპანიის პრიორიტეტია ისეთი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, რომლებიც რეალურად დაეხმარებათ ადამიანებს ყოველდღიური საჭიროებების გადაწყვეტაში და დასახული მიზნების მიღწევაში. შესაბამისად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე.

ვიონ საქართველო ახერხებს მომხმარებლებისთვის მომსახურების შეთავაზებას, კონკურენტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად. სამომავლო გეგმებში შედის ქსელის ხარისხის და დაფარვის შემდგომი გაუმჯობესება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება აბონენტების რაოდენობის საგრძნობი ზრდა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

მოსალოდნელი ტენდენციებიდან გამომდინარე, ვიონი საქართველოს გეგმებში შედის მობილური ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესება. 2018 წელს, კონკურენტებთან შედარებით უპირატესი ფასით, კომპანიამ მოახერხა მობილური ინტერნეტის ტრაფიკით მე-3 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადანაცვლება. კომპანია გეგმავს ამ ტენდენციის შენარჩუნებას.

მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, კომპანია სისტემატიურად ანახლებს შეთავაზებული სერვისების (პაკეტების) ჩამონათვალს, რაც შესაძლებელს ხდის ყველა სეგმენტის ადამიანის დაინტერესებას. 2019 წელსაც კომპანია აქტიურად გააგრძელებს მომსახურების განვითარებას და მომხმარებლებზე ზრუნვას.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მოგება/ზარალის აგრეგირებული ანგარიშგება 000 ₾	2018	2017	ცვლილება	
შემოსავალი მომსახურებიდან	106 562	105 551	1 011	1%
შემოსავალი ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვიდან	3 040	11 406	-8 366	-73%
სულ საოპერაციო შემოსავალი	**109 602**	**116 957**	**-7 355**	**-6%**
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	- 131 796	- 1 289	-130 507	10125%
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	- 32 138	- 40 040	7 902	-20%
ძირითადი საშუალებების ცვეთა	- 22 425	- 22 773	348	-2%
თანამშრომლების სარგებლის ანაზღაურება	- 13 488	- 12 922	-566	4%
იჯარის ხარჯი	- 8 745	- 8 022	-723	9%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	- 8 134	- 8 622	488	-6%
გრძელვადიანი აქტივების ტექნიკური მოსმახურება	- 5 614	- 3 854	-1 760	46%
მენეჯმენტის მომსახურების ანაზღაურება	- 5 051	- 7 583	2 532	-33%
კომუნალური ხარჯები	- 4 497	- 4 421	-76	2%
მარკეტინგის ხარჯები	- 4 551	- 4 542	-9	0%
სავაჭრო მოთხოვნის ჩამოწერა	481	-	481	100%
სხვა საოპერაციო ხარჯები	- 20 779	- 28 983	8 204	-28%
საოპერაციო ზარალი	**- 147 135**	**- 26 094**	**-121 041**	**464%**
ფინანსური ხარჯი	- 33 749	- 27 610	-6 139	22%
ფინანსური შემოსავალი	264	859	-595	-69%
საკურსო სხვაობისგან მიღებული ზარალი/შემოსავალი	- 12 484	2 251	-14 735	-655%
სხვა არასაოპერაციო ზარალი/შემოსავალი	- 335	451	-786	-174%
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	**-193 439**	**-50 143**	**-143 296**	**286%**
მოგების გადასახადი	-	-	-	0%
წმინდა მოგება/ზარალი	**-193 439**	**-50 143**	**-143 296**	**286%**

კომპანიის სატელეკომუნიკაციო სერვისებიდან მიღებული შემოსავლები სტაბილურია. ჯამურად 6%-იანი შემცირება შემოსავლებში განპირობებულია ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვების და ურთიერთჩართვის რეგულირებული ტარიფის შემცირებით, რაც არ წარმოადგენს კომპანიის ძირითად საქმიანობას.

ვიონ საქართველოს შემოსავლების დეტალური ჩაშლა შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

000 ₾	2018	2017	ცვლილება ₾	ცვლილება %
შემოსავალი ხმოვანი მომსახურებიდან	40 888	48 169	- 7 281	-15%
შემოსავალი ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	23 077	28 179	- 5 102	-18%
SMS, MMS, GPRS, სხვა	33 882	21 565	12 317	57%
სტუმრის როუმინგი	4 841	3 052	1 789	59%
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1 587	2 024	- 437	-22%
შემოსავალი საკუთარი აბონენტის როუმინგის მომსახურ	1 036	1 082	- 46	-4%
აბონენტების ავანსების ჩამოწერა	34	635	- 601	-95%
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1 217	845	372	44%
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	**106 562**	**105 551**	**1 011**	**1%**

ზემოთ ნახსენები ტენდენციის გამო, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები ხმოვანი მომსახურების მოხმარებიდან შემცირებული შემოსავლის ქვეკატეგორიებში ცვლილებები გამოწვეულია

ნაცვლად გადადიან მობილური ინტერნეტის მოხმარებაზე, რაც ასევე აისახება კომპანიის მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მნიშვნელოვან ზრდაზე. შემოსავლის შემცირება ხმოვანი და ურთიერთადაკვშირების მომსახურებიდან დაბალანსებულია ინტერნეტ მომსახურების ზრდით.

მომსახურების თვითღირებულების ანალიზი:

000 ₾			ცვლილება	
	2018	2017	₾	%
ურთიერთდაკავშირების ღირებულება	27 963	34 817	- 6 854	-20%
მონაცემთა გადაცემის მოსმახურების ღირებულება	1 758	2 008	- 250	-12%
როუმინგის ღირებულება	481	806	- 325	-40%
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	764	767	- 3	0%
კონტენტის ღირებულება	1 074	738	336	46%
გაყიდული სიმ ბარათების ღირებულება	54	726	- 672	-93%
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	18	97	- 79	-81%
სხვა	26	81	- 55	-68%
სულ მომსახურების ხარჯი	**32 138**	**40 040**	**- 7 902**	**-20%**

ხარჯების შემცირება შესაბამისობაშია ხმოვანი მომსახურების შემოსავლის კლებასთან.

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ

2018 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 328 ადამიანი. ვიონი საქართველო მკაცრად იცავს თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. შედეგად, კომპანიაში დასაქმებულია 214 ქალი და 114 მამაკაცი.

დეპარტამენტების მიხედვით თანამშრომლების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

დეპარტამენტი	თანამშრომელთა რაოდენობა
ტექნიკური დირექცია	31
IT	29
ადმინისტრაცია	10
პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექცია	6
ბიზნეს ოპერაციების დირექცია	116
რეგიონები	99
ფინანსები	22
იურიდიული სამსახური	7
საზოგადოებასთან ურთიერთობა	2
ეთიკის და შესაბამისობის (compliance) დეპარტამენტი	2
CEO	4
სულ	328

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდანაც ჩანს, კომპანიაში არსებობს დეპარტამენტი, რომელიც ზრუნავს კომპანიაში ეთიკასთან და შესაბამისობასთან (compliance) დაკავშირებული საკითხების მართვაში, როგორიცაა თანამშრომლების უფლებების დაცვა, კორუფციის რისკის აღმოფხვრა, ა.შ.

ძირითადი რისკების ანალიზი

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე კომპანია ექვემდებარება შემდეგი სახის ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო ფასების რისკი
- ლიკვიდობის რისკი

საკრედიტო რისკი - მენეჯმენტი მთელი არსებობის მანძილზე ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. კომპანია პორტფელის მიხედვით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კომპანია თითოეულ პორტფელს უსადაგებს შესაბამის დეფოლტის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, რომელიც მოიცავს ვადაგადაცილების პერიოდს, გადახდისუუნაროობას, მსესხებლის გარდაცვალებას, ა.შ.

საბაზრო ფასის რისკი - საბაზრო ფასის რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია. გამომდინარე იქიდან რომ კომპანიას მისი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები დენომინირებული აქვს დოლარში, ის დგას სავალუტო რისკის წინაშე, თუმცა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ხდება სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინება და საქმინობები იგეგმება შესაბამისად.

ლიკვიდურობის რისკი - არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მაშინ, როდესაც დგება ვალდებულებების დაფარვის ვადა.

კომპანიაში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგი ხდება სისტემატიურად, რაც გულისხმობს მიმდინარე ვალდებულებების გადახედვას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს ორნაირი: მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად ფულადი სახსრების დეფიციტი და გრძელვადიანი, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, ვერ შეძლებს გრძელვადიანი სესხის მოპოვებას ხელსაყრელი პირობებით.

ვიონი საქართველოს შემთხვევაში ლიკვიდურობის რისკი მინიმუმამდე არის დაყვანილი, რადგან მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა ხდება წინასწარ შეთანხმებული გადახდის პირობების მიხედვით და ისტორიის მიხედვით არ დაფიქსირებულა ვადაგადაცილება, ხოლო გრძელვადიანი სესხით კომპანიას უზრუნველყოფს მფლობელი კომპანია.

ირაკლი ესართია (*ხელმოწერილია*)

გენერალური დირექტორის სახელით

ვასილ ბერიშვილი (*ხელმოწერილია*)

ფინანსური დირექტორი

24 დეკემბერი 2019

თბილისი, საქართველო

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის ოცდახუთ დეკემბერს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *მზია თულიანის* ხელმოწერის სინამდვილეს, ცამეტ გვერდზე, ორ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ვიონი“-ს შესახებ, ხელმოწერილი შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერსი საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო №SARAS-F--775813), ლაშა ჯანელიძის (რეგ.№SARAS-A-562091) მიერ და კომპანია ვიონი საქართველოს მმართველობითი ანგარიშგება – 2018 წელი, ხელმოწერილი გენერალური დირექტორის, გატონი ირაკლი ესართიას და ფინანსური დირექტორის, გატონი ვასილ გერიშვილის მიერ 2019 წლის 24 დეკემბერს.*

ქალბატონი მზია თულიანი, დაბადებული 1952 წლის 17 აპრილს თბილისში, პირადი №01009023304, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ო.დგებუაძის ქუჩა N1, ბინა 236, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1974 წლის 17 ივლისს გაცემული დიპლომით Я N176788.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 63,36 ლარი - აქედან: საზღაური 52,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 9,36 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:

ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191559449
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.12.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83933307239819

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18